# ცისკარი

**1863**

იჳლისი.

## წელიწადი მეშვიდე.

წოდება თხზულებათა:


I— მკაცრი მსაჯული. . . . . გ. დიდებულიძისა.
II— ხიმღერა მკის დროს (ლექსი.) . თ. აკ. წერეთლისა.
III— მეფის ირაკლი მეორის სიკჳდილი. , . , თეიმურაზ ბაგრატიონის-შვილისა.
IV— ყოველივე მოიპოვება შრომითა. (პოლიტიკური ეკონომია.) . . ლ. არდაზიანისა.
V— რანჩევსკის ლექციები. (ნათ.) . თ. ვას. მაჩაბელისა.
VI— ქართული ლიტერატურა. . . ქერელი ბექასი
სხჳა და სხჳა ამბავი.


---


ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# მკაცრი მსაჯული.

იყო ოდესმე საუბედურო დრო ტრანსილვანიისათჳს. ვისაც შეეძლო ზიდვა საჭურველისა, ის უთუოთ სტოვებდა სამშობლოსა და სახლეულობასა და მიდიოდა საომრად; იმ გვარი ომები დარჩენ სამაგალითოთ იმათ ისტორიაში.

არავინ არ მიდიოდა საომრად იძულებით; ყოველი კაცი ნებაყოფილობით მიაშურებდა იქ, და რომელიც იძულებულ იყო ვითარისამე გარემოებით დარჩენილ იყო შინა, ის სწუხდა და შურდა სვე ამხანაგებისა, რომელნიც იმ დროს იმოსდენ დიდებასა და ძლევასა. ქრონიკონნი მათნი ამბობენ, რომ იმ დროს იწყობოდა ოქროს საუკუნოება მათი და თუ გადმოვშლით გაყჳთლებულს ფურცლებს მაშინდელის დროებისას, უთუოთ გამოვსტუდებით რომ ის დრო იყო მართლათ ჩინებული დრო ტრანსილვანებისათჳს.

რამდენი შესანიშნავი შემთხვევა და ღვაწლი წარმოადგინა მაშინდელამ დროებმა! არიან შემთხვევანი მაშინდელნი, რომელნიც მოჰგვრიან თჳთ გულ გრილს კაცსა

ცრემლსა და მოიცვენ სევდით თჳთ რკინის გულსა. აი ერთი ამათგანი, მომხდარი იმ დროებში. ყმაწჳლნი მაცნი მხედარნი იყვნენ ერთხელ შეკრებილნი გარეშემო-ბანაკებს ცეცხლისა, ყველანი იყვნენ მხიარულნი და უზრუნველნი, თითქო დავიწყებოდ'თ მათ სისხლიანი ომი, რომლითაც მათ მჯრივასათ ელიდეს ძლევა: რავდენი სისხლი იღვროდა მზის ამოსვლიდამ, რამდენმა იმათმა ამხანაგმა აღარ გასცა ხმა, როდესაც იმ საღამოს ჩაიკითხეს სია, მაშინ, როდესაც იმ დილით ყველანი იყვნენ მხიარულნი, სავსენი იმედითა არ ფიქრობდე, რომ იმ დღეს ისინი იქნებოდნენ განსვენებულნი ცავსა და ნოტიოს მიწაში, უბრალოს ხის ჯჳარის ქჳეშ, რომელიც უჩჳენებდა ადგილსა, სადაც დაეცნენ მცველნი მამულობისა.

მოხუცი გენერალი მივიდა იმ დროს იქა, და ყველანი პატივისცემით უყურებდენ მხედარსა, და სთვლიდენ იმაზედ ჩინებულთა დაჭრილობათა, მიღებულთა მის მიერ სხჳა და სხჳა სროლაში. ერთს იმათგანში დაეცა მკჳდრათ ორი ვაჟი იმ ღენერალის გვერდზედ და იგი განაგრძობდა ჯარის გამგეობასა. მას ყავდა კიდევ მხოლოთ ერთი უნცროსი შჳლი ლაზლო.

—შჳლნო ჩემნო, უთხრა მოხუცმა ღენერალმა აფიცრებსა, ამაღამ გეძინოსთ მხოლოთ ცალის თჳალით; მტერი თუმც დამარცხებულია, მაგრამ იქნება მან შეკრიბოს კიდევ დანარჩენი თავისი ძალა და დაგვეცეს ჩუმათ. გთხოვთ ფთხილათ იყოთ.

შემდგომ ღენერალი წავიდა თავის კარავში, მიუჯდა

პატარა სტოლსა, და ამოიღო რა გეოგრაფიის კარტი. დაუწყო გულს მოდგინებით სინჯჳა და ხაზავდა სხჳა და სხჳა ხაზებსა. ერთს ადგილს ის შესდგა და დაფიქრდა. ის იყო ძლიერ საჭირო მუხლი და იქ ნაჩალნიკი აწყობდა რაღაც ახალს მანევრსა. იმ დროს შევიდა იმისი შჳლი კაპიტანი ლაზლო.

—ზარბაზნები მზათ არიან, მამაო, უთხრა მან მამას, მოხუცს ღენერალს.

—მე მინდოდა ჩამებარებინა უფროსობა იმ ზარბაზნებისა შენთჳს, მაგრამ შენ ჩემთჳს საჭირო ხარ, უთხრა მას ღენერალმა.

—მე მზავარ, მიუგო შჳლმა.

—გამიგონე ლაზლო; შენ უნდა შემოუარო ჩჳენს მთასა, რომელიც არის ჩჳენს ბანაკებს იქით, მერე გაიარო ტყე. გახჳდე ხეობაში და გასცურო ღამით მდინარე. იქიდამ წახვალ პირდაპირ ხეობისაკენ და მოუქცევი ჩჳენის მტრების მეუკანავე ლაშქრის ბოლოს. გზა, რომელსაც მე შენ გინიშნავ, ძნელია და გრძელი, მაგრამ მეტი ღონე არ არის, და იმასთანავე აუცილებელია ისე უნდა განვლო, როგორც გითხარი. თუ რომ ხვალამდინ მტერი ჩჳენზედ არა ფერს ინაღვლის, მე დავსცემ იმას.

—მე შევასრულებ ყველას, რაც მიბძანეთ მიუგო შჳლმა.

—მე შენ მოგცემ ცხენოსანს ჯარსა, თჳთ უმჯობესთა სალდათთ, რომელნიც განვლიან ჯოჯოხეთსა. თუ რომ ეყოლებათ მარჯჳე წინამძღოლი და უფროსი. ამ ომზედ იქნება დამოკიდებული სვე ჩჳენის მამულებისა.

—მოსვენებით იყავით მამაო, უთხრა შვილმა კიდევ და დამენდეთ მე. მე მითხრეს, რომ წიგნი არის შენთანაო.

—მართლათ აი ერთი შენთან არის წიგნი; მგონია შენის ცოლის წიგნი უნდა იყოს; აი წაიკითხე.

ყმაწვილმა, კაპიტანმა სისწრაფით აგლიჯა ბეჭედი და მოჰყვა კითხვასა; თვითეულს სტრიქონზედ მშვენიერი სახე ყმაწვილის მხედრისა ხდებოდა მოღრუბლული და იმის მაგარისგულიდგან ამოდიოდნენ ძლიერნი ოხვრანი.

—რა ამბავია შვილო? ჰკითხა მოხუცმა მამამ. უთუოთ სამწუხარო ამბავი მიიღე რამე.

—დიაღ, მამაო, მიუგო შვილმა; ჩემი კეთილი, ჩემი საყჳარელი მეუღლე მარგალიტა მძიმეთ ავათ თურმეა, და გრძნობს, რომ მოახლოვებულა მისი უკანასკნელი წამი, მითხოვს წავიდე გამოსათხოვნელათა. . . . .

—საწყალი ქალი! ოხვრით წარმოსთქვა ღენერალმა.

—ნუ თუ მომიკჳდეს მე ჩემი კეთილი ცოლი, დაიძახა ყმაწვილმა კაცმა. ნუ თუ მე ვეღარა ვნახაო ისა? მოკლეს დროში.

—მე დავკარგე ორი ძმა, და ახლა უნდა დავკარგო ჩემი ძვირფასი მეუღლე, და არა მაქჳს ღონისძიება არც გამოთხოვებისა იმასთან, და არც იმის თჳალების დახუჭვისა: ეს საშინელია!

მოხუცი მამა უგდებდა შვილს ყურსა, და თავდადუნული განაგრძობდა კარტაში ყურებასა.

—უკანასკნელათ, განაგრძო ყმაწვილმა ლაზლომ, მე მომეხვია ის, და შემომარტყა რა ხმალი, მითხრა: დაგქონდეს ეგ პატივით, და ღმერთი იყოს შენი მცველი.

— სურვილი შენის ცოლისა აღსრულდა, უთხრა მას მამამ. შენ მართლათ ისახელე თავი და შეიძინე დიდება და პატივი.

— ეგ მართალია მამაო, განაგრძო შვილმა, მაგრამ გული მიკჳდება, რომ უჩემოთ უნდა დახუჭოს თუალი ჩემმა წყნარმა, ჩემმა კეთილმა მარგალიტამ, რომლისაგანაც მე ვიყავი ასე ბედნიერი.

— საცოდავო შვილო! საწყალო მარგალიტავ! ამოკჳნესით წარმოსთქჳა ღენერალმა.—

ერთის საათის შემდგომ კაპიტანი ლაზლო გავიდა ცხენოსანის ჯარით ზანაკებიდამ შესასრულებლად მამის ბძანებისა. ის მიდიოდა ყველაზედ წინ მდუმარებით, და ამხანაგი მისი, მეორე კაპიტანი, ამაოდ ცდილობდა გადაეყარა მისის ვაჟკაცურის სახიდგან სევდები.

როდესაც მიახლოვდნენ მდინარესა, მათ დაინახეს ერთი ცხენოსანი, რომელიც მიაჭენებდა იმათ პირდაპირ ცხენსა და ეგონათ რა, რომ ის იყო გამოგზავნილი ღენერლისაგან კაცი. ლაშქარი შესდგა.

— შენა ხარ, ბარებ? ჰკითხა განკჳრვებულმა ლაზლომ, როდესაც იცნო იმ ცხენოსანში თჳსი ძველი ერთგული მსახური, რომელიც კაპიტონმა დასტოვა თავის ცოლთან.

— მე მოგიტანე თქჳენ ძრიელ საჭირო წიგნი კაპიტანო, უთხრა მას ბარებამ.

— შენ ეხლა საიდამ მოხვალ? ჰკითხა მას კაპიტანმა.

— მე ვიყავი ზანაკში, მაგრამ როდესაც შევიტყე, რომ თქჳენ იქ არ იყავით, გამოვაშურე აქეთ თქჳენსკენ, და ღენერალი კი აღარ მინახავს.

წიგნი მიტანილი ბარებასაგან, დაწერილი სხვის კელით, ცხადად აცნობებდა ლაზლოს, რომ ცოლი მისი იყო უკანასკნელს წამებში და ერთი მხოლოდ სურვილი მამაკჳდავისა იყო ის, რომ გამოსთხოვებოდა თჳსს საყჳარელს ქმარსა.

—ღმერთო რას მოვესწარ! წამოიძახა გვნესით და სასოწარკვეთილებით ლაზლომ.

—ახლა რას ფიქრობ? ჰკითხა მას მეორე კაპტანმა,

—მე თითონ არ ვიცი.

—შენი მწუხარება შემძრავს მე ძლიერათ, და კარგათ მესმის შენი ტანჯვა, გამიგონე რა გითხრა, ჩემო საყჳარელო, მეგობარო. მომანდე მე ლაშქარი და შენ გასწიე შენის მამაკჳდავის ცოლისკენ.

—ეს შეუძლებელია.

—რათა. განა არ მენდობი მე?

—მე შენ გენდობი როგორც ჩემს ყმასა, ჩემს საკუთარს თავსა, მაგრამ საღმრთო ვალია ეს ჩემი, რომ არ დავუტევო ჩემი თანამდებობა.

—ღამე ჯერ კიდევ დიდია, შენ მოასწრებ გამოთხოვებასაც და მობრუნებასაც, მინამ სროლა ატყდებოდეს.

ლაზლო დაფიქრდა. იმის სახეზედ გამოიხატა საშინელი ბრძოლა: იმ დროს ვალდებულება სალდათისა ებრძოდა ნარნარს სიყვარულს ქმრისასა.

— თჳთეული წამი ძჳრია, ლაზლო, განაგრძო კაპიტანმა, გარდაწყჳტე მეგობარო და მე შენ გპირდები შევასრულო ყოველივე ისე, თითქო აქ შენ თითონ ყოფილიყო.

—გმადლობ ძმაო; მაშ აი ეს არის მივდივარ; მინდა უკანასკნელათ ვნახო და მოვეხვო ჩემს სანატრელ მეუღლეს და დავუხუჭო მას თვალი.

—მაშ მომეც ბძანება ლენარდისა.

—აი, წაიღე ხვალ მე გეცდები მოგეწიოთ ადრე. ბარება. აბა ცხენები საჩქაროთ! ერთის წამის შემდგომ ორნი ცხენოსანნი მიიფრინავდნენ ბნელაში, როგორც შჳლდისრები.

ლაზლოს აღარ ახსოვდა იმ დროს აღარაფერი ქვეყანაზედ ერთის მეტი; აღარ ახსოვდა, რომ მოქალაქისათჳს უძვირფასესი ყოვლისა და თჳთ სიცოცხლისაც არის დაცვა მტერთაგან მამულობისა. ასე ძლიერათ უყვარდა მას თანა მეცხედრე თჳსი, და ისე ძლიერათ სურდა მას გამოთხოვება მასთან.

როდესაც ის შევიდა ცოლის ოთახში, ის იყო იმ დროს უგნოთ და უხმოთ. მაგრამ სულმა მისმა დაიცვა იმოდენი გრძნობა, რომ ეცნო თავისი ძჳრფასი ქმარი მის თვალებში გაიელვა უკანასკნელმა ცრემლის წვეთმა, ფერმკრთალი იმისი ტუჩები დაეწაფნენ ქმრის ტუჩებს, სუსტი ჴელი მარგარიტასი გაცივდა ქმრის ჴელში. ის გარდაიცვალა...

მეორეს დილას, როდესაც ავსტრიელნი დაესხნენ ბანაკს, მცირედი ცხენოსანი ლაშქარი იდგა დანიშნულს ადგილზედ და იყო საშინელი სისხლის ღვრა.

ნახა რა მტერმა, რომ იგი იყო ორს ცეცხლს შუა, მოიხმარა უკანასკნელი ძალდატანებას, რომ შუა გაეგლო ის წყობა ცხენოსანთ ჯარებთა, რომლითაც უფლობა

ჰქონდა ჩაბარებული ლაზლოს.

მოხუცი ღენერალი არ უჯერებდა თავის თვალებსა, როდესაც შორიდამ დურბინდში დაინახა, რომ ოტრიადი ცხენოსნებისა ირყეოდა, იშლებოდა და აპირებდა უკან დაწევასა.

იქ რაღაც ანბავია, ღუღღულით წარმოსთქვა ღენერალმა: ლაზლო უკან არ დაიწევდა. იმასა ჰყავს უმჯობესი მხედარნი—მტერი მალე დაიპყრობს ხეობასა.

ამ დროს ბრძოლის ველზედ გამოჩნდა უცებ ყმაწვილი ლაზლო.

—წამოიწიეთ წინ, ძმებო! შესძახა მან მაღალის ხმით თავის ლაშქარსა და მიიწია მტერზედ.

სალდათთა, გამტკიცებულთა მისის მხნეობით, წაიწიეს წინ, და დაიჭირეს ისევ ადგილი, საიდამაც იგინი იყვნენ მტრისაგან დაცილებულნი.

ბოლოს გათავდა ომი. მტერს არ ძალედო დიდხანს ყოფნა ორს ცეცხლს შუა, მისი ჯარები აირივნენ და თავის საშველად მირბოდნენ სხჳა და სხჳა მხარეს. კაპიტანმა ლაზლომ მიიღო იმ ომში ხუთი დაჭრილობა. მაგრამ თჳთ უღრმესი დაჭრილობა მისი იყო იმ დროს იმის გულში, რომლისაც განკურნება არავის შეეძლო. ყველა, ვინც ხედავდა მას, თუ არ რიგის მძუნვარებით იგი ომობდა და იგდებდა თავს ცეცხლში, დარწმუნებული იყო, რომ იმგვარი მოქმედება შეჰფერებდა მხოლოდ იმ კაცს, რომელიც ცხადად ეძებდა სიკჳდილსა.

ძლევა იყო უჩინებულესი და ყველას უხაროდა იგი. მხოლოდ ორი კაცი იყო იმდროს სევდიანი და დაღონე-

ბული: მოხუცი ლენორაცი და შვილი იმისა კაპიტანი ლია-
ზლო რომელსამე საათის უკან შემდგომ სროლისა ფა-
რები დაუწყეს და ლენორაცი მარადის ივერმით ჩაცმუ-
ლი გამოვიდა მათ დასახსნელად.

—შვილო ჩემო, უთხრა მათ მოხუცმა ლენორამ მაღლის ხმით: გმადლობთ ჩინებულის გამარჯვებისათვის. მე შევკრიბეთ თქვენ მისთვის, რომ დაგრიგოთ ჯილდოები მათ, რომელნიც ღირსნი შექმნენ მისნა. ყ ყ ავეცერნო, გარდაწყვიტეთ თქვენ თვითონ ვინ არის იმათის მიღების ღირსი. სახელი კაპიტანის ლიზლოსი იყო ერთხმათ დაძახილი.

წარმოსდგა კაპიტანი ლიზლო, სიქეა მან მრთოლვარის ხმით. იმ დროს წარმოსდგა უმ წვლი კეცი ფერ მიხდილი, როგორც საფლავი, და ლენორამ მადლობით ჩამოჰკიდა მას გულზედ ორდენი მხნეობა. ხელი მამისა ძლიერათ ითრთოდა.

ხმა მალამა «ურამ» გაავსო ჭერი. დაურიგა რა კიდევ სხვათაც რომელსამე ჯვარები, ლენორამ უბძანა მთატანა შეს ალაგის რომელსამე ზარბაზანსა; სისხა იყვენენ გატეხილნი და მეზარბაზნენი იდგნენ ამოსრულის პატრუქებით. იმ დროს ყველამ კრობების გადახედა და არავის არ ესმოდა თუ რას ნიშნავდა ეს ამბავი. ქვეყნა სანახავზედ რაღაც უჩვეულოის; ლენორაცი მოუბრუნდა კვალად სადღესასწაულოს და უთხრა:

—შვილო ჩემო! მე დაგიჯილდოვე ყველა ღირსი მხედარი თქვენში, ახლა უნდა დავსაჯო ის, ვინც დაივიწყა თავისი ვალდებულება, ვინც არ შეასრულა თავისი სამსა-

რთოლ ვალი.

—ამ სიტყვებზედ სალდათნი, გაწვრთვნილი სროლის ცეცხლში, სრულიად ათრთოლდნენ და ისმოდა ერთ დრო-ტვიისა.

—იმედი გვაქვს ჩვენ ყველამ შეასრულოთ ჩვენი ვალი, უთხრა მათ ღენერალმა; გავიმეოროთ მოგახსენებთ რომ არავინ ჩვენთაგანი არ აღმოჩნდეს მხდალად.

—მე ვიტყვი არა სალდათებისა, არამედ ავაზაკისა, განსვენებული ლეიტენანტი, დატყვევებისთვის თავისის პოსტისა (ადგილისა) თვით სამამაცის წამში, განშორებია თავისის ჯარებისაგან, ზავისდაცვისა, რომელსაც იმაზედ იყო დამოკიდებული გამოხსნა მამულისა, ეს არის ვარდნილი მდგობა. საშინელი არის თქვენთვის ახსნა თუ რა საზარელი მოელის ამ გვარის დამნაშავეს; ეს თქვენ თვითონ კარგათ იცით! გიწყევ მხოლოდ ერთზედ რომ შარვეთი, რომელიც მე უნდა დავსაჯო,—ეს არის ჩემი შვილი.

თქვენი ყველასა მაინც იმედის ეფერ მგზნელის გამოტანილი, რომელიც ისმენდა მამის სიტყვებს იმე გულდაწყვეთ თითქო სიკვდილზედ განიზრახა იყო დაპირება.

—წამოსდექით წინ ვ. კაპიტანო, უთხრა მოხუცმა ღენერალმა.

—შვილი დემოეწვია.

—თქვენ წინ სდგას ეხლა არა ღენერალი და არც მამა, არამედ მსაჯული. მომეცით მე პასუხი: გუშინ მართლა თუ არა ჩვენის ბრძანება შემოგყვეთ მტრისათვის? ხომ მართალია ესე?

—მართალია, მიუგო მტკიცეთ მჯდომა

—თქვენ გქონდათ დანიშნული, რომ უნდა გაგეგზავ-ნათ მდივანი, და შეგეკრიბათ ოტრიადი ჩუმათ; თქვენ კი არ შეასრულეთ, ალბად გარდასცდით კაპიტანის ბრძანებისა.

—მართალია ეგეცა.

—მერე თქვენ გაუშვიათ ოტრიადი, რომლიდგან ეხსნა თქვენის პატივის, და წაჰყვედით თითონ ცოლითან, მარ-თალია თუ არა?

—მართალია ღენერალო.

—რომლისაც სრულებით იცით, მაშინ ცხენოსნების ჯარმა, რადგან მათ ჰქონდათ გამოცდილი წინამძღვარი, იცოდნენ უგზო ადგილი. თქვენ გამოცხადდით იმდროს, და, შეუშვით რა ოტრიადი, დაიწყეთ უწინდელი თქვენი ადგილი. ხომ ვერ დამიფარავთ ამას.

—ვერ დაგიფარავ.

—ახლა, რომლისაც ჰყვედა თქვენს ამისიც გაიგონა თქვენი დანიშნულობის ადგილობა, ახლა ნებას გაძლევთ თავი იმართლოთ.

—ჩემთვის თავის მართლება შეუძლებელია, მიუგო მტკიცეთ ლაშქარიმ.

—ნუ თუ ეფრეითორი ვერ გამართლებს თქვენს შეცდომილებას? ჰკითხა მას მოხუცმა ღენერალმა მთავრობელ-გარის ხმით.

—ეფრეითორი ვერ გამამართლებს, ღენერალო, მიუგო ბოლოს უმაწვილმა კაპიტანმა.

—ვიცი რომ თქვენ არა ცდილობთ თავის მართლე-

ეჩასა,

ამისათჳს, რომ მართლათ ქმნილის რითიმე განმართლება თქუჱნის და ნამდვილისა მე დაჳსჳა ახლა წარმოვსთქუა განს ნება დამისამე ვნდა ეხლავ ნარჩანსით დასტურათ.

როგორაც ეს სიტყვები წარმოსთქუა, ლენორადა იყო სამასული ფერ მკრთალი. მამან როგორც კაპიტანი გი იდგა იქვე აღელვებული რომ აღტყობილი მართლა იმისას მეჩუჱნიერის ჳაოლის იმდენის არ მეშინოდა. ლენორების წყეულნიმა გავარდა მღვიმის დარტყმის ხმა.

— აჳარჩელი მამაცი ჩუჱნმა ყოვლა ითხოთ დახვრიტოს! ეს მეუღლებელია; ის არაჳის დამნაშავე! ი იძახდა კაორებმა.

მამან ვედრა აფიცრები დაეცნენ მუხლზედ ლენორის წინ. და ქვეშქვრდნენ დასწავლისთვის და იგი აძლევდა მოკლეთ პასუხს.

— მხოლოდ ღმერთის აქუს უფლება მიტევებისა.

— მამან სრული ჳილდი, და მერე სრული ღამქრია. დაეცა მუხლზედ და ევედრებოდა ჩახვდეს ლენორას მიტევებასა.

— მხოლოდ ღმერთის აქუს უფლება მიტევებისა, მიუგო კიდევ ჯიუტმა მოხუცმა.

კაპიტანი ლაზლო რამდენჯერ შეჭყრიდა პირის პირ სიკუდილს, იმ დღესაც მან მიიღო ხუთი ჭრილობა, თუთ ეძებდა სიკუდილს ომში, მაგრამ სიკუდილმა თითქო გვნება დაზოგა ის განსაკუთრებით სასიკუდილოთ. იმას ძლივს მოასწრო შეხვედრა ჯალდოზედ. რომელიც ამშჳენებდა ამის გულსა, ძმანი მისნი დაიხოცნენ ჳაჟ-

ბატურის სიკვდილით. და ჩვენ იმდროს უნდა უწყალოდ დამთავრებოდა სიცოცხლეს. აი როგორი იყო მეგობრობა მამაცის კაპიტნისა!

თუ ლენორამ დაიმშნა ქქვეი სადღაო, რომელთაც უნდა მეკობრეებისათ ლანდობზე გაჩნება; ლანდო დარდგა მამან მეხლევანზე. უცეფ კარში შეიქმნა მღელვარება; სადგამისი ურს ამბობდნენ კრძალვით კაპიტანისათვის ზარბაზნები, ავაცრები არ ამწეველნი სროლის ბმ ნებას; ხმაურობა თ ნდოთან მიგვდევებოდა

—საღამოისა! უახრა მათ ბოლოს ლენორამ ქვეყნის მსგავსის ხმით. იყოლმ სამის წყლის შემდგომ გაჩნება ჩემი არ იქნება მეკობრეებისა. გთქვენ კაპიტანსა საბუქესა, მაშინ თუ ოქროს იქნებით დატყვევებული ამ ზარბაზნებით.

— მეგობარნო ჩემნო! შეძახა მათ ერთ-წელმა კაპიტანმა. შეასრულეთ ოქროთი გული; დამამარცხო გულში; ჩემთვის სიკვდილი ას წელ სამეცემოა სიცოცხლეზე; და ესრეთ მმკლობით მამაცისა!

მისი მტკიცე ლითონური ხმა ისმოდა ისეთის საწყნარით და განკვეხებით, რომ ყველა ართოდდა და შეიძრა მთელის ტანით.

შეიქნა სასიკვდილო მდუმარება, მეზარბაზნენი მოუცადეს პატრუქებისა.

მამან ემაწვლებმა ადიუტანტმა ამოიღო ხმალი და დაიძახა: ერთი... ორი... სამი...

უკანასკნელ სიტყვაზე გავარდა ერთად ქვეყანა ზარბაზანი და მამაცი კაპიტანი მთელის ლაშქრის მეგობა-

რი და საყვარელი. დაჰყვა მას წინ სასახლეში მტერავი. შეძლოდა სტიროდა მოთქმით; მხოლოდ ერთი მოხუცი ლეონარდი იდგა ვითარცა მარმარილოს სტატუე.

ლანძღა დაამარცხეს იმავე ადგილს, სადაც დაეცა. შემდგომ უნახა ლეონარდმა დამქვრივებული ქვრივი და იმ ადგილს არ დაშორებოდა არც ერთი წუთი.

როდესაც დარჩა მარტო ლეონარდმა დიდს ხანს უყურა იმ ადგილს, სადაც დამარხეს უბედნიერესი მისი მეული. ზოლის წამოდგა და ნაკადულად ცრემლი, როგორც რეკდა მის ფერს მოხდილ ლოდებისა. ზოლის დაეცა ნაიტიის მალის საფლავზედ; მისნი ტანჯვანი იყვნენ გამოუთქმელნი; შემდგომ დასდვა მეორეზედ და დაწყო მხურვალე ლოცვა, იმ დროს ტყვიამ ზმანებათ გაუღებსა მას ყურთ და მტკივნე გაჰკრა მას ჯვარი იმისა.

—უცნაურებ ეს ტყვა იყო დასამშვიდე ჩემის, სთქვა ვაჟკაცი მოხუცმა ლეონარდმა ლანდი ისე უყვარდა უფლისა, რომ ეტყობა მამათქმული იმისთვის შეჰრის მოგებასა. ეხლა არ იციან იმ საწყლებმა თუ როდის ჯვარს ჩემი ტანჯვისა უსაშინლესი არიან საიქიოდ.

ამ დროს გამოვარდა მეორე ტყვა, მოხვდა ლეონარდს მკერდში, და დაეცა იგი მკვდარი ახალს საფლავზედ მეულისა.

მოახლოვნეს თვით სასტიკი გამომძიებნი და ქრისტიანენ ლეონარდის მკვლელნი, მაგრამ დამნაშავე ვერა ჰპოვეს.

სრული ჩვილი, გამომძიების დროს, მღუმარებდა, როგორც ერთი კაცი და ამისათვის ის საქმე ჩაიბარეს ღვთის ნებასა.

რამდენისამე თვის უკან შემდეგომ იმა სამწუხაროს შემთხვევის სამხედრო ლაზარეთში გვეძებოდა ყრმა მოხუცი ახლადა.

აქაცა თითქმის არ მოიგონებდა იმის საწყლის და ჰკითხავდა ხშირათ, ხომ არა აქვსო მას უკანასკნელი სათქმელი?

მე არავის მეტი ქრისტიანისვე. უთხრა მან მოხუცმა ზარემამ. და ამისთვის მე თქვენ გთხოვთ დოკტორო, რომ ნამდვილათ სავსებაში ერი ტყვია, რომელიც ჰპოვებთ ჩემს ბალიშს ქვეშ მე მოქნება იმ ტყვიით საფალავშიაც უმწვეთ....

რა ტყვიაა მეგობარო? ჰკითხა მას ექიმმა, და ეგონა, რომ ის იმ დროს ჰბოდავდა გონებას.

—ახლავე შემიძლიან უთვალიდოთ გაიშინოთ მე თქვენა უთხრა მან მომაკვდავმა.

თქვენ ხომ გახსოვთ ის დღე, როდესაც დახვრიტეს ზარბაზნებით საცოდავი დანიელი? მე მიგეგონა ის, როგორც მკვდრი.... მე იმას მისის საფლავ დგ ნ არ დავმარხეთუიდეთ...

მე მეგონა იმას, რომ წინული გამოსათხოვებლად ოვის საყვარლის მომაკვდავ ცოლის და შვილ მშობ იმას მიმს მოგვცემიდა. ამ ტყვიებმა ყოვი ვაზავლიე ვამოჩნ ს საფლავებს. და მერმე ლებარელის ყოლამ. მე მოვკვდე სამარადის მოსწევ...

მიკლემა ვოლემა ილიად მამის ჩემი განაწესა და მოასწონდა მას იგი. განთიადის დროის არ გაცა არც ქრიომა ვაცმა. თქვენ, უ. დოკტორო, ახალა

მე რამდენისამე წამის შემდგომ გეთხოვებით თქუენცა და სრულიად ქუეყანასაც . . . . იქნება გამოჩნდნენ კაცნი, რომელთაც გაჰკიცხოს ჩემი მოქმედება, მაგრამ მე ერთს ვეტყჳ იმათ: თჳთოეული ადამიანი, ყოველს ძნელს შემთხვევაში, ჯერ უნდა იყოს კაცი და მერე სასტიკი მსაჯული. (*)

გ. დიდებულიძე.

---

(*) ჩვენ ამ სტატიას ვბეჭდავთ საჩვენებლად თუ სადამდის მიაღწევს ხოლმე ფანტაზიური და კაცთ ბოროტისი გრძნობა კაცისა; ჩვენ ვსთხოვთ ამაზედ, რომელიც შვილი დაასხვრულისა. რედ.

## სიმღერა მკის დროს.

გავლესოთ ძმებო ნამგალი,
პური შეგვქნია სამკალი,
ჯერ «ჭოპუმ» დავაგუგუნოთ
და მერე «ჭარი—ჭარლალი!»
ვერა ხედავთ ჩვენს მეთაურს
როგორა ხტის? გული უხურს!
რა სიამით და სიხარბით
მეჭყურებს დამწიფებულს პურს!.
მეთაურო, დაგვაცალე,
ჯერ ეს ყანწი გამოცალე,
მერე გნახავთ რაც ბიჭი ხარ,
ნამგალი დაატრიალე!.—
მკაში არც ჩვენ ჩამოგრჩებით,
ჩვენც გვერდში ამოგიდგებით;
გულ-გაღებული, პერანგა
პურს ცეცხლივით მოვედებით!
და თანასწორ დაუაროთ,
გულს დარდები გაუქაროთ;

და ვინც მკაში ჩამოგვრჩება.
პირში პური მივაყაროთ!

მეთაურო, თანაგარო, (*)
ნუ გგონია, რომ დაგჩაგრო!
ნახავ, რომ ჩვენთან მკაშია
შენც ბევრი ოფლი დაღვარო,

მომკლები ვართ ჩვენც სრული,
არ ვყოფილვართ დაჩაგრული,
თანაგრები თუმც არა ვართ,
მკა კი ვიცით თანაგრული

ჰე! დატრიალდა ნამგლები:
ბიჭებო გენაცვალები!
გიცნობთ სადაურიცა ხართ:
შორაპნიდგან იმერლები!

ამას ჰქვიან ხელაური,
ასე უნდა მომკოთ პური!
მეთაურო შენ გარგათ მკი
მაგრამ კი აგდის ალმული.

ჩუ! მტრედმა დაიღუღუნა;
მკა ხომ ჩვენ არ დაგვიწყნა?
ჰა, ბიჭებო დატრიალდი,
ჰოოპუნა! ჰოოპუნა!

აჰ ბატონებო გვიყურეთ,
ოფლში რა რიგათ მოვსცურეთ.

---

(*) თანაგარი გვარია. პირველი მომკლება იმერეთში და სახელ გათქმულები.

თუ მკითა ვერ გაგაგჳრვით
ლეჩაქები დაგვახურეთ.
ჭოლოპუნა ავხე! ავხე!
ბიჭო ჩუმი მკაცა ნახე.
და თუ შენ მკაში ჩამოგრჩე,
ქალაჩუნას დამიძახე,
ჭოპ! ჭოპ! ჭერი! ჭერი!
ჩუ გამოხტა აგერ ჰწყერი,
ნამგლებით გარს შემოვერტყათ.
დავიჭიროთ პურის მტერი,
მეთაურო ნარაქალა!
ხომ ნახე აწ ჩუენი ძალა.
აქამდის სრულად მომკიდით
ნამგალმა აღარ გვაცალა!—
ნელა ბიჭო! აწკი კმარა.
ჭხედავ? მზემაც გადიხარა;
ჯერ რიგიანათ ვისამხროთ.
მერე მოვმკით უფრო ჩქარა
უხვად მოვიდა წელს პური,
მაგრამ ბედს მაინც ვემდური,
რომ ამას სულ სხუა წამართმევს,
და მეკი თვალის ტყვილა ვღვრი!—

თ. აკ. წერეთელი.

# მეფის ირაკლის მეორის სიკუდილი.

აღამამადხანის სიკუდილის შემდგომს. რომელსაც საქართველოში მცირე ხანს მოხდა მშჳდობა, მეფე ირაკლი წარსული კახეთს იმყოფებოდა ქალაქსა თელავს, და სახლეულებანი მისნი, დედოფალი დარეჯან, და ძეთა და ასულთაგან მეფისათა რომელნიმე მისთანა იყვნეს, ხოლო მემკჳდრე მეფის ძე გიორგი, ყოვლითა სახლეულებითა იმყოფებოდა ტფილისსა.

შემდგომად არა მრავლისა ჟამისა დასნეულდა (*) მეფე ირაკლი. ხოლო სცნა რა უძლურებაჲ მეფისა ხანმან ავარისამან ომარ ხანმან, რომელიცა იყო ლეკთა დაღისტანელთა უპირველესი მხედართ მძლავნი, მოუწოდა ამან მოყვასთა თჳსთა, და მოიხმო მეზობელნი თჳსნი, და შეკრიბნა მხედრობანი ქვეითნი და ცხენოსანნი, ვიდრე უმეტეს ათი ათასთა. გარდამოვლნეს მთანი კახეთისანი, და მოვიდეს სწრაფად, უცნობლად, და გავაზისა სოფელთა ზედა დაესხნეს ღამე, და ვიდრე შემოსვლადმდე ლეკთა სოფელთა მათ შინა ივლტოდეს მცხოვრებნი სოფელ-

(*) სენი მეფისა იყო წელით მანკიერება.

თა მათ, დედა წულითურთ ტყეთა შინა სიმაგრეთა გარემოთა მათ სოფელისათა: ხოლო კაცნი მამაცნი მათ სოფლელთანი ბრძოდეს ძლიერად სოფელთა ამათ შინა შემოსრულთა ლეკთა: თუმცაღა ლეკთა მათ დასწვნეს სახლნი მათ სოფელთა შ.ნა: განვიდეს ლეკნი, და დასდგეს გავაზისა ბოლოსა მახლობელ ალაზნის მდინარისა და მუნით, ღამე, იდუმალი მდინარესა მას განსრულნი დასხნენ გელისციხეს, და მუკუზანს, და რაოდენთამე სახლთა მოუგზნეს ცეცხლნი. ხოლო მხნედ ბრძოლა უყვეს ადგილისა მის კაცთა, და მრავალნი მათ ლეკთაგანნი მოსწყვიტეს და შეიპყრნეს, და ვერღაცაღა თუ ერთი ტყვე ჰყვეს დაბათა მათგანნი და მცირედიცა რამე ვერა რა ჰპოვეს მათ და ესრეთ სირცხვილეულნი, ყოვლითურთ უსარგებლოდ მოიქცენ ლეკნი იგი ლაშქარსავე შინა მათსა.

მაშინ მეფემან ირაკლიმ წარავლინა ძის ძე თჳსი, მეფის ძე იოვანე, მხედრობითა კახთათა, დასაცველად ადგილთა მათ მახლობელთა, სადაცა მოსრულ იყვნეს ლეკნი. და განვიდა მეფის ძე მდინარესა ალაზნისასა, ყოვლითა მხედრობითა თჳსითა და მივიდა იგი დიდსა და შუენიერსა მას დაბასა შინა ყვარელს, და გარე შესცუა იგი ფრიადისა კეთილ წესიერებითა, და ეგრეთვე გარემონი მისნი სოფელნი და განემზადა მისვლად მხედრობათა ზედა ლეკთასა: მაშინ ომარხან, მხედრობითა თჳსითა, ჰსდგა გავაზის ბოლოს, ერთ კერძო მახლობელ მდინარისა ალაზნისა. ჰსცნა რა ომარხანმან მისვლა მეფის ძის იოანესი მხედრობითა კახთათა, და განამზადე-

ბდა ზედა დასხმასა მათ ზედა. აიყარა ღამე ომა-
რისა ყოვლითა მხედრობითა თვისითა, და
ლტოლვილის სახით უკუნ იქცეს ლაშქარნი, და შთავიდეს
ადგილთა მაქსითა, და მჯანი მიიქცეს. ყოვლითურთ
უსარო ბევრნი სახლთა თვისთა. და ომარნი აფარდება.

შემდგომ არა მრავლისა ჟამისა, მოვიდა სხვა მომსრ-
ველი ტფილისს, რომელსაცა ქართველნი ჭირს უხმ-
ობდეს: მაშინ ვითარცა არს ჩვეულება ტფილისის ერისა,
გინა საზოგადოდ მცხოვრებთა საქართველოისათა, რომელ
თუ სადმე მოვიდეს სენი მომსწრაფელი მოურავების ერი
და განვლენ ქალაქით ლეკად წელიწადით გარე ქალაქსა
მთაგორთა და კეთილთა ჰაერთა ქვეშე და იყოფებიან
შინ და ოდეს შემსუბუქდებიან მცხოვრებნი ქალაქისანი,
მისთვის სენი არა ხანგრძლივ დადგრების. ამისთვის ზრუ-
ნვითა მეფისმისათა განვიდეს მცხოვრებნი ტფილისი-
სანი გარემოთა ტფილისისათა სოფლებთა, და ჴევით
ჭკვროვანთა ადგილთა. ხოლო მეფისძემან მემკვიდრემან
გიორგიმ წარავლინა სახლეულობანი თვისნი ქსნის ხეო-
ბასა ზედა, მეტოქესა ქალაქსა თვისსა ახალ-გორს და
თვით წარვიდა თელავს, წინაშე მამისა თვისისა, ვინაი-
დგან მას ჟამსა მიიღო წერილი მამისა თვისისა, რომე-
ლსაცა უხმო თვისთანა.

ოდეს მივიდა მამასა თვისსა თანა მეფის ძე გიორგი,
თუმცა შეპყრობილი იყო მეფე ფრიადისა უძლურებითა
და სენითა მით წლითა მოხუცებულებისათა, არამედ ფრიად
განიხარა ხილვასა ზედა ძისა თვისისასა მეფემან და წარა-
ვლინა დაუყოვნებელად ყაზახსა შინა, რათამცა მენით

განაგნეს საქმენი სამზღვართა სპარსეთისა და თურქეთისა და განამაგრნეს სამზღვარნი, და ეგრეთვე მიანაგანნაცა საქმენი მეუნებურნი დაიურვნეს. რამეთუ საჭირო იყო მას ჟამს მხარეისა მათ განგებას საქმეთა მათ, და თან წარატანნა დიდებულნი და ჩინებულნი კარის მისისანი. რამეთუ გრძნობდა მეფე ვერდარა მრთელ ყოფასა თვისა-სა: მაშინ უბრძანა მეფემან ძესა თვისსა, რათამცა იხმოს სახლეულებასა მისსა წინაშე მისსა, რამეთუ სურის ხი-ლვა მათი: ხოლო მეფისა ძემან მემკვიდრემან გიორგი მასვე ჟამსა წარავლინნა მოციქულნი თვისნი. და უბრძანა გარდმოყვანებად ქმნის ხელობით, თაისუფალს გზით და მო-ყვანებად თელავად. და თვით წარუმართა და მივიდა ყაზა-ხად და დასდგა ქესამანის ძმა, და განაგნა ყოველნი საქმენი სამზღვართა, და მეუნებურნი, ერთადღის კეთილ-წყობრებითა ხოლო სახლეულებანი მეფისა ძისა გიორ-გისანი მივიდეს თელავს წინაშე მეფისა, რომელთაც ხი-ლვასა ზედა ფრიად განიხარა მეფემან.

ამისა შემდგომად შემძიმდა მეფე სენითა მით უმე-ტესად და წელსა **1798** იანვრის კ~ს. ღამით შემძიმდა რომელ საგონებელი იყო სიკვდილი მისი. გარნა შე-დგომად ამისა საათისა. რომელიცა ვითარცა ეჭვი-იდუმალ საერთოდ ზედა თვისსა, მახლობელ მწყვრისა უ-მისსა ვიდრე მოექცა თვალს თვისისა და განმკურნებლად და ყოველსა ძნელ იყო იგი მოხსენებასა, და აღ-რეულს სნეულებასა მისსა მყოფი რომელ შემდგომად ესრეთ დამძიმებულის მისცა ყოფა მიბარებისა, ვგვა-ლად მსახურთა თვისთა შეწევნითა, რომელნიცა ჰყრობ-

დე მკლავთა, აღსდგა სარეცელით თჳსით და საჭიროებ-ისათჳს ბუნებითისა განვიდის იგი გარეგან სახლისა მისს, და ეგრედ მოიგცა საწოლადვე თჳსად.

ხოლო მეფის ძემან იოანე აღაშენა ციხე ქჳტკირისა ვრცელი ყვარელს, და თხრილი ციხისა მის აღმოიყვანა ძირიდგან უცხოსა კელოვნებითა, ქჳტკირითავე აღმოშენებით, ეგრეთვე გავაზისა სოფელთა და დაბათა უქმნა სიმაგრენი და ბასტიონნი ხეთა მიერ მაგართა და მიწათაგან მტკიცეთა, რათამცა არღარა აქუ̂ნდეს მათ შიში უეცრად მტერთა ზედა დასხმისაგან. ვინაჲდგან ლეკნი ფრიად მახლობელ არიან ადგილთა მათ კახეთის გაღმა მხრისათა, მაშინ მოიქცა მეფის ძე იოანე პაპისა მიმართ თჳსისა რომლისათჳს მიიღო მადლობა არა მცირედი მეფისაგან.

ხოლო მწუხრის დღისა კჳრიაკისასა, რომელიცა გათენდებოდა ორშაბათად, ათერთ მეტსა იანვრისა რიცხვად შემძიმდა ფრიად და განთიად, შუაღამიდგან მეშჳდესა ჟამსა, გარდაიცვალა დიდებული, სახელოვანი ქსე მეფე ირაკლი მეორე, ძე მეფისა თეიმურაზ მეორისა. წელსა განხორციელებითგან სიტყჳსა ღუ̂თისა **1798**-სა ქართულსა ქორონიკონსა **486** სა მეათოთხმეტისა მოქცევისასა, შობითგან თჳსით, მეოთხმოცესა შინა წელიწადსა, სახლსა და პალატსა მას შინა სამეფოსა, თჳთ მასვე საწოლსა შინა, რომელსაც შინა იშვა სახელოვანი ქსე მეფე აღესრულა.

იქმნა უგუ̂ჵ მას ჟამსა შინა დიდი მგლოვიარება სა-ხლსა შინა სამეფოსა, და ყოველთა ერთა შორის საქარ-

თველობისათა. ესრეთი ტყებს და მწუხარებას, რომელ ყოვ-
ელი უკანასკნელიცა მცხოვრებთაგანი საქართველოჲსა
იგლოვდა უმეტეს ყოველთა მახლობელთაგან თჳსთა; და
მგონებ რომელ ყოველი კაცი უმეტეს ნახევრისა სიცოც-
ხლისა თჳსისა იყვნეს დიდისა კმაყოფილებითა რომელ-
თაცა ემსხვერპლათ. თუ სადამე შესაძლებელ იყო სავარ-
ლის მეფისა მათის სიცოცხლის მობრუნება; იგონე-
ბდეს მოხუცებულნი სახელოვანთა და გმირულთა საქმე-
თა მისთა ჭაბუკნი ჭირ ნახულისა და კეთილისა. და სა-
მამაცთა ზნითა, და უხვისა მოწყალებითა აღზრდასა
მათსა ერნი ზოგად მართლის ქცევის საქმეთა, მართლ-
მსაჯულებათა და მართლის ხსნისათჳს მამულისა, თავისა
თჳსისა მსხვერპლებსა მეფისაგან. და დადებს მათი
აღწევოდა ვიდრე ცადმდე; მეფეს ამას სახელოვანსა,
მობრითგან თჳსით, ოცდა მეხუთესა შინა წელსა, სახელ-
ედვა მეფედ კახეთისა დიდებულისა მეფისა მამისა
თჳსისა მამართ თეიმურაზ მეორისა, სრულიად ქართლი-
სა და კახეთისა, და სხჳსათა თჳთ მპყრობელისა მეფისა.
მისა ირაკლი პირველისა. სრულიად ქართლისა, და კახე-
თისა. და სხჳთა დიდებულისა მეფისა: ხოლო წელსა
ქრისტესით **1763**, ოდეს გარდაიცვალა თეიმურაზ მეო-
რე დიდებული მეფე, მიიღო ამა ირაკლი მეორემან, მე-
მან მისმან, სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხჳსათა
თჳთ მპყრობელი მეფობა. და ესეოდენ წელი მართებდა
მეფობასა თჳსსა ბედნიერად. რომელიცა მეფობისა თჳსი-
სა ჟამსა შინა მიიღო ოთხმეოც და ათნი ძლევა შემო-
სილებანი მტერთა ზედა მამულისა თჳსისათა და მრავა-

ლნი ქალაქნი, დაბანი, და სოფელნი აღაშენნა, მტერთა მიერ აოხრებულნი. და სახელოვანნი ციხენი აღაშენნა, სიღნაღის ციხე, რომელიცა არს ქალაქსა ქიზიყისა, სახელოვანისა მის კახეთის პროვინციისასა (ანუ კერძოებისასა), და ესე არს დიდთა და მაღალთა მთათა ზედა, გარდავლებული ზღუდეებითა მტკიცითა, და დიდ-დიდითა ბურჯებითა, სრულიად ქვიტკირითა ნაშენი. რომლისაცა შინაგანნი დიდისა და მაღალთა ზღუდეთა და ბურჯთა მიერ აღშენებული, დაიტევის თჳს შორის სრულიად მცოვრებთა ქიზიყისათა, რომელნიცა უმეტეს ათი ათასთა სახლეულებათა არიან მცხოვრებნი მუნებურნი (ე. ი. უმეტეს ათიათასთა კომლთა): გორის ციხე სრულიად მირითურთ აღფხვრილი ოსმალთაგან აღაშენა უმშვენიერეს პირველისა, და უმტკიცეს, სრულიად ქვიტკირითა, ფრიადისა ჴელოვნებითა სიმაგრჱ ამისა განამტკიცა და სხჳანი მრავალნი ციხენი მონასტერნი და ეკლესიანი, და ნაშენებნი, (განაახლნა,) და რამდენიმე ახლად აღაშენნა: შეამკეს უკუჱ გვამი მეფისა ირაკლი მეორისა ჯეროვანისა პატივისცემითა და იყოფოდა მაშინ კაცნი მწყემსი სულიერი სრულიად საქართველოჲსა ანტონი მეორე, ძე ამა მეფისა ირაკლისა, და შემოკრიბნეს სხჳანი ყოველნი მღდელ-მთავარნი, სრულიად საქართველოჲსსა ბრძანებითა კონსტანტინეჲსათა, და ყოველნი ჩინებულნი სამღდელონი, და განამშვენეს, და აღასრულეს მათ წესი იგი მიცვალებულისა მეფისა: აგრეთვე დედოფალნი მგლოვარებისა წესსა აღასრულებდეს. მეუღლე მეფისა ირაკლისა დედოფალი დარეჯან, და სძალი მისი

დედოფალი მარიამ მეუღლე მეფისა ირაკლისა და სხჳანი წევრნი სამეფოჲსა სახლისანი: ხოლო ძეთაგან მეფისათა არავინ იყოფებოდა მუნ თჳნიერ ვახტანგისა; და ასულნი მეფისანი სახლეულებით მეფისა მისნი და ვიყოფოდი მეცა თჳთ აღმწერელი ამა მოთხრობათა, მეფის ძე თეიმურაზ, ჯერეთ სიყრმისა ასაკსა მყოფი მუნ, რამეთუ მზრდიდა მე პაპაჲ ჩემი მეფე ირაკლი, და განუშორებლად ვიყოფოდი მისთა და ფრიადი სიყჳარული ჰქონდა ჩემი, ვინაჲდგან სიჩჩვილისავე შობისა ჩემისასა სახელსდვა მე სახელი მამისა თჳსისა, და ოდეს იყოფოდა მეფე ვიდრემე სნეულებასა შინა ვმსახურებდი მას მალისამებრ ჩემისა და ასაკისა.

ოდეს იგი გარდაიცვალა მეფე ირაკლი, შემოკრბნეს მუნ მყოფნი წევრნი მეფეთანი და ჩინებულნი კარისა სამეფოჲსანი, და უპირველესნი სამღდელონი, და აცნობეს მეფის ძეს გიორგის მიცვალება მამისა მათისა, რომელიცა ჯერეთ იყოფებოდა ყაზახისავე ადგილთა შინა: მაშინ იყოფებოდეს ყოველნი წარჩინებულთაგანნი ქართლისა, და კახეთისა, და სხჳათა, მეფის ძესა თანა, მუნ და მიტროპოლიტიცა ბოდბელი იოანე, კაცნი ღირსი და პატივცემული მეფეთაგან და ერისამიერ და შემოკრბეს იგინი, და პირველად ჰყვეს გოდება ერთბამად, მეფისა ძითურთ, მეფისათჳს ირაკლისსა, ვითარცა არს ჩჳეულება საქართველოჲსა ერთა, გლოვასა ზედა მეფისასა. და მერმე მიულოცეს მეფობა ვითარცა ჰსჯულიერსა მემკჳდრესა მეფის ძესა გიორგი მეათცამეტესა და ჰყჳეს იგი მეფედ და ჰფუცეს ერთგულებასა ზედა მისსა.

წარმოვიდა შენითგან მეფე გიორგი ყოვლითა წარჩინებულებითა თჳსითა, და მოვიდა თელავსა, და ჰყო გონება დიდი მამასა თჳსსა ზედა, და სრულიად გლოვისა, (*) განწესებულსა დღესა, მიულოცეს ყოველთა სახლეულებამან მეფისამან დი დიდებულთა, თავადთა, აზნაურთა, და ყოველთა მხედრობათა, და ერთა საქართველოჲსათა სრულიად და ჰყვეს ფიცი ერთგულებასა ზედა მისსა, ყოველთა ადგილთა შინა საქართჳელოჲსათა და ყოველთა მეზობელთა საქართველოჲსათა მიულოცეს მას მეფობაჲ. ხოლო დღესა ორმეოცსა ქსენსა გვამი მეფისა ირაკლისა თელავს, რამეთუ მოვიდოდიან კახეთით, ქართლით, და ყოველთაგან სამეფოთა მისთა, დიდ-წელითურთ, მცხოვრები და ჰყოფდეს იგინი გოდებასა და ტყებასა დიდსა, გვამსა ზედა მისსა. ყოველნი თჳთოულნი გვარნი მცხოვრებნი ქართველნი კავკასიის მთათაგანნი, და თათართაგან საქართჳელოჲსა და სხჳთა ყოველთაგან ადგილთა მოვიდიან, ჰყოფდენ გლოვასა, წესისა მებრ მათისა. ხოლო დღესა ოცსა ქსენსა გვამი იგი მემკჳდრისა მეფისა სამეფოსა პალატსა შინა და შემ-

(*) აქა განგრძობისათჳს წიგნისა ამისა არა შეიწყნარებდენ წარმკითხველნი არა მოხსენებულ არიან რომელნიმე საქმენი მაშინდელთა [illegible], რომელ-ცა მეფემან გიორგიმ გონიერებით თჳსითა და ყოვლითურთ ხისენულაით მოქმედებითა მოიზიდნა თჳსდამი მმ-გიდობათ და ყოველნი ურჩნი მისნი მოეყუჩანა უფლებსა ქუეშე მორჩილებისა მისისასა.

გომბდ ოცის დღისა განამზადეს მონასტერი გელათი ქმნულის ხატისა, მდგომარე ციხესა მას რომელსაცა შინა მოისახლეობენ თავადნი ყორჩიბაშიანნი. ვინაჲდგან მუნით უმარჯუეს იყო წასუენებად მცხეთად, და დიდის დიდებით მიასვენეს მუნ. შეუდგეს მცხედარსა მისსა სახლეულებანი მეფეთა, და ყოველნი წარჩინებულნი, გლოვითა დიდითა და მახლობელ მონასტრისა მის, ხოლო მომზადებულსა კათედრასა ზედა დასვენეს გუამი იგი, და იტირეს მუნ ჴმითა მოთქმითა, და ზარითა თქმისა თქმითა (*) ხოლო მივიდა დედაკაცი ვინმე მაშინ ქიზიყისა მცხოვრებთაგანნი, ქვრივი მოხუცებულებისა ასაკს, მიწყენული, თუმცალა იყო იგი მდაბიოთა ერისაგანი, მაგრამ ცნობილი მეფეთა მიერ, და შემწყნარებელი კარსა ზედა მეფისასა. იწყო ჴმითა მაღლითა ტირილად მდექ ქსრეისა შესაბამითა სიტყუებითა ტირილსა მას შინა მოიღებდა თჳთოეულთა დიდს სახსოვართა საქმეთა მეფისა მიერ ქმნულთა, რომელ ყოველნი მსმენელნი სიტყჳსათა მათ უმეტეს ღმობიერ იქნებოდეს, და სტიროდეს გოდებითა დიდითა, და ყოველთა მიეპყრათ ყური მისდა მიერ, და განუკჳრდებოდათ თუ ვითარ ერთმან მსოფლელმან დედაკაცმან ქრეი შესაბამისს სიტყუებითა და იტირა გუამი დიდებულისა მეფისა: ვინაჲდგან ძველი არს ჩუეულება რომელ, რომელნიცა გვამნი, მამათა ანუ მდე-

(*) ზარისა თქმა არს ძველი საქართველოჲსა ჩუეულებისა მებრ გლოვისა სახელი, ტირილისა ჴმასა ზედა შეწყობილი.

დროთაგანნი ჩინებულთაგან კარისათა არიან და ანუ სხუა-
გან შემეცნებულნი კარისა მეფისასა, აღარჩევენ მათ. და
იგინი. შესაბამად მეფისა გვამისა, ტირილსა ესე ზვა-
რითა ჴმითა რომელიცა დიდსა შინა ლმობიერებასა მო-
იყვანა მსმენელთა და წარმოუთხრობენ თჳთოეულად ყო-
ველთა მათ ღირსსახსოვართა, და საქმეთა მოწყალებისა
და კეთ მოყვარებისა მეფისასა: თუმცა მრავალმა
იტირა ეს გვამი მეფისა შესაბამად, გარნა ორნი მათ შო-
რის აღემატნეს სხუათა. ერთი. მდივანი მეფისა, სოლო-
მონ მსაჯული, რომელიცა იყო კაცი განსწავლული და
პატიოსანი და მეორე ქვრივი იგი ქიზიყელი რომელი-
ცა წინარე მოვიჴსენეთ: ხოლო შედვეს გვამი მეფისა
ეკკლესიასა შინა, და დაასვენეს მუნ ოცი დღე. ვიდრემ-
დის განამზადებდეს ყოველთა საჭიროებასა დაფლვისასა
და წარიღეს მუნით, და დაფლეს დიდითა დიდებითა სა-
საფლავოსა მეფეთასა, რომელიცა არს უ ირველესი კა-
თოლიკე ეკკლესია სრულიად ივერიისა მცხეთა, სადაცა
არს გაიუდრაცა კათოლიკოსთა სრულიად მწყემსთა სა-
ქართველოსათა, და დაფლეს მუნ, მარჯუენით კერძო
შინაგან დიდის ეკკლესიისა, ქუემორე პირისპირ ხატი-
სა მაცხოვრისა მეუფისა ქრისტე მხსნელისა ჩუენისა.

განამტკიცა მეფობა თჳსი მეფემან გიორგიმ და გა-
ნაგებდა სამეფოსა თჳსსა ფრიად კეთილად: მაშინ მი-
სწერა მეფემან პირმშოსა ძესა თჳსსა დავითსა პეტერ-
ბურღს მყოფისა და მოიხმო მუნით და გამოუთხოვა
იმპერატორისა პავლეს და დაუმოჴნებლად გარდმოვიდა
მამასა თჳსსათანა, გაზაფხულსა, მასვე, თელავს და გან-

იხარა მამამან მისმან. და ყოველმან სახლეულებამან მეფეთამან და ერმან საქართველოისამან. და მისცა მამამან მისმან მემკვიდრეობა თჳსისა მეფეს დავითს. და აღიარეს ქვეშევრდომთა სამეფოჲსა თჳსისა.

ხოლო ზაფხულსა მას მოვიდეს ლეკნი და ოსმალთა მხედრობა ქართლს, და მოუხდეს ეხენი მცირესა ქალაქსა ცხინვალს, და ვერა რაჲ ავნეს. რამეთუ განემაგრნეს მათ მცხოვრებნი მუნებურნი, და შეუსაქცივნეს ლეკნი: ხოლო განბრუნებულთა მუნით მახლობელ დაბისა რომლესა ეწოდების დირბი, დახუდა მათ მხედრობითა თჳსითა მეფის ძე იოანე. და ბრძოლასა შეკო და სძლო და მოიკლა ბრძოლასა მას შინა წარჩინებული მხედართ მძღუანი ლეკთა აღიფოლად და მრავალნი ლეკნი და ოსმალონი მოსწყჳტნეს და ესრეთ სირცხჳლეულნი მოტ იქმნეს.

## ყოველივე მოიპოვება შრომითა.

(გაგრძელება.)

### III

### სხჳა უცხო პირი.

ვასმამზე ჟორჟი პირველათ იყო დალონებული და პირ დაკეტილი მერმე კი ქალის ალერსმა და მარლეს სასიამოვნო საუბარმა წყნარ-წყნარა გაამხიარულეს, და იმან დაიწყო გონიერი ლაპარაკი როგორც ლაპარაკობდა კულავ, როდესაც არ იყო შეშფოთებული. ჟორჟი იდგა განვითარებით ძლიერ მაღლა თავისს წოდების სალხზე და ხშირათ გააკჳრვებდა ყველას თავისის სჯითა და განსხვავებულის მეტყველებითა, რომელნიც იშჯათათ იპოვებიან დაბალ სალხში.

როდესაც, ეს იყო ერთის წლის წინათ,

ქორჯი მივიდა სოფელში, იმისმა განვითარებამ ყვე-
ლა გააკჳრვა და არავის ეგონა, რომ ის იყო
ცლესკაცთაგანი; მაგრამ რადგანაც მამულის მფლო-
ბელმა მიიღო ის ძლიერ კარგა და მისცა მას
ქირით რავდენიმე დღის მამული და სახლი, და
თჳთან ქორჯმაც კარგი ყოფა ქცევით და მოუღა-
ლავის შრომით შეიძინა ქება, მაშინ სოფლელები
დარწმუნდნენ მაზე, რომ ის იყო მხოლოთ უბედ-
ური კაცი, რომელსაც გამოუვლია უკეთესი ცხო-
ვრება და მდგომარეობა. მაგრამ ეს კეთილი აზრი
ქორჯზე სოფლელებს მალე შეეცვალათ. იმათ შე-
ნიშნეს, რომ საქებური ქორჯი ხშირათ დაიარებ-
ოდა მივარდნილ მიკიტნის დუქანში, სადაც დროს
ატარებდა დიდხანს, იშჳათად ლა მუშაობდა და უ-
ხალისოთ, ხასიათებითაც გაფუჭდა, სიმთვრალეში
წინ დაუხედავათ ლაპარაკობდა და იმის სიტყჳერ-
ებისაგან ხჩანდა, რომ იმას მოეთმინა მრავალი
მწუხარება. ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქორ-
ხა ყველა გადაემტერებოდა, თუ რომ მეგობრობა
შარლესი, რომელსაც ყველა პატივსა სცემდა, არ
შესწევნოდა. გონიერება შარლეს საუბარმა და
მადელენის სიყვარულმა უკუაყენეს ქორჯი ცუდ სა-

სიათებისაგან; მაგრამ ცუდი სმა და ლაპარაკი იმაზე ხალხში არ გამოილია.

შემდეგ ვახშმისა ქორჟი, სრულიად გამხიარულებული და მარლე გავიდნენ გარეთ და დასხდნენ სახლის წინ სკამზედ. აქედამ სჩანდა თითქმის მთელი სოფელი: ქარხანები, წისქვილები და სამჭედლოები ჩაქუჩებისა სამჭედლოებში, ხმაურობა ჩარხებისა ქარხანებში, შრიალი ფოთლებისა, ჩქრიალი წყლისა, მღერა მწყემსებისა, ყოველივე ეს ერთიათ ერთდებოდა და მოისმოდა ერთ ხმათ მორიდამ.

მმაო, მარლე, უთხრა ქორჟმა: თუ შრომა ღვთისაგან არის მოცემული სჯულათ, მაშ ყველა კაცი რათ ცდილობს, რომ განთავისუფლდეს ამ სჯულისაგან? რატომ ყველა კაცი თჳთ პატივცემულიცა არა შრომობს? და ძუელ ბერძნებსა და რომაელებსა, რომელნიც იყვნენ განათლებულნი, რათა სძაგდათ შრომა და შრომის მოყვარე კაცი?

-ძუელი საზოგადოება იყო დაფუძნებული ომიანობაზე, ამიტომაც პატივსცემდა უფრო გამოჩენილ და მამაც მხედრებსა: აქამდინ, ასე გაშინჯეთ, რომ ხადიდა მათ გმირებად და ნახევარ ღმერთებად.

რასაკვირველია ესრეთ მდგომარეობაში მყოფი ხალხი მოიძაგებდა შრომასა და დაიმონებდა მუშაკსა.

-ეგ მე მეეჭვება.

ეხლანდელიცა საზოგადოება, რომელიც შესდგა და მოქმედებს ხელმძღვანელობის ქუეშ, ქრისტიანობისა იქონიებს თავის საფუძვლად შრომასა, რომელსაც პატივსა სცემს ისი უფრო მომატებულად, ვიდრე თქუენა ფიქრობთ. აბა როდის გინახავთ, რომ ვისმე ხელი ეკრას შეურაცყოფელობით და ზიზღით რომელიმე კეთილ მომჭირნე მუშაკისთვის? ჩუენ დროში ზარმაცი კაცია მხოლოდ შეურაცყოფილი და მოძულებული; როდესაც მთელი ჯანის პატრონი კაცი ითხოვს ხოლმე მოწყალებასა, იმას ეუბნებიან. «წადი იმუშავე!» თქუენ ამბობთ, რომ მრავალნი არა მუშაობენო, მაგრამ პატივცემულნიკი არიანო. ნუ თუ ეგ მართალია! რომ სცდებოდეთ? მუშაობა შეიძლება არა მარტო ნიჩაბითა და წერაქვითა, და მე ვფიქრობ, თქუენთვის არ არის საჭირო დამტკიცება, რომ მსწავლულიცა, ექიმიცა, მღვდელიცა მუშაობენ ეგრეთვე.

-მართალია მუშაობენ, მაგრამ იმდენს არა, რა-

ვდენსაც მუშაობს გლეხი კაცი.

-მაგაზე მოვილაპარაკებთ სხუა დროს; ეხლადა ჩუჱნთჳს საკმაოა ის რწმუნება რომ მუშაობა ყოველთჳს და ყველგან პატივიცემების და ყველა მუშაობს, ასე ანუ სხუა ფრივ. ესეთი განსხვავებული მუშაობა გაავრცელებს საზოგადო კეთილ-მდგომარეობასა და არის წყარო განათლებისა.

ამ დროს მივიდა იმათთან ყმაწჳლი კაცი, სოფლურათ და კარგა ჩაცმული, რომელმაც თქუა ღიმილით.

-ვისაც უნდა დავენაძლიები, რომ უფალი შარლე მეცილება მე ჩემ საქმეში და კიდევაც ლაპარაკობს პოლიტიკურ ეკონომიაზე.

-ნუ სწუხართ, უფალო რენო, უპასუხა შარლემ: მე ფიქრში არა მაქუს შეგეცილოთ თქუჱნ საქმეში და არც ვეძებ დიდებასა, რომ დამერქუას ეკონომოსობა; მე მხოლოთ ვსჯი ჩემის გონებით და წმინდის სჳნიდისით. მე ისიც მეყოფა, რომ ავკრეფ დაშთენილ თავთავებსა იმ მინდვრიდამ, სადაც თქუჱნ მოიმკით დიდ მოსავალსა.

თუმცა კილო ამ პასუხისა იყო მეგობრული. მაგრამ შარლეს სიტყვებში მოისმოდა სუბუქი და-

ცინება, და ეს არ აცდა ყმაწჳლ კაცსა. რენო
დაჯდა შარლეს ახლო, მეგობრულად მოუჭირა
ცინება, და ეს არ ასცდა ყმაწჳლ კაცსა, რენო
დაჯდა შარლეს ახლო, მეგობრულად მოუჭირა ხელი და უთხრა:

-ყოველ დროს და ყოველგან სიყმაწვილე შემხუმია და თავისის თავის მოიმედეა. ეს სისრულე ცხოვრებისა, რომელიც ყმაწჳლკაცებს უდროვოთ წააგდებს წინ, რაცუნდა იყოს, მიმართავს მათ საზოგადო სარგებლობაზე, და ამის გულისთჳს ყმაწჳლკაცები მოიმედენი არიან შეიძინონ, თუ არ სრული ქება, კეთილი აზრი მაინცა სრულის ასაკის კაცთაგან, რომელნიცა, როგორათაც თქჳენ, უფალო შარლე, ცდილობენ საზოგადო სარგებლობისათჳს, რასაკჳრველია, მომატებულის კეთილგონიერებით.

-რას ორყაბაზობ! უთხრა შარლემ,--მაგრამ თქჳენ ამბობთ მართალსა: მე და თქჳენ მიველტჳთ ერთსა და იგივე საგანსა თქჳენ--სიყმაწჳლის შემხუმებით, მე დამშჳდებულის სიბერით, თქჳენ ეჭიდებით სწავლასა, მე სჯასა და გამოცდილებასა. თუმცა ჩჳენ შორის არის მცირედი უთანხმობა,

მაგრამ ჩხუბი არ მოგვიხდება, და ჩუენი მეკრებული მეცადინება. საიმედოა, შესმინავს რავდენიმე სიკეთეს ამ მხარესა, სადაც საზოგადოობითი ცხოვრება ჯერ არ დაბადებულა.

-თუ თქუენ ეგრე შეერთდებით, მე სრულიად დავიღუპები! შეჰყვირა ჟორჟმა:--მეკი მოიმედე ვიყავ, რომ უფალი რენო ჩემ მხარეს დაიჭერდა!

-განა თქუენში მოხდა რა უთანხმოება?

-ჩუენ ვიბაასეთ მთელი საღამო შრომის სარგებლობაზე და საჭიროებაზე, ის იყო მე ვაპირებდი დამემტკიცებინა სარგებლობა შრომის გაყოფისა, და თქუენც მოგვესწარით, თქუენი მოსვლა შიამა, ამიტომ რომ თქუენ ჩემზედ უკეთესათ დაამტკიცებთ ამას.

-არა, უფალო შარლე, უთხრა რენომ; მე კიდევ მახსოვს სკოლის დარიგება; მე მხოლოთ გადავსცემ სწავლასა, თქუენკი ნამდვილად ასწავლით კაცსა. მე ყურს დაგიგდებთ და თუ საჭიროება მოითხოვს, თქუენ აზრს დავამტკიცებ ადამ სმითის და ჟან ბაბტისტ სეის სიტყვებითა.

-მაშ გარდაეცით თქუენ მეგობარს ჟორჟსა, რასაც ამბობენ ეგ დიდნი მცოდნენი პოლიტიკურ

ეკონომიისა შრომის განყოფილებაზე.

-ადამ სმითი ამბობს: საჭიროება ნაწარმოების გაცვლისა მოითხოვსო, რომ შრომაც გაყოფილი იყოსო, ესე იგი, თუ შრომა გაყოფილი არ იქნება, არც იქნება გაცვლა ნაწარმოებისა,--დასაბამი ერთისა არის დასაბამი მეორისა. სმითი კიდევ ამბობს, რომ გაყოფა შრომისა ყველაზე მომატებულათ შემწეობდაო ყოველთჳს საშუალობათ გაუკეთესობასა, იქამდინ, რომ ამ გაუკეთესებულ საშუალობაების გამო ნაწარმოებები მოისმარებიანო საქმეში სიჩქარით და მარდათ,

-თავდა პირველათ, მე და ეკონომისტები ყოველთჳს ვეთანხმებით ერთმანეთსა, მაგრამ შემდგომ, რასაკჳრველია ჩემ საუბედუროდ ჩუენ გავიყრებით ხოლმე აზრებში,--თქუა მარლემ. ასე მაგალითად, ისინი დაგვიმტკიცებენ შრომის გაწყობის საჭიროებასა და სარგებლობასა, მერმე კი თჳთანვე დაუმატებენ, რომ ეს გაყოფა შრომისა მავნებელიაო კაცის გონებისა, ასე რომ როდესაც კაცი ყოველთჳს ერთი და იგივე საქმეშია გართულიო, მაშინ ისი წყნარ წყნარა უთუოთ გასულელდებაო.

-დიახ, ადამ სმითი სწორედ ეგრე ამბობს.

-მეც ვემოწმები სმითსა, დაუმატა ჟორჟმა.

-თუ ეგრეა, მაშ გაყოფა შრომისა მავნებელია, და მაშასადამე ცუდია! უპასუხა შარლემ,

-რასაკჳრველია.

-მაშ როგორღა ამტკიცებენ იგივე ეკონომოსე-ბი, რომ გაყოფა შრომისა არისო წყარო კერძო კაცისა და საზოგადოების კეთილ დგომიარეობისა და უმთავრესი გამრცველებელი განათლებისა?

-პრინციპი (ზნეობითი დასაბამი) თჳთან თავისით არის კარგი, მაგრამ მავნებელია თუ მისს ზომას გადავალთ, თქუა რენომ.

-მეკი არ ვეთანხმები არც ერთს აზრსა, არც მეორეხა, ამიტომ რომ, სწორეთ უნდა ვთქუა, ვნება სრულიად არს არის.

-რასა ბმანეთ, უფალო შარლე? რას იტყჳთ იმ კაცზე, რომელიც მთელ თავისს სიცოცხლეში მუშაობს თუალთ უჩინარ წარმოებაზე? ნუთუ ისი დრო-ებით არ გასულელდება.

-არ გასულელდება ამიტომ, რომ ორში ერთი უნდა იყოს: ანუ ამ გვარი შრომა სრულიად არ გაართობს მუშაკის აზრებსა, ანუ მოითხოვს მოუ-წყვეტელ ყურადღებასა, და მაშინ მისი გონების

მეხსიერება არა თუ დასუსტდება, უფრო გაიხსნება, ამიტომ რომ მუშაკი ეძებს ღონისძიებასა, როგორმე საქმე ადვილად და საჩქაროთ შეასრულოს. საბეჭდავი მაშინა ჟაქარისა და თოხი გრანჟესი დაგვიმტკიცებენ, რომ გონება მუშაკისა არ დასუსტდება.

-ეგ მართალია.

-და თუ საქმე არ მოითხოვს მოუწყვეტელ ყურადღებასა, მაშინ გონება მუშაკისა სხვა საგნებშია გართული. მიხედეთ ჩვენ ქალებსა: მითამ აბრკოლებს რასმე წინდების ქსოვა იმათ ლაპარაკსა? თუმცა საქმეში არიან გართულნი; მაგრამ ისინი ფიქრობენ და სჯიან ნათლათ და თავისუფლათ, თითქოს არაფერს არ აკეთებენ.

-ეგ ხომ მექანიკური შრომაა.

-კაცი ვერა დროს ვერ იმუშავებს, როგორც მაშინა. ვერ დამარწმუნებთ და უსამართლოც იქნება თუ იტყვით რომ ხარაზი, ფეიქარი, მჭედელი გასულელდებიანო, რადგან ერთსა და იგივესა აწარმოებენ: კაცი დაბადებულია, რომ გაერთოს და იყოს მოქმედებაში. შრომა შეუძლებელი იქნებოდა, თუ რომ მას მაგიერ მისა, რომ გაეხსნა მეხსიე-

რება გონებისა, წყნარ წყნარა სრულიად ამოეგდო ისი.

-ეგ, მაინც კიდევ, საზოგადო აზრია.

უსაფუძვლოა, ჩემო ჴელმწიფევ, დააცქერდით კაცსა, რომელსაც გონება უსუსტდება; მე დარწმუ-ნებული ვარ ეს სისუსტე წარმოდგება ან ბიწიე-რებისაგან, ან სიგლახაკისაგან. მაინც, უფალო რენო, რომლის კანონებით დაუდებთ თქუენ ზღუდესა შრო-მის გაყოფასა?

-შეიძლება ვსთქუათ, რომ ბუნებით გაიყოფე-ბიან საქმეები.

ეგ რა საქმეები არიან?

-მიწის მოქმედება, ჴელ საქმე და ვაჭრობა.

-მერე კიდევ?

-ჴელსაქმეები გაიყოფებიან სხუა და სხუა გვარად.

მგონია ვაჭრობაცა?

-უეჭუელია!

-იმედი მაქუს, თქუენ გაჰყოფთ რავდენიმე ნა-წილათ მიწის მოქმედებასაცა!

-დიაღ,

-მაშ ნებას ხომ მისცემთ, რომ ჴელსაქმეშ გა-ყოს თავისი მოქმედება?

-მაგაზე არა ვარ თანახმა.

-იმედი მაქუს დაინახავთ ამ გვარ გაყოფასა საჭიროდ რომელიმე შემთხვევაში; მაგალითად, მჭედელს უთუოთ უნდა ჰყვანდნენ რავდენიმე თანამეშწეები, რომელთაგანნი ზოგი მიუტანს რკინასა, ზოგი ნახშირსა. ერთი უბერავს საბერველსა, მეორე უცემს ჩაქუჩსა და სხ.

-მაგაზე თანახმა ვარ.

-ეგრეთვე იმედი მაქუს, არ აუკრძალავთ კელოსნებსა, რომ ამათ იყოლიონ თანაშემწეები, რომელნიც აუცილებლათ დასჭირდებიან მათ.

მაგაზედაც თანახმა ვარ.

-მაშასადამე თქუენ თანახმა სართ, რომ მრავალი კაცი ეოველას და ერთსა იგივე საქმესა აწარმოებენ?

-დიაღ.

-ახლა მიბძანეთ უფალო რენო როდემდის უნდა შამეჟეთ და ყველაში დამეთანხმეთ?

-ეჰ, უფალო მარლე, წინააღმდეგი მალიან გასაჭირია; მე მხოლოთ ვამბობ, რომ დაუსრულებელი გაყოფა შრომისა მავნებელია მეთქი.

-მაგრამ რომ საჭიროა! ეს არის შეგნებილე-

ბა განათლებისა; სჩანს რომ შრომამ ღრმად გაიდგა ფესვები და რომ შრომა გავრცელდა.

-უმაწჳლებო, თქჳა ქორქმა: რაც უნდა წინააღმდეგი ბაასი ქქონდესთ თქჳნა, მაშინვე დაზვავდებით და დათანხმდებით, რაკი სიტყჳა ჩამოვარდება განათლებაზე. მეკი მოგახსენებთ მოურიდებლივ, რომ არ მამწონს, როდესაც თქჳნ კელს აფარებთ განათლების შეცთომებსა.

-არ შეიძლება, ძმაო ქორჯ, გვიჩვენოთ ეგ შეცთომები?

-ეჭ, უფალო რენო! შორს არ წავალ, ამ წამს თქჳნვე თქჳთ, რომ დაუსრულებელი შრომის გაყოფა ამდაბლებსო კაცსა პირუტყვამდინ, ანუ სწორეთ, დააყენებსო კაცსა თანასწორათ მაშინის რომელიმე ჩარხისა.

-ვერ ვიტყვი, რომ ბოროტმოქმედება არ იყოს, მაგრამ არ შემიძლიან უარვჰყო პრინციპი. გაყოფა შრომისა გაავრცელებს კეთილმდგომარებასა. კეთილმდგომარეობაღა დაჰბადავს ზნეობითსა საჭიროებასა, რომელიც მოსცემს კაცსა უმაღლეს განცხრომასა.

-წელან არ იყო მიიხარით მე, ძმაო ქორჯ,

უთხრა შარლემ. ვითამც კაცი იყოს დაბადებული მხოლოთ მისთჳს, რომ დააკმაყოფილოს თავისი ნივთიერი საჭიროება და არა ზნეობითაცა მასთა-ნავე? რას იტყჳთ ასლა ამაზედ?

მე ვფიქრობ. . . .

-მე ვფიქრობ, განაგრძო შარლემ, რომ ჩუჱნი ლაპარაკი, რომელიც ჩუჱნ და თქუჱნ შევიმელით (ღუთის მადლით გონება გვაქუს გახსნილი და ვა-რთ დაკმაყოფილებულები ნივთიერის საჭიროებებითა), დაატკბობს თქუჱნ გულსა. კიდევაც ვფიქრობ, რომ ალერსი თქუჱნის ქალისა, რომელიც განვი-თარებულია სწავლითა და რომელსაც ტრფიალე-ბით უყუარსართ, აავსებს ასეთის განცხრომითა, რომელსაც უმისოთ ვერა დროს ვერ წარმოიდ-გენდით.

-ოო, ეგ სრულიად მართალია!

ჟორჟი წამოდგა და მიეგება თავის ქალსა; მა-გრამ მაშინვე დატრიალდა და წავიდა ბაღჩაში, სადაც შეჰყვა მას მადელენიცა.

## IV

### უბნობა შარლესი და რენოსი.

ქორჯი რომ წავიდა პატარა ხანს უკან შარლემ უცებ ჰკითხა რენოს: ცოლს ხომ არ ირთავო.

-ჯერ არა, უპასუხა ყმაწვილმა კაცმა არევით, მაგრამ მაგ კითხვას მოსდევს მეორე. უფალო შარლე, ცოლშვილი ხომ არა გყოლიათ?

-არა, მაგრამ მაგაზე მე რათა მკითხავთ?

-ისე, მე მამივიდა თავში გასაოცარი აზრი, თქუენ ასე გიყვარსთ მადლენა, რომ ფიქრში შევდივარ და მეჩუენება, თითქოს ეს ქალი მოგაგონებსთ თქუენ ქალსა, რომელიც გყოლიათ და აღარა გყავსთ.

-რასაც ფიქრობთ, მე არ გადამხედია, მხოლოდ მადლენა მიყვარს მშუენიერის ხასიათებისათჳს!

-ისი ყველას უყვარს, ვინცკი იცნობს. ხშირათ მამივა ფიქრში, რომ მადლენა არ უნდა იყოს მეთქი იმ წოდებისა, რომელსაც ეკუთვნის ესლა. მე მისი ღირსება ისე კარგა არ შემიძლიან ვიცოდე, როგორც თქუენ, მაინცკი დარწმუნებული ვარ, რომ ეს ქალი არის საუცხოვო გულისა და

გონებით განათლებული.

-მოხარული ვარ, რომ თქჳენ ეგრე ფიქრობთ და მოურიდებლივ გეტყვი. მადელენა იყო მიზეზი წელანდელის ჩემის გასაოცარის კითხვისა, როდე-საც ვუყურებ ამ ქალის მშჳენიერ სახესა და ვხე-დავ, რა ძლიერ უყვარს მას მამა, რა სათნო, გონიერი და შრომის მოყვარეა, მაშინ წარმომი-დგება, რომ სწორეთ ამისთანა ცოლი უნდა გყვან-დეს თქჳენა.

-ეგ რას ნიშნავს, სიტყჳს ხომ არ მიგდებთ მადელენაზე? ჰკითხა რენომ.

-სრულიად არა,-უპასუხა მარლემ, ჩემგან წარ-მოთქმული რჩევაც არ არის: მე მხოლოთ გარდ-მოგეცით აზრი, რომელიც მეჩჳენება ერთი ორად სასარგებლოდ.

-მადლობელი გახლავარ მაგ გვარ მონაწილე-ობისათჳს, მაგრამ უკეთესი მადლობა იქნება ჩე-მის მხრით, თუ განცხადებით ვიტყჳ ჩემ აზრსა. მე თჳთან რავდენჯერმე მამივიდა ფიქრში ცოლის შერთვა. მაგრამ ორი რამ მაყენებს. პირველი, რომ შევირთო მადელენა, ჯერ უნდა ვიცოდე წარ-სრული ცხოვრება იმისს მამისა დავრწმუნდე, რომ

მას ცუდი საქმე არა მოუსდენიაჩა; მეორე მე ვარ ღარიბი და ეხლა მხოლოთ შეუდეგ აღებ მიცემობასა, რომლის გამო ვალი ავიღე; ამიტომაც ვფიქრობ, მანამ ჩემ საქმეს კეთილად არ წავმართავ, ცოლშვილს ვერ მოვეჭიდები.

-ჩინებული პასუხია. მე დარწმუნებული ვარ, საქმე კეთილად წაგემართებათ, ნამეტნავათ მაშინ უფრო, თუ, მოხმარების დროს პოლიტიკურ ეკონომიის საქმეში, მიენდებით უფრო გამოცდილებასა და კონებასა, ვიდრე თეორიასა და სხჳს აზრებსა.

-უკაცრავათ, იმედი არა მაქჳს, რომ ჩჳენ მაგაზედ ჩქარა დავთანხმდეთ. ქორჯი არა სტყუის, რომ დრტჳნავს საზოგადოობითის აგებულობაზე. ჩჳენ ამ წამს დაუმტკიცეთ ქორჯსა საჭიროება და სარგებლობა შრომის გაყოფისა, მაგრამ იმას ჰქონდა სრული უფლება ეთქო რომ, სარგებლობა შრომის გაყოფისა სასარგებლოა მხოლოთ ფულისათჳს, რომელიც შეუკრებიათ რავდენიმე კაცსა, რასაკჳრველია, ამითი დაიჩაგრება მთელი ხალხი.

-აი ჩინებული საგანი, რომელზედაც ჩჳენ უთუოთ ჯერ ვიბაასებთ. და დავასრულებთ მით, რომ

ორნივე გადავალთ ერთ აზრზე.

-რაქენით, არ გაათავეთ ლაპარაკი პოლიტიკი-ურ ეკონომიაზე?--ჰკითხა ჟორჟმა, რომელიც დაბრუნდა ბაღჩიდამ.

ჯერ არა,--უპასუხა რენომ. ჩუ̂ჱნ მხოლოთ მოვემზადენით საბრძოლავად, რომელიც იქნება მლიერი; მე კი ეს ბრძოლა ვიკისრე, იმ იმედით, რომ თქუ̂ჱნ მამცემთ შემწეობას.

-გამიგონეთ, უფალო რენო,--უთხრა ჟორჟმა,--მე და თქუ̂ჱნ ერთმანეთს არ მივემზგავსებით: მე ვარ უბრალო კაცი, უბინაო და უმამულო, თქუ̂ჱნ კი მიემზგავსებით მებატონესა.

-ეგრე არ არის ჟორჟ, მე და თქუ̂ჱნ მრავალში მივემზგავსებით ერთმანეთსა, ამიტომ რომ თუ მე ეხლა როგორმე მოვემზგავსები მებატონესა, წარმოიდგინეთ, რომ მამა ჩემი იყო თქუ̂ჱნსავით უბინაო და უმამულო კაცი: ის იყო ხელოსანი, რომელსაც ხელების მეტი არა ჰქონდარა; გარდა ამისა მეც იჯარით მიჭირავს სხჳს მამული, როგორც თქუ̂ჱნ.

-რა მეთქმის, კარგი მოიჯარადარე კი ვარ როდესაც უქონლობის გამო, იჯარა უნდა გადვი-

ხადო დღიურ მუშაობითა. —

-მამა ჩემსაც ფული არა ჰქონდა. ის იყო უბრალო ხელოსანი; ზამთრის დღეში მუშაობდა აბაზ ნახევარ შაურათ, ზაფხულის დღეში შჯდ შაურ ნახევრათ; მერმე მამაჩემა აიღო იჯარით პატარა მამული, სწორეთ ისეთი, როგორიც თქვენ გიჭირავსთ, და ათ წელიწადს იმოდენი სიფთხილე მოიხმარა, რომ შეაგროვა რავდენიმე ფული. ამ ფულით შეისყიდა მამული, რომელიც ამლევდა იმდენს, რომ ვალით გადახდა წვრილწვრილათ; ამ გვარათ შეიქმნა მამულის პატრონი, მებატონე.

-მებატონე და ფულიანი, დაუმატა შარლემ.

-ფულიანიცა! თქვა ჟორჟმა სიცილით.

-სწორეთ ფულიანი და მებატონე.

-მაინც კიდევ ვერ დამაჯერებთ, რომ შაეკრიბოს მას ბევრი ფული!

იქნება თქვენ ფიქრობდეთ, რომ კაპიტალი (*) შესდგება მხოლოთ მრავალ ფულისაგან?

-უეჭველია. ეგ საზოგადო აზრია.

(*) კაპიტალი ნიშნავს მრავალ ფულსა

-რას წარმოადგენს ფული, მაგალითად, აბაზი, მანათი და სხ. თუ არ შრომის ჯამსა!

-ნამდვილად ეგრე გასლავს.

-მაშასადამე კაპიტალი არის შეგროვებული შრომა?

-უეჭველია.

-თუ გავცვლით რავდენსამე ფულს რომელიმე ნივთზე, მაშინ ეს ნივთიც ეგრეთვე წარმოადგენს თუ არა შრომასა?

-წარმოადგენს.

-მაშ ჩანს, რომ თხა, თოხი, რავდენიმე ადლი მიწა წარმოადგენენ შეგროვებულ შრომასა და მაშასადამე კაპიტალსა?

-ეგ მართალია.

-და ესრეთ ყოველი მოპოვებული ნივთი, ძჳრფასისათუ იაფი ფასისა, შეადგენს კაპიტალსა?

-თანახმა ვარ.

-და ესრეთ,--განაგრძო მარლემ,--მამა რენოსი შეიქმნა კაპიტალის მქონე იმდროს, როდესაც ხელების მეტი არა ჰქონდარა და იშოვა შჳდი აბაზი. როდესაც იჯარით აიღო მამული, მაშინ იმისი კაპიტალი გამრავლდა მიწის სამუშაო იარაღებითა, და უკანასკნელ, როდესაც იყიდა მამული, შეიქმნა

დიდის კაპიტალის მექონე. მაგრამ, ამასაც ნუ დაივიწყებთ, რომ რენოს მამამ არა თუ ნივთები შეკრიბა, მასთანვე ამ ნივთების ნაწილი გაცჳალა შვილის აღზრდაზე. უფალი რენო კარგაა განვითარებული, და ეს განვითარება წარმოადგენს კაპიტალსა, რომელიც მამამ დახარჯა ამათ სწავლაზე; შვილმაც მიიღო მამისაგან ფული, მამული, სწავლა.

-სწორეთ ეგრე უნდა ყოფილიყო.

-ამ სახით ნივთიერს კაპიტალსა ჩჳენ უნდა დაუმატოთ ზნეობითი კაპიტალიცა.

-მაგ აზრს ამტკიცებს სეი, თუმცა სმითი წინააღმდეგია; თქჳენ კი დაამტკიცეთ, რომ სეი არა სცდება,--უპასუხა რენომ.

-მაშასადამე ნივთიერი კაპიტალი და უნივთიერო კაპიტალი ერთის ფასისანი არიან. აქედამ სჩანს, საყჳარელო ქორჯ, რომ მსაჯული და ნოტარიუსი სწორეთ ისე მუშაობენ, როგორც თქჳენ და მიიღებენ ღირებულ ფასსა შრომისათჳს.

-კარგი,--თქჳა ქორჯმა,--მაგრამ მე იმაზე თანახმა არა ვარ, რომ მსაჯული და ნოტარიუსი იმოდენს შრომობდნენ, რავდენსაც მე ვშრომობ და

რომ ჩემი შრომა მამცემდეს ღირებულ ფასსა, მაშინ როდესაც მათი მცირედი შრომა ღირებულ ფასად გადის.

-თქვენ სცდებით,--ამას შემდეგში გიჩვენებ. მე ჯერ ვამტკიცებ, რომ ორივე გვარი კაპიტალისა (ნივთიერი და ზნეობითი) თანასწორად დაფასდებიან.

-მხოლოთ იმ განრჩევით, ამბობს სეი,--წამოიძახა რენოდ,--რომ ზნეობითი ნაწარმოებები ისეთის თვისებისა არ არიანო, რომ მათი შეკრება შეიძლებოდესო; ამიტომაც ეს ნაწარმოებები საერო კაპიტალს ვერ გაავრცელებენო..

-მითამ ეგრეა, უფალო რენო?--ჰკითხა შარლემ და მერმე განაგრძელა: ცოდნა შეადგენს კაპიტალსა, მაშასადამე ეს კაპიტალი გავრცელდება იმოდნად, რამდენ გავრცელდება ცოდნა. ცოდნა მაშინ მხოლოთ გავრცელდება, როდესაც შეიკრიბება; მაშინ კაპიტალიც, რასაკვირველია, შეიკრიბება. ეს ცხადია, ამიტომ რომ რამდენ კაცი მსწავლულია, იმოდენ უკეთესათ ეყურება მას თავისი საქმე, და მაშასადამე მით უმეთესს შეიძენს ისი ფულსა, ესე იგი მით უმეტესს შეიძენს ნივთებსა სამაგიეროთ იმ სამსახურისა, რომელიც მან უძღვნა

საზოგადოებას თავისის ცოდნითა თუ ხელოვნებითა.

-უფალო შარლე,--თქჳა ჟორჟმა,--ნება მიბოძეთ გკითხო ერთი რამ. თუ კაპიტალი არის შეკრებილი შრომა და თუ ყველას აქჳს ღონე და მოქმედება და შაუძლიან გადაარჩინოს ყოველდღე ერთიზომად ჯამი თავისის შრომისა, მაშ როგორღა მოსდება ხოლმე, რომ ყველას არა აქჳს თანასწორი კაპიტალი?

-ამიტომ, რომ პირველად, ყველანი თანასწორად გულმოდგინედ და გაუკეთესებულ ხელოვნებით არა შრომობენ, და მეორედ, მრავალნი უგუნურად გადააბნევენ თავიანთ ნაშოვარსა, ზოგთ კი მოეწევათ სხჳადა--სხჳა უბედურება, ავათმყოფობა, და სხჳა ცუდი გარემოება, მაშინ, რასაკჳრველია შემოეხარჯებათ შეკრებილი კაპიტალი. ეს არის მიზეზი, რომ ყველას არა აქჳს თანასწორი კაპიტალი; ეს მიზეზი კიდევ ერთი ათათ გავრცელდება ჩჳენის ურიგო წესდებულებებისაგან. თუ რომ რენოს მამას გადაებნია თავისი ფული, განა ნაწილი ფულისა, მაშინ ისი ველარ შეკრებდა ოცდა ათწელს შჳდას ორმოცდა ათ თუმანსა,--რასაკჳრველია ამ ფულში უნდა შევრიცხოთ ხარჯი, რომელიც მოუ-

ნდა რენოს აღზრდაზე,--ესე იგი ვერ გადაარჩენდა სამუშაო დღეების სამეულ საფასურსა, რომელიც მან გასცვალა მოხსენებულ დროს განმავლობაში.

-როგორ მოხდა ეგე?

-უბრალო ანგარიშია. რენოს მამამ იმუშავა **30** წელიწადი, ანუ **9.000** დღე და შეიძინა (დღეში ხუთშაურ ნახევარი) ორასს ორმოცდა ათი თუმანი. რა შეკრიბა შჳდასს ორმოცდა ათი თუმანი, შეიძინა კაპიტალი, რომელიც ეთანასწორებოდა **27,000** დღესა, ესე იგი ერთი სამათ წლის ნამუშავარსა, ანუ **90** მუშის ნამუშავარსა ერთის წლის განმავლობაში.

-ეგ შეუძლებელია.

-თჳთონ თქჳენ იანგარიშეთ. თუ არა გჯერათ,

-როგორ შეიძლება, რომ ამ მცირედმა ფულმა (ხუთშაურმა დღეში) შეადგინოს **30** წელიწადს შჳდასს ორმოცდა ათი თუმანი?

-ეს არის საკჳრველი შედგომილება ორ გვარის კაპიტალისა მაერთებისა. ერთ გვარს ეწოდება ვნებითი შრომა, მეორესა მმოქმედი შრომა; უკანასკნელი მოქმედობს პირველის საშუალობით, წარმოიდგინეთ, როდესაც რენოს მამამ შეკრიბა ორ-

მოცდა ათი თუმანი, მაშინ ისი მუშაობდა წელი-
წადში **300** დღეს კი აღარა. არამედ **2500**
დღეს; ამ დღეებიდამაც გადაარჩენდა ისი რავდე-
ნიმე ფულსა, რომელიც, რასაკვირველია, მოსცემდა
თავისის მხრითაც შემოსავალსა.

-ეგ ხომ ეგრეა.

-რა ვრცელია სახიერეა ღჳთისა, რომელმაც მისცა
კაცსა იმოდენი ღონე და მეხსიერება მოქმედებისა,
რომ ისი არა თუ მოიპოვებს ყოველს მას, რაც
კი ესაჭიროება, არამედ შეიკრებს კაპიტალსაცა,
რომლის საშუალობით დაიმკვიდრებს თავისს ნივ-
თიერ კეთილ მდგომარეობასა და ზნეობითს ბედნ-
იერებასა! ვინ არ შესწირავს სულით შემუსვრილ-
ით მადლობასა მას, რომელმაც მოგვანიჭა ჩუენ
ეს წყალობა! ცანი ღაღადებენ დიდებასა ღჳთისასა
იტყჳს საღმრთო წერილი, მაგრამ სხუა-და-სხუა
ხმაურობა კაცის შრომისა, რომელიც ეხლა ჩუენ-
ამდე მოაწევს, ნუ თუ ეგრეთვე მხურვალეთ არ
აქებენ ღმერთსა? ეს ხმაურობა კაცის მოქმედებისა,-
რომელიც მოგვაგონებს, რომ კაცი ზეგარდამო
მონიჭებულის მეხსიერებით ყოველდღე გადაარჩენს
რავდენსამე ნამუშავარსა, რომ კაცმა დაიმორჩილა

მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი, რომ კაცი მისწჳთა იქამდის, რომ ისარივით სწრაფად გადაფრინდება დიდ სივრცეს და წამის დახამხამებამდის გადასცემს თავისს აზრსა ერთის ჩვენის კიდედამ მეორე კიდემდის,--ნუ თუ არ გვეუბნება, რომ ჩვენ ლმობიერის გულით უნდა მივიდრეკდეთ მუხლსა წინაშე მისსა, რომელმაც ამ სახით აგვამაღლა!

ყველანი მოწიწებით მდუმარებდნენ. და, ცხადად უსჩნდა, თჳთოეული იმათგანი გულში ლოცულობდა. შემდეგ რამდენიმე ხანისა მარლე და რენო გამოესალმნენ ქორჯსა. უკანასკნელი დიდ ხანს კიდევ დარჩა იმ ადგილსა, და, როგორც ეტყობოდა, ფიქრებში იყო გართული.

ლავრ. არდაზიანი.

# ლექცია XII.

სუნთქჳა. სუნთქვის იარაღი. ცხვირი, სასულე ფილტვები.

მომქცევი სისხლი, რომელიც მიდის ყველა ტანის სხეულიდგან გულის მარჯჳენა მხარის ნახევარში,—და აქედგან, გულის მარჯჳენა მხარის ნახევრიდგან მიდის ფილტვებში და მერმე მარცხენა ნახევარში, საიდგანაც მფეთქელი ძარღვებით ორგანებში გადის, მომქცევს სისხლს ჯიგრის ფერი და შიგ უვარგისი ნაწილები აქჳს; როდესაც ეს სისხლი გულთან მიდის ეს უვარგისი ნაწილები მაშინ ერევა. მფეთქელი ძარღვი ალისფერია, სრულებით სუფთა და ტანის სახზელათ ვარგისია. აქედგანა სჩანს, რომ მომქცევი სისხლი ფილტვებში იწმინდება, ახლდება და ფერსაც იცვლის. ამ სისხლის წმენდას შველის ჰაერი. რა არის ჰაერი?—შემდგომ ლექციაში წვრილათ გაგიმარტებთ, და ეხლა მხოლოდ ამას მოგახსენებთ, რომ ჰაერი ღაზია, რომელიცა გავს ორთქლსა, წყალზედ უთხელესია და აგრეთვე სხვა სითხეებზედ, რომელსაც ჩჳენა ვხმარობთ საჭმელ სასმელათ. ჰაერი, როგორც დიდი ზღჳა ისრე მოდებულია მთელ დედა-მიწაზედ. როგორც წყალში თევზები ცურვენ, ისრე ჩჳენ ჰაერში ვმოძრაობთ, ფრინველები იმაში ფრინვენ; ჰაერი ისრე თხელია, რომ როდესაც ქარი უბერავს, კაცი მხოლოდ მაშინა გრძნობს. ქარი ჰაერის მოძრაობა. როდესაც კაცი

თბილს ოთახშია, ცდილობს პირი გაიგრილოს და მაშინ ხელცახოცით ანუ საზერავით, რომ იგერებს ჰაერს ქარი-კითა გრძნობს. მაშინ პირის კანითა ვგრძნობთ, რომ ჰაერის ტალღა სიგრილით ლოყებში გვცემს, ჰაერი აგ-რილებს და სწმენდს იმ სისხლსა, რომელიც მარცხენა გულის ნახევრიდგან ფილტვებში გადის, სადაც ჰაერი ხვდება. და ფილტვებში ჰაერი რომ ჩავიდეს, ამისათჳს ჩუენს ტანში არის რამდენიმე მომზადებულებანი, რომე-ლნიც ყოველ წამს უხილავათ სწევენ გულში ჰაერსა. ამ ჰაერის შეწევას სუნთქვას ეძახიან და მომზადებულებათ, რომლითაც ვწევთ ჰაერსა, სუნთქჳს ორღანებსა.

პირველი სუნთქვის ორღანი ცხჳრია. ცხჳრი არის პა-ტარა ფოსო, რომელიც სამის ძვლისაგან არის შედგე-ნილი: ორი ძვალი გვერდებზედ აქუს და ერთი ზეით, რომელიც ბოლოდგან ცხჳრის ხერხემალზედ მიდის. თა-ვის სარქველი რომ გასტყავოს კაცმა (*) ცხჳრი უმსგავ-სად გამოჩნდება, თითქო მოშორებული აქუსო. ეს ამი-ტომ რომ იმის ძვლები ისრე პატარები არიან, რომ ცხჳრის ბოლომდინ ვერა სწვდებიან. ამ ცარიელ ადგი-ლას კუთები მდებარებენ, რომელნიც, როცა ცხჳრი გაგა-ნიერდება ანუ მოეჭირება, ყოველთჳნ იძვრიან. შიგნიდ-

---

(*) რომ ძვლების ანატომია კაცმა კარგათ ისწავლოს, უნდა ხორცი, ქონი და კანი მოაცალოს და მერე გატ-ლეკილი ჩონჩხის ძვლები ტანი, როგორც თავის სარ-ქუელი, ისრე მარტო ძვლები იქნება, და რაც კაცს ან ძვლების შიგნით აკრავს, ან გარეთ არა ექნება.

გან ცხჳრი იყრთვება წვრილის ძვალით ორ ნახვრეტათ: ეს ძვალიც ცხჳრის ბოლომდინ ვერა სწვდება, და გატ-ლეკილ თავის სარქველზედ ამ ძვლიდგან იწყობა კაკნა-ტელა, რომელსაცა ჰქჳან ცხჳრის ფარი ორივე ცხჳრის ნახევარს, რომელნიც ერთი მეორესაგან გაყოფილნი არი-ან ჰქჳან ნესტოები. როგორც ხედავთ ცხჳრის ნესტოე-ბი კაცს ღია აქჳს, რომ ჰაერს შეეძლოს შესვლა. უკან ცხჳრს ორი პატარა ნახვრეტი კიდევა აქჳს; ისინი ცხჳ-რის ნესტოებზედ უფრო პატარები არიან და პირის ნახევის პირდაპირ არიან, სასას უკან გულის კოჳზთან, სადაც პატარა ენა ჰკიდია. აქ ენის ძირიდგან იწყება სასული და ყანყრატო; პირველი უფრო წინ. არის მეორეზედ, მეორე იმის უკან არის ზურგის ძვალში ორი-ვე ცხჳრის ნესტოს შიგნიდგან დუჟის გარსი სცხიათ, რომელიც შუა საჭმლის მოსანელებელ ორღანების გარ-სსა გავს. ამაშიაც არიან ჯირკვლები; ეს ჯირკვლები ყოველთჳს დუჟს უშვებენ, რომელიც ცხჳრისათჳს ყოვე-ლთჳს საჭირო- გაციებისაგან, როდესაც კანის ტენი და-რჩება შიგ კანში და არ გამოვა, დუჟის გარსში სისხ-ლის ავარდნა მოხდება. ცხჳრი დაუსივდება, გაუგანიერ-დება და ნესტოები თითქო გაუვიწროვდება. როგორც ამბობენ ცხჳრი მოუჭერს. ამ სნეულებას სურდო ქჳან. პირველათ სურდოს დროს ცხჳრი გაუთბება და გაუშრე-ბა,—ამისათჳს, რომ დუჟის გარსში ძრიელ სისხლის ავარდნა მოხდება. შემდგომ ცხჳრიდგან ბევრ ლორწოს დენას დაუწყებს და ხანდისხან ყვითელფერს, რომელიც ჩირქსა გავს. სურდო ყველამ იცით ხშირი და უშიშარი

სნეულებაა, ის სამი დღიდგან ხუთ დღემდე გაგძელდება და მომეტებული ნაწილი თჳთონ გაივლის. სურდო მთელი ტანის გაციებისაგან დაემართება, და რომ კაცი იმისაგან განთავისუფლდეს, უნდა ისრე იწამლოს, როგორათაც გაციებულმა, ე. ი. დალიოს ოფლის მოსაყვანი სასმელები, იჯდეს თბილს ოთახში და მთელი ტანი აბანოში გაითბოს ორთქლით. ამაზედ მე თავის ალაგს მოგახსენეთ და თუ სურდო ძრიელ აწუხებს და ცხჳრში მალიან უჭირს, უნდა დანაყილ შაქარს უსუნოს ანუ ძროხის თბილი რძე შეისრუტოს. არიან ზოგნი, რომელთაც მთელი წელიწადი სურდო სჭირთ: თბილ დღეებში მოუკლებს და ცივში მოუმატებს და ხშირათ ხველებასთან ერთათ მოუა. ამ გვარ კაცებმა უნდა ზაფხულში ხშირათ ყინულის ნატეხები ცხჳრზედ წაისვან და როცა დაეჩვევა მერმე ზამთარშიაც ადვილათ წაისვამს, რომელიცა შჰწლის. ხნიანებისათჳს სურდო საშიში არ არის; მაგრამ ძუძუს ბავშვებისათჳსკი ცუდია. ძუძუს წოვების დროს, უნდა რომ ჭაერი თავისუფლათ ცხჳრში შეზდიოდეს იმ დროს, როდესაც რძე ძუძუდგან ბავშვის პირში ჩადის, და თუ ცხჳრი წმინდათ არა აქჳს, და ლორწოთი გამოტენილია, მაშინ ბავშვი არას დროს კარგათ ვერ მოსწოვს, მაშ ვერც კარგათ გაძღება და ამისგამო გახდება; ბავშვს რომ ეს არ დაემართოს, უნდა ეცადონ, რომ ბავშვის ცხჳრის ნესტოები წმინდათ იყვნენ, ტილოთი გამოსწმინდონ და გამოიტანონ რაც შესქელებული ლორწოა, უნდა თბილი ძროხის რძის ოყნა გაუკეთონ, ანუ დედის ან ძიძის რძე ცხჳრში ჩააწვეთონ. ამას გარ-

გათ უნდა მოუარონ, ამიტომ რომ ამ გვარი უბრალო და ჩქარა გასავლელი მიზეზები, დედის ყურის უდებლობით, დაშლიან ბავშვის ჯანსა, ამიტომ რომ ერთხელ კარგათ ვერ მოსწოვს ბავშვი ძუძუსა.

სურდოს გარდა, რომელსაც უექიმოთაც შინ მოარჩენენ,—ერთ ცხვრის სნეულებას მოგახსენებთ. ეს სნეულება, რომ გაძნელდეს ექიმობა უნდა, მაგრამ მინამ საექიმომდინ საქმე მიაღწევს უვარგისა არ არის, რომ გამოცდილმა კაცმა გაიგოს საქმე და პირველ შემთხვევაში უწამლოს. მე ცხვირიდგან სისხლის დენაზედ მოგახსენებთ.

ცხვირიდგან სისხლის დენა კაცს სხჳა და სხჳა მიზეზებისაგან დაემართება, არიან ზოგნი, რომელთაც სისხლი ჭარბათა და წითელი ლოყები აქჳთ, იმათ, ყმაწჳლობის დროს, თავში ხშირათ აუვარდებათ სისხლი, აქედგან წარმოსდგება თავის ტკივილი, გულის წუხილი, მოუსვენარი ძილი. ამისთანა კაცთ ცხვირიდგან ზომიერი სისხლის დენა ასუბუქებს, აქ სისხლი პოულობს გზასა და რაც მეტია გარეთ გამოდის. მაგრამ ხან, რომელნიც ფერ უვითლები და გამხდარნი არიან ანუ სხჳა და სხჳა მიზეზებისგამო, იმათ დაემართებათ ხოლმე ცხვირიდგან სისხლის დენა, ამიტომ, რომ იმათი სისხლი ძალიან თხელი და წყლიანია და ამისგამო მალე გამოსკდება სისხლის ძარღვს გარსიდგან. ამგვარ კაცებმა სისხლი არ უნდა დაჰკარგონ და როცა ცხვირიდგან სისხლი წასკდეთ უნდა მაშინვე შეიწყვიტონ. თორემ ასეთი გულის წუხილი მოუათ, რომ კაცი ველარ მოაბრუნებს ანუ მაინც ძალიაან გახდებიან და ღონესაც სრულებით დაჰკარგვენ. რო-

მელსაც ადვილათ ველარ დაიბრუნებენ.

უნდა გახსომდეთ, რომ სანამ სისხლი ცხვირიდგან თითო წვეთობით გამოდის ძალიან საფრთხილებელი არ არის, საკუთრივ თუ კაცს ათაში ერთხელ დაემართება ხოლმე და სისხლის დენა ხუთს ან ექვს მინუტზედ მეტს ვერ გასწევს. და თუ სისხლი წყაროსავებ შესწყდა და დაუკლებლივ დაუწყო დენა, მაშინვე უნდა შესწყვიტოთ და ხანი არ გაატაროთ. აი რა ღონისძიებანი უნდა მოიხმაროთ: უნდა ცხვირის წვერი ცივის წყლით დაისველოს, ცხვირის ნესტოში პატარა ნაჭერი ცივ წყალში გავლებული, ანუ პატარა ყინულის ნამტვრევი პატარა ნაჭერში გახვეული უნდა შეიდოს, ცივი წყალი ცხვირით შეისრუნტოს, წვრილად დანაყილ შაბს უსუნოს, ძრიელ სისხლის დენაში ურჩევენ რომ ის მკლავი, საით მხარესაც ნესტოდგან სისხლი გამოდის უნდა მაღლა თავ ზეით აიღოს და დიდხან დაიჭიროს, ეს ხანდიხან შველის. კიდევ არის უბრალო ღონისძიება, სისხლის შესაწყვეტათ: უნდა ორის თითით მოიჭიროს ცხვირის საფარველზედ (*) ცხვირის კაკნატელასთან, ე. ი. მოკლეთ რომ ვსთქვათ უნდა ცხვირს მოუჭიროთ; ამ დროს კაცი უნდა იჯდეს და ცოტათი თავ ჩაღუნული იყოს. აქ სისხლი იმიტომ შესწყდება, რომ მოგროვილი სისხლი, რომელსაც უჭირენ, შესქელდება, და როგორც პრობკა ისრე დაუცობს იმ ადგილას, საიდგანაც სისხლი გამოდ-

(*) ცხვირის საფარველი კანსა და კუთებსა ჰქჳან, რომელნიც ცხვირს გვერდსა ჰფარვენ.

ის. ამ რიგათ მოქმედებს მაზიც, ის ასქელებს სისხლსა და შრატავს, ცივი წყალი კი, როგორც ყველა ცივი რამე, ავიწროვებს სისხლის ძარღვებსა და ამ გვარად აგ-უბებს იმათ სათავეს.

მე მოგახსენეთ რამდენიმე ცხვირის შესაწყვეტი ღონის ძიებანი პირველ შემთხვევაში; მაგრამ გირჩევთ, რომ მარტო იმედი იმაზედ არა გქონდეთ, და თუ სისხლი ხშირათა და ბევრი ზდის კაცსა, უეჭველად ექიმის შემ-წყობა უნდა, ამიტომ. რომ ხშირი და მძრიელი ცხვირი-დგან სისხლის დენა ხანდისხას გულის ტკივილისა და დიდის ძარღვებისაგან მოხდება, და ამ სნეულებას მხო-ლოდ ექიმი გაიგებს და მოარჩენს.

ცხვირის უკან სასულე მდებარეობს. ეს ისეთი მილია, რომელიც შედგენილია მრგვალის კაკნატელებისაგან, რო-მელნიც გრგოლივით ერთმანეთზედ აწყვიან და წვრილის კანით გადაბმულნი არიან. ეს სასულე პირის ნა-ხვრეტში ენის უკან იწყობა, მიდის წინა კისრის ნაწილ-ზედ, სადაც ერთი კაკნატელა საკუთრივ კაცებს აქვთ გამოშვერილი და ჰქვან ყანყრატო. ყელს რომ გასცილ-დება, სასულე გულის ფიცარში ჩაეშვება და სწორეთ იმ სიღრმეში, სადაც ზეით გულის ძვლის ბოლოა, ორ დიდ მილათ განიყოფება, რომელთაგანიც ერთი მარჯუ-ენა ფილტვში მიდის და მეორე მარცხენაში.

შუა ყელში, სადაც ყანყრატოა, შესავალი ვიწროვდება ამიტომ რომ აქ რამდენიმე წვრილი და მოკლე კანებია, რომელნიც ერთის კაკნატელადგან მეორესთან ბრუდეთ მიდიან, შეუძლიან დამოკლება და გაგრძელება, როგო-

რათაც კუთებსა და რომლის გამო ხმა წარმოსდგება, როგორათაც კატისა, ისრე პირუტყვისა. ამაზე თავის დროზე მოგელაპარაკებით.

როგორც ცხვირსა, ისე სასულესა სცხია შიგნ-იდგან დუჟის გარსი. ამ გარსზედაც შეგროვდება ხოლმე მომეტებული ლორწო, რომელსაც ჰქვან სასულეს კატარა. კატარა და გასიება სასულესი ხმას ახრინწებენ, რომელსაც არჩენენ ოფლის მომყვან სასმელით, ქონით ყელის უზილვენ, სპირტით ანუ პირსახოცებს ცივ წყალ-ში გაავლებენ კარგათ გასწურვენ და მერმე ამით ყელს შეუხვევენ. ძლიერი ყელის სნეულებანი საშიშონი არიან და ექიმობა უნდათ. უმაწვლებს ყელის ტკივილი ბევრ ნაირი აქვ̂თ, მაგრამ ყველაზე საშიშო ერთი სნეულებაა რომელსაც ხრინწს ეძახიან. ხრინწის დროს სასულეში ყელში დუჟის გარსზედ მალე გამოდის ახალი კანი, რო-მელიც სრულებით საჭირო არ არის. და ყელის შესა-ვალს მიეფარება. ეს სნეულება მომეტებული ნაწილი სა-ღამოზე ანუ შუაღამისას მოუსთ ხოლმე. ამ დროს ბა-ვშვი, როგორც პატარა სამამლე ისრე, დაიჭყავლებს, გაყინიანდება, ხან აკვნიდგან უნდა რომ ხელში აიყვა-ნონ და ხან ხელიდგან აკვანში, ლურჯდება, ღონესა ჰკარგავს და შეიძლება, რომ მსწრაფლად მოკჳდეს. მხო-ლოთ ერთი ღონისძიება უნდა მოიხმარონ, მაშინ კაცმა, ე. ი. ის კანი უნდა იქიდგან მოაშოროს, ამისათჳს მაშინვე ბავშვს პირის სასაქმებელი წამალი უნდა დაალე-ვინოს. თუმცა ეს წამალი კუჭში ჩავა, მაგრამ როდესაც ღებინებას დაუწყებს, მაშინ ადვილად შეიძლება, რომ

პირღებინების დროს ის განი თან ამოჰყვეს. ზოგჯერ ზამთარში, როგორც შესაყარი სნეულება, ისრე ბავშვებს დაერევა ხოლმე. ამ დროში ყოველ დედას უნდა ჰქონდეს შემთხვევისათვის, პირის სასაქმებელი პარაშოკი, ანუ პირ სადებინებელი ქვის გაპლი, რომელსაც თავის დროზე ექიმი აფთიაქიდგან გამოუწერს; ეს მხოლოდ პირველ შემთხვევაში უნდა და მერმე ექიმმა უეჭველად უნდა უწამლოს. ხოინწს კაცი ძნელათ მოერიდება, მაგრამ კიდევ მაინც, როცა მეზობლების ბავშვებს შეხვდებათ, უნდა ქუჩაში ბავშვ არ გაუშვათ, საკუთრათ იმ გვარ დღეებში არ უნდა გამოუშვათ როდესაც ჩრდილოეთიდგან ცივი ქარი ბერამს.

მესამე ყველაზე დიდი სამზადისა სუნთქვისა ფილტვები. არიან ფილტვები არის მჩატე და წონით მსუბუქი შინაგანი, რომელიც ყოველ კაცს შეუძლიან ნახოს მხეცის მუცელში, რომელსაც საჭმელში ვხმარობთ. ფილტვები მდებარებენ გულის სიღრმეში, განიან პარკებში. მარჯვენა ფილტვი სამი ნაწილისაგან არის შედგენილი და მარცხენა ორისაგან. მარჯვენა ფილტვის წვერი იწყობა მარჯვენა გიგიბოს ქვეშ, და ბოლო ძევს მუცლის ფარზედ, სწორეთ ღვიძლზედ. მარცხენა ფილტვის წვერი იწყება მარცხენა გიგიბოს ქვეშ, და ძირს მესამე ნაწილის მაგიერათ ჰკიდია თავის პარკში გული. ფილტვებსა, როგორც მხეცებისას, ისრე კაცისას. შეუძლიან გაგანიერება და შევიწროება ამოიღეთ, რომელიც გერჩიოთ, იმ მომკვდარ მხეცისაგან ნელა სასულე, ფილტვებით ისრე ფრთხილათ, რომ არ გააფუჭოთ,—მაგრა დაადეთ ტუჩები

და ჩაზერეთ ყელში, თქჳენ ნახავთ, როგორ ორივე ფი-
ლტვის ბუშტი გაიბეროს და ჰაერით გაიმსოს; შემდე
დაანებეთ ბერვას თავი ჰაერი იქიდგან გამოვა უკან სასუ-
ლეში და ისრე დაცარიელდებიან, როგორც უწინ
იყვნენ და დაპატარავდებიან. მე ეხლა თქჳენ მოგახსე-
ნეთ, რომ სასულე, გულში რომ ჩადის, ორი მილათ
იყოფება, რომელიც ერთი მარჯვენა ფილტვში მიდის და
მეორე მარცხენაში, ფილტვებში ეს მილები კიდევ იყო-
ფებიან ბევრ პატარა მილებათ, რომელნიც იფანტებიან
ყოველ ფილტვის ნაწილებში. ეს პატარა მილები თავდე-
ბიან ბნელი და გამობერილი პარკებით, და სწორეთ ამ
ადგილებში, სადაც ესენი თავდებიან, გადიან ფილტვებში
ის პატარა ძარღვები, რომელნიც დიდის ძარღვებიდგან
მოდიან და მოაქჳთ გულის მარჯჳენა მხრიდგან სის-
ხლი. აქ ეს სისხლი ჰაერს უნდა შეხჳდეს, უნდა ჰაერი
გამოვიდეს სასუნთქებელ მილებიდგან, სისხლის ძარღ-
ვებში შევიდეს და სისხლი გასწმინდოს.

სასუნთქებელი ორღანების აწერა რომ გავათავე, ეხლა
მოგახსენებთ, ეს როგორ არის. ანუ ჰაერს როგორ ვსუ-
ნთქამთ, ყოველი შესუნთქვება ამ ნაირათ არის: პატარა
კუთები რომელნიც გვერდის წიბოებს შუა მდებარებენ,
და ერთის ბოლოთი ზეით წიბოებს ეხორცებიან, და მე-
ორე ბოლოთი ქჳეითსა, ვიწროვდებიან და ერთ წიბო-
ებს მეორესთან სწევენ, რომლისაგამო გულის ფიცარი
განიერდება და ჰაერი, ჩჳენ გარეთ, რომ არის შედის
ცხჳრში და სასულეში. აქედგან სწორე გზით, ყო-
ველ ამ ყელის მილებში, რომელნიც ფილტვებში დაფან-

ტუღნი არიან ერთი ჭაჲრის ნაწილი სისხლთან ერთდება და მეორეკი უნდა გულიდგან უკანვე გამოვიდეს.—და იმავე გზით დაბრუნდება, რომლითაც შესულა, რომლისგამო ფილტვები ჩაცვივიან და გულის ფიცარიც შეკიწროვდება. ამ რიგათ ყოველთჳს ვსუნთქამთ, ე. ი. გულში ჭაერსა ვსწევთ და გულიდგან უკანვე ვუშვებთ, და ერთ მინუტში ოცჯერ მეტათ ჩავდივართ კაცი შობიდგანვე იწყობს და სიკჳდილამდის სუნთქამს: უკანასკნელ სიცოცხლის დროს, კაცმა რომ აღარ ამოისუნთქოს, ეტყობა სული დაულევია. ჭაერი ცხჳრიდგან ფილტვებში გადის, მაგრამ პირითაც ვსუნთქამთ, სურდოს დროს პირით ვსუნთქამთ. რომელთაც პირდაღებული სძინამთ, უნდა იფიქრონ, რომ პირის სუნთქჳა იმასა ნიშნავს, რომ ცხჳრი უწმინდურობით გამოტენილია და ჭაერს არ უშვებს.

სუნთქვა სამძიმო საქმეა, იმის შეყენება ყოველთჳს მასიკჳდინებელია და ამიტომ კაცს ადჳლათ მოკლავს, თუ ყელში ხელით მოუჭირა, ანუ თოკით ჩამოჰკიდა, ანუ ცხჳრი და პირი მაგრათ დაფარა. ამ შემთხვევებში სიკჳდილი ამიტომ წარმოსდგება, რომ ჭაერი ფილტვებში ველარ შევა, სისხლი ფილტვებიდგან გულში ველარ დაბრუნდება და თავიდგან გულში, რომლის გამო მთელ პირის სახე და ტანი ულურჯდება, ამიტომ რომ მთელი სხეულში მარტო შავი, უწმინდური, მომქცევი სისხლი რჩება. უჭაეროთ სიკჳდილს, შემთომა ჰქჳან. ამ გვარ უბედურობის შველაზედ შემდგომ ლექციაში მოგახსენებთ.

სასულეს მილებს შიგნით დუყის გარსი სც-

ხიათ, ჭაერი, რომ იმაში ფილტვებთან გადის, ამ გარე-
ნს ეხახუნება, რომლის გამო სუნთქვის დროს ფილტვე-
ბიდგან ისმის, შუვილი. თუ კაცმა მკერდს ყური მაგრათ
დაადო. რაკი ფილტვები მრთელათ აქვს კაცს,
ეს შუვილი უცვალებელი აქვს. და თუ სასუნთქე მილე-
ბი დაგუბებულნი არიან, უწმინდურობით გამოტენილნი
ანუ სისხლის ავარდნისაგან დასიებულნი, მაშინ ეს შუ-
ვილი შეიცვლება, და გამოდის ხრინწიანი ხმები, გრი-
ალი და ზუზუნი. აი რისთვის, ყოველ გულის ტკივილ-
ზედ. ექიმმა უნდა ყური გულზედ დაადოს და შუვილი
გაიგოს და ამას ვინც კარგათ გაიგებს გულისა და ყო-
ველ შუვილს გაარჩევს. რომელიც სხვა და სხვა სნეუ-
ლების დროს დაემართება კაცს. შეუძლიან ყოველიფერი
კარგათ შეიტყოს და სნეულებაც მოარჩინოს.

ფილტვების სნეულება ბევრნაირია. იმათ მომეტებუ-
ლი ნაწილი, ხველით იწყება, გულის ხიხინით, სუნთქვის
შეიწროვებით და გულის ტკივილით. ამ სნეულებასებს
კაცი სველ ნახველზედ შეატყობს, რომელიც დახველების
დროს პირიდგან გამოაქვს, და ამისგამო, რამდენსამე
სიტყვას, მოგახსენებთ ნახველის სხვა და სხვა ფერზედ

თეთრი, უპრალო ნაზლა ცხვირიდგან რომელიც გამო-
დის საშიშარი არ არის, ეს ნიშნავს ფილტვების გაცი-
ების კატარას, ე. ი. მომატებულ ლორწოს გამოდენას
დუყის გარსიდგან, სასუნთქე მილებში: აქ მხოლოდ ოფ-
ლის მოსაყვანი ანუ წითელი პარაშოკით, პირ საღებინო-
ქვით, რომელიც ყველამ იციან, მალე მოარჩენენ კაცს.

ნახველი უფრო მომსქო, გარდამატებული, ყვითელი

ფერი, ნიშნავს გაძლიერებულ კატარას, რომელსაც სწო-
რე წამლობა უნდა. ზოგი ერთ საკუთრივ რომელნაც თამბაქოსა სწევენ, ხანდიხან დილაობით, გამოახველებენ ხოლმე ნახველსა, რომელსაც სრულებით მქრქალი ფერი აქვს ანარა და რუხი მაინცა. ამ ნახველისაგან, კაცი არ უნდა შეშინდეს, ის ცუდს არასა ნიშნავს, და მრთელიან ჯირკვლებიდგან გამოდის, რომელიც ყოველ კაცსა აქვს იმ ადგილას, სადაც სასულე, ფილტვებში რომ მიდის, ორად იყოფება.

მაგრამ სისხლიანი ნახველი, რომელშიაც მომქტებუ-ლი ნაწილი სისხლი ურევია, ცუდი ნიშანია, საკუთრივ ყმაწვილკაცთა ცხრამეტიდგან ოცდა რვა წლამდე, რომელ-თაც ყოველთჳნ ახველებთ, გამხდარნი არიან და გულსუ-სტიანები (*) აქ სისხლიან ნახველი სიჭლექეს ნიშნავს რომელიც არის საშიშო და ძნელათ მოსარჩენი სნეულება, თუ კაცს დიდი ხანი სჭირს სიჭლექე, იმ დროს ფილ-ტვები კაცს ცოტ ცოტა უხდება, ულპება და სრულიათ მოიშლებიან, კაცმა თავის თავი, როგორც უნდა დაიცვას

(*) ფილტვებიდგან სისხლის დენა ხან ძრიელ ექნება ხოლმე კაცსა. დაწყების დროს კაცსა ჰგონია, რომ ვი-თომც თბილ წყალი გულიდგან ყელში მოსდის და ამის შემდეგ პირიდგან გამოდის. ეს სნეულება საშიშოა; პი-რველ შემთხვევაში შველის უბრალო მარილის მიღება წყლითა (ორი ანუ სამი ჩაის კოვზი მარილი, ნახევარ სტაქან წყალში უნდა გაურიოს, და გარედგან ცივ წყალ-ში დასველებული პირსახოცი უნდა დაიდვას.

სიჭლექისაგან და სხჳა ფილტვების სნეულებისაგან, როგორ გაიმაგროს სასუნთქე ორღანები და გული მთლათ შეინახოს, ამა ყველაზე შემდგომ ლექციაში მოგელაპარაკებით.

## ლექცია XIII.

ჰაერი. სუნთქვის გიგიენა. სადგომმისა და ფეჩების შენახვა.

თავის დროზე ბატონებო, მოგახსენეთ, რომ კაცი უჭმელი მარტო წყალი, რომ დალიოს თვრამეტ დღეს იცოცხლებს, და უწყლოთ სამდღეს მეთქი, ჰაერი მესამე ფრიად საჭირო ნივთია ჩჳენის ტანისათჳს, უიმისოთ კაცი ერთ მინუტსაც ვერ გასძლებს, ე. ი. მხოლოდ ერთი მინუტის მეტი კი აღარ უნდა, რომ კაცმა არ ისუნთქოს და აგრეთვე ჰაერი ფილტვებში არ ჩავიდეს, მაშინვე უწმინდურის სისხლით მთელი შინაგანი აევსება და მოკჳდება.

ახლა რა არის ჰაერი?

ჰაერი არის ღაზი, ნივთიერება ძალიან თხელი და მსუბუქი, რომელიცა გავს ორთქლსა, ბუნებაში ბევრ რიგი ღაზებია ბევრი ნივთი, რომელსაც ჩჳენ დედამიწაზედ ვხედამთ, შეიძლება ღაზათ იქცნენ ჩჳენ თჳალწინ, ე. ი. უფრო იმაზე მომატებულათ გათხელდნენ, როგორც არიან. წყალი სამოვარში ადუღდება, ორთქლივით გამოვა ანუ ღაზივით: წყლის ორთქლი, წყლიანი

ლაზია, რომელსაც შეუძლიან კიდევ წყლათ იქცეს, მაშინ, როდესაც კაცი ერთ ჭურჭელში შეაგროვებს და გააცი-ებს, ანუ თუ ცივ ნივთზედ დაეცა მაგალით. მინაზედ, სარკეზედ და სხვ. ვერცხლის წყალი არის ნამდჳლი ვერ-ცხლი, რომელსაც ჩჳენ ვხედავთ ძალიან გათხელებულს, ძალიან დუღილისაგან ლაზათ იქცევა, და ძალიან სიცივ-ისაგან ცივდება, და როგორც რკინა ისრე მაგრდება. სხჳა ყველა მეტალები, ძალიან მაგარნი, შეიძლება ლა-ზათ იქცნენ; რომლისათჳსაც მხოლოდ დიდი ცეცხლი უნდა.

როდესაც უწმინდურ ალაგს შევალთ, ჩჳენ ვგრძნობთ, როგორ უსიამოვნო და საძაგელი სუნი გვეცემა ცხვირში იმ ნივთისა, რომელსაც ჩჳენ ვერა ვხედავთ: აი ეს სხჳა და სხჳა ლაზებია, რომელნიც უწმინდურის ნივთიერები-საგან იყოფებიან და მაღლა ჰაერში ადიან.

დუხის მინას პირი რომ მოვხსნათ და ოთახში დავდ-გათ, მაშინვე კარგი და სასიამოვნო დუხის სუნი ცხვირში გვეცემა, თუმცა დუხის მინა რამდენსამე ნაბიჯის სიშო-რეზე სდგას, ეს კიდევ ლაზია, დუხის ორთქლი, რომე-ლიც მინიდგან ამოდის და მთელს ოთახს ედება. ჰაერიც ამგვარია, ის იმყოფება ყველა დედამიწის ალაგს, შედის ყოველ ჩჳენის სადგომის ნახვრეტებში, ავსებს ყოველ ცარიელ ალაგსა, თუ ცოტაც არის გზა იპოვნა. ჰაერი მიწაზედა სდგას, როგორათაც დიდი ზღვა, და რაც უნდა მაღალ მთაზედ ავიდეთ, ყველგან ჰაერს ვიპოვნით, ასე რომ გამორიცხულია: დედამიწიდგან სადაც ჰაერი მაღლა თავდება ცხრა მილია (ერთი მილი შვიდი ვერსტია).

ჭაერი მარტო ერთი სუნთქვისთჳს საჭირო არ არის, უიმისოთ, როგორც შემდეგ გაიგებთ, არ შეგვიძლიან არც ხედვა, არც სმენა არაფრისა,—არამთუ უიმისოთ სიარული და სირბილი შეგვეძლო, არამედ ფეხსა და ხელსაც ვერ გავანძრევდით.

ჭაერი მარტო უბრალო ღაზი არ არის. ის არის შედგენილი ორის ღაზისაგან რომლისაგანაც ერთი სუნთქვისათჳს ვარგისია და სწავლაში ეძახიან მჟავგვარედს და მეორეს, რომელიც უვარგისია, ეძახიან აზოტს. (*) მჟავგვარედი არის სწორედ ის ჭაერის ნაწილი, რომელიც შესუნთქვის დროს შედის უკანასკნელ ფილტვების ბუშტებში, წყლების განს შუა, ერევა სისხლში და ასუფთავებს, ამოსუნთქვის დროსკი გულიდგან ვრეკთ უვარგისს ჭაერის ნაწილსა და ამის გარდა სხუა ღაზებსაა, რომელნიც გროვდებიან სისხლში. მაშინ როდესაც ის ტანში

(*) რკინის ნაჭერი, დიდი ხანი ჭაერში, რომ დარჩეს, დაჟანგდება, ამისგამო რომ მჟავ გვარედი ჭაერისა ერთდება რკინასთან, სპილენძის ჭურჭელზედ, რომ მჟავე სითხელე დავასხათ, იმ ადგილას ლურჯი ხავსი გამოჩნდება—ესეც ჟანგია. ე. ი. სპილენძის შეერთება მჟავ გვარედთან, მეცნიერება ამბობს, რომ ამდროს რკინა და სპილენძი მჟავდებიანო,—და ამიტომ ეწოდება მჟავ გვარედი ე. ი. ისეთი ღაზი, რომელიც სიმჟავეს ბადავს, აჩენს, როდესაც ერთდება სხუა და სხუა ნივთთან აზოტი—ბერძ. სახელია ნიშნავს ღაზს, რომელიც უვარგისია ცხოვრებისათჳს.

დარბის, აქედგან თქუმნა ხედავთ რომ სისხლსაც ისრე ემართება, როგორათაც საჭმელს, წელებში რაც ვარგისი საჭმელის სისხლის ძარღვებში მიდის, და უვარგისი როგორც უწმინდური, გარეთ გამოიყრება; ძარღვებშიაც ვარგისი ნაწილი ტანის გამოსადეგათ მიდის და უვარგისი ამოსუნთქვის დროს გულიდგან დაზივით ამოდის.

უჰაეროთ გაძლება არ იქნება. კაცი მაშინვე მოკუდება, თუ ჰაერი ახლოთ არა აქუს ან თუ ჰაერი თუმცა ექნება მაგრამ კაცი რომელსამე მიზეზით ვერ მოიხმარებს. არის ბევრნაირი სიკუდილი ჰაერის ნაკლულევანებისგამო აგიწერთ მე უმთავრესებს და ნიშნებს გიჩვენოთ, თუ როგორ მორჩვეთ ანუ სხუას მოარჩინოთ ამ გვარ განსაცდელისაგან.

1) ახალ დაბადებულების შემთხვა. დედის მუცელში კაცი არა სუნთქავს. იმას იქ ჰაერი არ უნდა, ამიტომ რომ ახალ სისხლს დედა ყოველთვინ ჭიპიდგან აწოდებს. მაგრამ როდესაც ბავშვი დაიბადება იმავე სეკუნდშივე უნდა ამოისუნთქოს, გააღოს პირი და კარგათ დაიჭყაველოს. თუ ყმაწვილმა თავისთავათ არ დაიჭყაველოს. უნდა ძალათი დააჭყაველოთ. ნელა შემოჰკრათ, უჩქმიტოთ ანუ ნემსით უჩხვლიტოთ. ახალ დაბადებულ ბავშვს, რომელიც სწორეთ სუნთქავს, კანი წითელი აქუს, ხელებსა და ფეხებს თავისუფლათ ამოძრავებს იმას სულ არაფერი უშავს. და თუ დაბადებული ბავშვი ჩუმათ არის, ვერ მოძრაობს პირს არ აღებს და კანი გალურჯებული აქუს მომქცავი სისხლისაგან, მაშინ ამას ნიშნავს, რომ ბავშვი არა სუნთქავს და სრულებითაც არ შეუძლიან სუნთქვა. მაშინ ყოველთ იმ გზას, რომელზედაც ჰაერი ფილტვებში მიდის, დაბრკოლებას აქუს, მ. ი. ცხვირში, სასულეში, ანუ ბავშვი

ისრე სუსტათ არის, რომ წიბოების განძრევა და გულის გაგანიერება არ შეუძლიან, ერთის სიტყვით ჭაერს ვერ სუნთქავს, მაშინ ეს ღონისძიებანი უნდა იხმარონ:

მსწრაფლად უნდა ცხვრი გაუშინჯონ, ცხვრის ნესტოები გამოუწმინდონ, რომელშიაც ლორწო გროვდება დაბადების დროს; პირი უნდა დაუღონ და ლორწო გამოუწმინდონ; ზეიდგან სტოლის კოვზით ცივი წყალი ჩააწვეთონ; თბილ ვანაში ჩასვან; ჭაერი პირში ჩაჭბერონ, მაგრამ ტუჩები ახლოკი არ უნდა დაადონ, მხოლოდ შორი ახლოდგან ჩაბერონ; უნდა განზედ მსუბუქათ მაუდი ანუ თივთიკა წაუსვან; უნდა უკეთონ თბილის წყლის ოყნა და მარილი აურიონ (ნახევარ სტაქან წყალში ერთი ჩაის კოვზი მარილი უნდა ჩაყარონ) და ბოლოს შეიძლება **5** ანუ **6** კაპლი პირ სასაქმებელი ღვინო ჩააყლაპონ, რომელიც შემთხვევისათვის შენახული უნდა ჰქონდეთ. ამ ღვინისაგან პირს აღებინებს. და ამ შემთხვევაში ხშირათ შველის ბავშვის მობრუნებას. ყველა ეს ღონისძიებანი ძალათი უნდა გაუკეთონ, და იმის მობრუნებაზედ იმედი არ გადაიწყვტონ, და თუ შეიძლება ექიმი უნდა მიიყვანონ, რომელიც სწორეთ გაიგებს, შეიძლება, რომ ყმაწვილს სიცოცხლე მოუბრუნონ თუ არა.

**2**) დარჩობა. სულ ერთია. თუნდ თოკი კისერში მოუჭირონ, თუნდ ყელში ხელი ჩაუჭირონ, ან თოკზედ ჩამოჰკიდონ, ყველა ამ შემთხვევაში, ჭაერს თავისუფალი გასავალი ფილტვებში არ ექნება, და კაცი დაირჩობა. რომ კაცი დაღრჩობისაგან მოარჩინონ, უეჭველად უნდა კისრიდგან თოკი;მოხსნან ცივადგილას დააწვინონ,ასე რომ თავი

და გული უფრო მაღლა ედოს ბოლოზე; პირის სახეზე და გულზედ ცივი წყალი შეასხან, უპერონ ძალიან პირში, პირის ნახვრეტში ფრთით უჩხრიკინონ, უწმინდონ ტანი მაუდითა და შჩოტკითა, ოყნა გაუკეთონ და მკლავიდგან სისხლი გამოუშვან.

**5**) წყალში დახრჩობა. წყალში კაცი დიდხან ვერ გასძლებს იქ სამყოფი ჰაერი არ არის, და თუგინდ იყოს, წყალი პირის დალებას და სუნთქვას დაუშლის. ისინი იხრჩობიან წყალში, რომელთაც ბევრი ცურვა უყვართ, და კვეხულობენ რომ დიდხან შეუძლიანთ წყალში ყოფნა. ამ გვარი გაბედვა არაფერს კარგს არას დააყრის, მარტო წყალში დიდხან ყოფნა კაცს ძალიან შეამცივნებს. მოცურავეთ ჯერ თავისი ღონე უნდა გაშინჯონ, როცა დაღალვა შეატყონ თავის თავს, მაშინვე წყლიდგან გამოვიდნენ; მომეტებულად ის უნდა ერიდებოდეს, ვისაც წყალში ფეხები დაეკრუნჩხებათ ხოლმე, დაკრუნჩხვის დროს ფეხით მოძრაობა არ შეიძლება, და უამისოთ წყალი კაცს მაშინვე ჩასძირავს, რომლისაგან ველარ ამოიყურყუმელავებს, როდესაც დამხრჩვალი წყლიდგან ამოიყვანოთ, უნდა მაშინვე თბილ ალაგს დააწვინოთ, პირიდგან უნდა ამოუწმინდოთ ქვიშა და ლამი, გაუთბონ ტანი თბილი წყლით სამსე ბოთლებით, მაუდი ტანზე წაუსვან, უზილონ სპირტითა და არაყითა, თბილ ვანაში ჩასვან, პირში სული უნდა ჩაბერონ, ოყნა გაუკეთონ და როდესაც კაცი გაინძრევს სხეულსა და ამოისუნთქავს, შეიძლება ცოტა ღვინო ანუ თბილი ჩაი ჩააყლაპონ. უბრალო ხალხმა ცუდი ჩვეულება იცის; დამხრჩვალ კაცს ზეწარზედ

ანუ ბოჩკაზედ დააწვენენ და ისრე აქანებენ. ჰგონიათ, რომ ამობით სტომაქიდგან წყალი გამოისხმისო, რომელიც ჩასულაო. მაგრამ დამხრჩვალს შიგნით წყალი არ უდგია, მხოლოდ წყალში უჰაეროთ იხრჩობა;; მაშ—უნდა დამხრჩვალ კაცს ამოასუნთქებინონ, ქანაობა შველის მაგიერათ, პირიქით სუნთქვას დაუშლის და ამის გამო დამხრჩვალის ქანაობა აღკრძალულია.

4) ამას მიეწერება ყველა სიკვდილი გულის წუხილის შემდეგ. ყოველ გულ შეწუხებულის შველა ისრე უნდა, როგორც ეხლა მე მოგახსენეთ. კიდევ ხელ მეორეთ ვიმეორებთ. პირველი საქმე უნდა კაცი ტანისამოსისაგან ყელსახვევისაგან და სხვა შეკრულობისაგან განთავისუფლოთ; მერმე დააწვინოთ და თავი მაღლა აქნევინოთ, უნდა პირზე და გულზე ცივი წყალი შეასხათ, დამწვარ ფთას ასუნებინოთ, ხრენსა, ხახვსა, ანუ თუ ჯაქვი ნიშადურიან სპირტსა, ფრთით ცხვირში და პირის ნახევში უნდა უჩხრიტინოთ, მთელ ტანზედ მაუდი უნდა წაუსვათ, თბილის წყლით და მარილით ოყნა უნდა გაუკეთოთ.

---

უჰაეროთ სიკვდილის გარდა კიდევ დაემართება კაცს მაშინ, როდესაც სუნთქავს იმ ჰაერსა, რომელშიაც არიან შერეულნი, მავნებელნი სუნთქვისათვის ლაზები. ამ გვარი ლაზები ბევრია. იმათგანს ორზე მოგახსენებთ. რომელსაც ხშირათ ვხედამთ ხოლმე.

1, უგარის ლაზი. ის წარმოსდგება მაშინ, როდესაც

ფეხში, ბუხარში ანუ მაყალში კარგათ არ არის ნახშირი დამწვარი. ის იწვის ლურჯის ალით, რომელსაც, ვგონებ ყველას შეუძლიან შეამჩნიოს, როდესაც ფეხი სურდება. და თუ კომლის ასავალი კაცმა იმ დროს დახურა, როდესაც ნახშირი სრულ არ დამწვარა, მაშინ ეს ღაზი ფეჩიდგან ოთახში გამოდის და კაცი, რომელსაც სუნთქამს იმ ოთახში იმ დროს უგარი მოეკიდება, ე. ი. შეეწუხდება გული, რომლისაგამო ადვილათ შეიძლება მოკჳდეს. ყველაზე უკეთესი ღონისძიება ეს არის, რომ უგარ მოკიდებული კაცი გარეთ სუფთა ჰაერში გამოიტანონ, ანუ ოთახის ფანჯრები დააღონ, კომლის ასავალი ახადონ, კარები გააღონ და და კაცი ტახტზედ ანუ კრავატზედ დააწვინონ. ამიტომ რომ უგარის ღაზი ყოველთჳს ზოლის მოეფინება ხოლმე; ამათ გარდა უნდა პირის სალებინებელი ოთხი ანუ ხუთი კაპლი ნიშადურიანი სპირტი ჩააყლაპონ, და დიდხან გარეთ ჰაერში ატარონ, თუ ცოტაც არის შეუძლიან ფეხების ნძრევა. (*)

(*) უბრალო ხალხს ჭორათ აქჳთ გაგონილი, რომ უგარი კაცს არ მოეკიდებაო, თუ ქუდი დაიხურა და ყურში ბამბა დაიცვაო, ჰგონიათ უგარი ყურიდგან თავში შედის და კაცს ეკიდებაო. ეხლა თქჳენ თჳთონ მიხვდებით, რომ ეს მართალი არ არის უგარის ღაზი ფილტვებში შედის, და იქიდგან სისხლში ჰგავს, რომ უგარი პირში და ცხვირში შედის; და სისხლი წამხდარი ფილტვებში ამ ღაზისაგან ტჳნისთჳს მავნებელათ ხდება. ყურებიდგან თავში არაფერი ღაზი არ შევა.

2) ფეხის ადგილის ღაზი ძალიან მავნებელია; როგორც უგარი ისრე ჰკლავს. ამ ღაზით მოკიდებული კაცზედ ისრეთი ღონისძიებანი უნდა იხმარონ, როგორათაც უგარ მოკიდებულზედ. ყოველი გარეგანი ნივთის გარევა, ჰაერს ახდენენ, მავნებლათ ხდიან და თუმცა კაცს ერთბაშით არა ჰკვლენ; მაგრამ ცოტცოტა სიმრთელეს უშლიან, თუ ჰაერას გასაწმენდათ კაცმა არ იზრუნა ამ შერევნილობათ მიეწერებათ: 1) ღაზი, რომელსაც ჩვენ ყოველთვის ვისუნთქვებთ ფილტვებიდგან, როგორათაც უვარგისსა, და იმის მაგივრათ შედის ღაზი რომელსაცა ჰქვან მჟავგვარედი. უვარგის ღაზსა მეცნიერებაში ნახშირგვარედ სიმჟავეს ეძახიან. ნახშირ გვარედი სიმჟავე, გროვდება იმ ალაგს, სადაც ბევრი ხალხი ერთ ოთახში არიან შეგროვილნი, სადაც ბევრი ქონის სანთლები იწვის, ფასოსები, ლამპა. რომელიც სამარხო ზეთით ანთია, სადაც ახალი და წმინდა ჰაერი ვერ შემოდის, ყველას გამოუცდია ამისთანა ალაგს როგორ სამძიმოა, რომ სუფთა ჰაერიდგან კაცი შევიდეს. პირველად გაგიკვირდებათ იქ კაცები როგორა სხედან, როგორ მოძრაობენ და ან როგორ მუსაიფობენ ამ გვარ მძიმე სადგომშია; მაგრამ მერმე, პატარახანს, რომ დარჩეთ თქვენც შეეჩვევით და უწმინდურ ჰაერს ვეღარ იგრძნობთ. ამისთვის ვეღარ ამჩნევთ. რომ ტანი გისუსტდებათ, ღვიან ღვიან სუნთქავთ, და ეს სრულებით სასარგებლო არ არის და ყველა საღამოობით ყრილობა დიდხან ტანცაობისათვის, დროს გასატარებლათ ვიწრო ოთახებში მავნებელია და ცოტ ცოტა კაცს სიმრთელეს უშლის, ამიტომ რომ კაცი სუნთქავს შემწყვდეულს სულის შემაგუბებელს ჰაერსა

რომელიც გარეულია ნახშირ გვარედ სიმყვეში. ვინც ამ რიგათა სცხოვრობს, ხშირათ დაიარებს ტეატრებში, ბალებში ანუ დიდ შეყრილობაებში, ყმაწჳლობითვე ყვი-თლდებიან, ზანტდებიან და ღონე ეკარგებათ.

**2**) მტვერი, წვრილი მტვერი, რომელიც ქარისაგან ქუჩაში ადგება, და აგრეთვე ყოველ დღე ოთახებს. რომ გვიან, სტოლებსა სწმენდენ, ტახტებს ჩამოგვიან და ო-თახში რომ მტვერი დადგება სუნთქვისათჳს ძალიან მა-ვნებელია, ჭვართან ერთათ ფილტვებში ჩადის, და დეყუ-ის გარსსა და სასულე მილებს აწუხებს, რომლის მიზე-ზით გარსი სისხლით იმსება, წითლდება, სივდება, და თუ კაცმა მტვერს თავი არ არიდა, მთელს სიცოცხლეში ფილტვების სნეულებას მიიღებს, ხველასა გულის ხიხი-ნსა, ნათვათვსა, რომელნიც სიჭლექესთან ახლო არიან

რომ ქუჩაში მტვერი არ დადგეს უნდა მაგარი ქჳა დააგონ. ქჳა-ფენილი ქუჩებისათჳს ისრეა, როგორათაც ოთახისათჳს პოლი და როგორც უპოლო სახლში დგო-მა არ ვარგა, ისრე იმ ქუჩაში სადაც ქჳა არა ფენია. ამისათჳს, ქალაქის მართებლობის ცდის გარდა, ყოველი სახლის პატრონი უნდა თავისათჳს ცდილობდეს, რომ თავის ქუჩის ნაწილში ქჳა დააფენინოს თავის ოჯახისა-თჳს და თავის დგმურების სადღეგრძელოთ.

ძრიელ მტვერში, როგორათაც ჩჳენ ტფილისში ზა-ფხულში არის ხოლმე, უნდა ცხვირ პირზედ აბრეშუმის ცხვირ სახოცი მიიფაროს სუნთქვისათჳს, რომელშიაც ჭვარი სუფთათ და თავისუფლათ გავა, და მტვერი კი ვერ შეაწევს. ხნიან დედა კაცებს დააქჳთ მუდამ აბრეშუმის

ჰირ ნადლები, რომელნიც ამ შემთხვევისათვის ძალიან კარ-გნი არიან.

მტვერი რომ სახლში გამოიღიოს, მარტო დიდია დაგვა საკმაო არ არის, ამიტომ რომ ისევ ისე იქვე ჩა-ჯდება, მაშასადამე. როდესაც ოთახსა გვიდეთ უნდა კარი და ფანჯარები გააღოთ, ზამთარში კი ერთი მინა მაინც უნდა გააღოთ, რომელიც ყოველ ოთახს უნდა ჰქონდეს, მტვერის გასასვლელადათ და წმინდა ჰაერის შესაშვებათ.

**5**) სინოტივე. ჰაერში ყოველთვის არის ცოტა წყალი ორთქლის მგზავსათ, რომელსაც ჩვენ ვერა ვგრძნობთ: სრულებით მშრალი ჰაერი სუნთქვისათვის მავნებელია, რომელიც ჩვენ ტვალისმა შეიძლება შენიშნოს ცხელ ზა-ფხულში ანუ ზამთარში ყინვის დროს, როდესაც თოვ-ლი არ არის, მაგრამ მომეტებული ტენიანობა, ის სინ-ოტივე. ესე, რომელიც ნოტიო ოთახებში იქნება ხოლო-მე, — მშრალ ჰაერზედ უფრო მავნებელნი არიან.

რა არის სინოტივე და საიდგან წარმოსდგება?

ობში, რომელიც ლურჯი წინწკლებით ჰფარობს ოთახ-ის კედლებსა, შეიძლება კაცმა ყოველთვის იპოვნოს წყ-ლის გარდა, ურიცხვი პატარა მხეცები და სოკოები, რომელიც მარტო დიდათ მაჩვენებელ მინაში ჩანან: ეს ერთი ნაწილი მცენარენი და ცხოველნი თავისუფლათ შედიან სუნთქვის დროს ფილტვებში და კატარებს მო-ახდენენ ხოლმე, ციებასა და სხვა სნეულებათა, საკუთრივ ვინც ნოტიო სადგომში სცხოვრობს. ეს მხეცები და მცენარენი ყოველთვის ჭაობის წყალში არიან. იმ ადგი-ლებში სადაც ბევრი ნალახი ლპება, ხეები ანუ მხეცების

ლეშები. თუ ამ ადგილს კაცმა სახლი უმაგრო საძირკვე-ლით ააშენა, დაჩუჭრეტილის ქვით ანუ ფოროვანი ხისაგან, მაშინ არას დროსს ამ სახლში სინოტიე არ გამოილევა, აიღეთ ერთი ნაჭერი შაქარი. ქვეითი ბოლო წყალში ჩადეთ და ზეითკე სრულებით არ დაასველოთ,—წყალი თითონვე ცოტ ცოტა ზეით შაქარში ამოვა და მთელ ნაჭერს დაასველებს ამ რიგათ წყალი, რომელიც სახლის ქუეშ არის, თუ საძირკველი არ უშლის, დაჩურეტილი კედლიდგან ამოვა და ოთახში ნოტიოთ და ობით დარ-ჩება. ეხლა თქუენ რომ იცით რა არის სინოტიე, მალე მიხვდებით, როგორ საჭიროა კაი საძირკველი და მასალა იმ სახლისათჳს, რომელსაც თქუენ აკეთებთ, ჰსჯობს სა-ხლის აშენებაზედ ერთი თუმანი მეტი დახარჯოთ, მინამ ვინ იცის როგორ ააშენონ და მერმე თქვენი და თქუენი სახლობის სიმრთელეზედ გადაავგოთ და თუ როგორმე მოგეცათ შე-მახვევა ნოტიო ოთახში დგომისა, მაშინ უნდა გარეკათ გაამშროთ მალმალ ფანჯრის გახურებით, ანუ სხუა და სხუა ნივთის ხმარებით, რომელიც ადულათ და მალე სინო-ტიეს იგრობენ. ამ ნივთიერებას მიეწერებიან: ქჳშა ნა-ხშირი, მარილი და ბზოლოს ხლორიანი (*) კირი. ეს ნივთები სხუა და სხუა ოთახის მხარეს უნდა დააწყონ, ფანჯრებში, ორივე ჩარჩოში შუა, კარებთან და სხ. და

---

(*) ხლორა, ხიმიურათ, არის უბრალო დაზისაგანი ნივთი, რომელსაცა აქუს მოყვითლო მწვანე ფერი, და ძალიან სულის შემაგუბებელი სული, ეს ხლორა არდგენს ერთს საჭმლის მარილის ნაწილს.

მალმალ უნდა გამოსცვალოთ, და იმათ მაგივრათ სხჳა ახალი უნდა დასწყოთ. ხლოროსანი ჰაერი, რომელსაც ამზადებენ ფაბრიკებში, სადაც სოდას (*) აკეთებენ, და იათვათს ჭყიდიან აფთიაქებში და სხჳა მაღაზიებში, სადაც წამლებსა ჭყიდიან. ეს ძალიან კარგია წამხდარი ჰაერის გასაწმენდლათ, რითიც უნდა წამგვარი იყოს, შაგალით. სასნეულო კარვებში, აშმორებულ სარდაფებში, ციხეებში და სხ.

ამ შერევნილებას გარდა, ჰაერი ოთახში ხდება მხეცებისაგან, მაგ. ძაღლებისაგან, კატებისაგან, ფრინველებისაგან, თუ ადამიანებთან ერთად არიან, ყვავილებისაგან, რომელნიც ხანდიხან ბატარიასავეს დგანან ფანჯრებზედ, თამბაქოს სულისაგან, ძველი ტანისამოსისაგან, ჭუჭყიანი საცვალისაგან და ძველა ძველი ავეჯეულობისაგან, რომელთაც ხშირათ ტყუილათ ოთახში აწყობენ სადგომი ოთახი უნდა თავისუფალი იყოს და მშრალი; მეტი ნივთები არ უნდა შეინახოს, იმათთჳს ყოველ საწყალ კაცს ეზოვება თავისუფალი ადგილი, დერეფანში ბანზედ, საკუჭნაოში; იმათი ადგილი ის არის. ყვავილი, მაგალითად, კარგი ნივთია და სასიამოვნო სუნიცა აქჳს, თვალისათჳსაც ლამაზია, მაგრამ შეამცნიეთ იმათგან კაცსა თავის ტკივილი როგორ ხშირათ აქჳს, ადვილი გულის წუხილი ემართება, ცუდ გუნებაზედ ხდება, ამათ გარდა ფანჯარაზედ რომ სდგასან, სინათლეს ოთახში აჩრდილა.

---

(*) სოდა თეთრი ნახშირ მჟაველი ოქსიგენი. რომელსაც მინაში ურევენ და ხან საპნის ხარშვაში ხმარობენ ვ. მ.

ლებენ, რომელიც ისიც ცხოვრებისათჳს ისრე საჭიროა, როგორათაც ჰაერი (*)

გთხოვთ, ბატონებო, გახსოვდეთ და არ დაგავიწყდეთ რომ ახალი ჰაერი კაცისათჳს ისრე საჭიროა, როგორათაც კაი საჭმელ სასმელი. ნუ გეშინიანთ, რომ ხშირათ შეუშვათ ავათმყოფის ოთახშიაც, თუ რომ გავლილი ქარი არ არის. წმინდა ჰაერი განიერ მინდორში, გასამ-ლის ველში, ხშირათ უფრო არჩენს მძიმე სნეულობი-საგან, მინამ ყველა აფთიაქის წამალი. მთელი კაციკი, რომ დათბუნებულ ოთახში დაჯდეს ანუ ტყუილ უბრა-ლოთ საწნეულოში დაწვეს, მაშინვე გაუჯთოდება, დასუს-ტდება და გახდება ავათ უმიზეზოთ. ყველას გამოუცდია გზაზედ კაცი, როგორ მრთელათ არის. ღამე არ და-იძინებს, გვერდები ასტკივა, სულ მომტვრეულია, მაგრამ პურის მადაც კარგი აქჳს, ტანშიაც ემატება, და მხია-რულათაც არის. ვისაც გული სუსტათ აქჳს, და წიგნე-ბის კითხვაზედ ანუ წერაზედ ბევრი უშრომნია, ანუ კიდევ ვისაც გულში ჯავრი აქჳს, რომელსაც მწუხარება აწუხებს იმისათჳს ყველა წამალზედ უკეთესი დიდი და შორი გზაა: წმინდა ჰაერი სისხლს გაუახლებს, ტანს გაუგრი-

---

(*) უნდა ყველა გმევაზედა გსთქჳათ, მაგალით ქაღალდისა, სამთლისა, ფისისა, რომელნიც ვითომ ჰაერსა სწმენდენ. ეს სწორეთ მატყუნებაა: ცხჳრს ამ გმევის დროს ჰაერის სიწამხდრე არ ესმის, მაგრამ სიწამხდრე მაინც კიდევ არის და იმ დრომდის იქნება, სანამ ახალ ჰაერს სახლში არ შეუშვებთ.

ლებს, და ჯანს გაუმრთელებს და ვინც მაგარი კაცის მწუხარებას მალე აიტანს.

---

ჰაერის სიწმინდის გარდა იმის სისქელე საჭიროა, რომელიც ყოველ ჰაერის მკეცში სხვა და სხვაა. რამდენიც დედა მიწაზედ ახლოა იმდენი ჰაერი სქელი, მაგარი და მძიმეა; და რამდენიც დედამიწაზედ მაღლაა, იმდენი თხელი და მსუბუქია და ძალიან მაღალ მთებზედ ისრე თხელია, რომ კაცმა არ იცის რითი ისუნთქოს, დედა მიწის ახლოც ჰაერი თუ ძალიან თბილია, თხელია ხოლმე და ცივი ჰაერიკი უფრო სქელია; ეს ამიტომ რომ სიცივე ყველა ნივთიერებას უჭერს, ამაგრებს, სიცხეკი აგაერებს.

თხელ ჰაერში, როგორც მაღალ მთებზედ არის, კაცს ტანში სისხლი აუვარდება, სისხლი ცხვირიდგან წამოუვა, ძალიან ძლიერი ნოტიო გამოდის, შინაგნებიკი შრებიან, წყალის წყურვილი დაუმართებს, ხმა გაუწყდება ღონე მოაკლდება. მაღალ მთებზედ, პატარა მხეცები მაგალით. ბაყაყები, სკდებიან და თითონვე ნაწილ ნაწილ იგლეჯებიან. ეს ამიტომა, რომ იქ ჰაერი ცოტაა და ამისგამო ის ჰაერი, რომელიც მხეცს შიგნით აქვს, ყოვლის ღონის ძიებით ცდილობს გარეთ გამოსვლასა, არამთუ ცხვირიდგან და პირიდგან, არამედ კანს შუა, და როდესაც გამოდის ერევება თავისთან სისხლსა, რომელიც ხანდისხან წვეთებით მთელს ტანში გამოდის, ეს მარტო იმისთანა სიმაღლეში მოხდება, სადაც კაცი ძვირათ მოხვდება ხოლმე.

სქელ ჭაურში, ზამთარში, სისხლი შინაგნებში მიდის, ემატება ცხჳრში ლორწო კაცსა, სასულეში კუჭში და წელებში, შარდი მომეტებულად გამოდის. მალიან სქელ ჭაურში, შეიძლება, რომ ფილტვებში ანთება მოხდეს, აგრეთვე გულში, წელებში უზომო სისხლის ავარდნისა-გამო.

---

როდესაც დაიხსომებთ, რაც მე ჭაურზე მოგახსენეთ, თქჳენ შეგიძლიანთ ისრე მოახდინოთ, რომ ჭაური სუნთქჳსთჳს მავნებელი არ გახადოთ, აგრეთვე სისხლისათჳს და მთელ სიმთელისათჳს. რომ სასულე იარაღი კაცმა გაიმაგროს, საკუთრივ ფილტვები, უნდა პირველისავე დღიდგან კაცმა წმინდა ჭაური ისუნთქოს და სუნთქვაში სხჳა და სხჳა ნაირათ ფილტვებში გაივარჯიშოს. ბავშჳს აკვანი ხალვათ ოთახში უნდა იდგეს, იმის საცვალი წმინდათ და ფაქიზათ იყვეს, რაც შეიძლოთ იმის ახლო ჭაური გახადოთ, უნდა ან ფანჯარა, ან ერთი ფანჯრის თჳალი გააღოთ.

ყმაწჳლ კაცები, გულის სიმაგრისათჳს, ღიმნასტიკას უნდა აკეთებდნენ, მღეროდნენ, ხმა მაღლა კითხულობდნენ. გულ სუსტიანები თავის თავს კარგათ უნდა უვლიდნენ, არ უნდა ის საქმე აკეთონ, რომელიც ფილტვებში სისხლის ავარდნას მოახდენს, როგორათაც შთას-აბერავი საკრავი, მზარეულობა, მკერვლობა და წერა. ხშირი ხველება კაცს რომ სჭირდეს უნდა იპოვნოს ისეთი ადგილი, სადაც ჭაური ნოტიოა, დღეების გამოცვლა

ძვირია და ზამთარი ძალიან ცივი არ არის, სამსახურის კაცთათჳს უნდა ამ გვარ შემთხვევაში იმათი ნაჩალნიკები და ექიმები დაუშინებლივ ცდილობდნენ. სიჭლექე, ფი-ლტვების სნეულება ძნელი და მასიკვდინებელია, პირველ დაწყებაში კაცი მოარჩენს, თუ კაცმა დროზე იპოვნა ის ადგილი და ისრე იცხოვრა, „როგორც" გულსუსტიანებს უნდათ.

———

სადგომს ყველა თავ თავის შემძლებისამებრ აშენებს ამ შეხვედრაში ჯიბე ყველაზე უკეთესი მასწავლებელია. მაგრამ ღარიბი და ჭკვიანი კაცი უფრო უკეთესათ ააშ-ენებს და დადგება მდიდარზედ, რომელსაც გიგიენის წესი არ ესმის.

სახლი ყოველთჳს უნდა მშრალ ალაგს ააშენონ, მაგარი საძირკველი გაუკეთონ, კარგათ გამამწვარი აგურისაგან, მაგარი ქჳსა და ხისაგან. ფანჯრები პოლიდგან ნახევარ არშინზე დაბლა რა უნდა იყვეს, თანასწორე ბანი, რო-გორათაც ჩუენ ქართველების სახლებსა აქუთ, უმარჯვოა; რუსული ბანები იმიტომ არიან კარგნი, რომ ჩარდახში ყოველთჳს წმინდა ჰაერი ბერავს, შედის ჭერში და მცე-ნარით, რომელნიც ხანდისხან ამოდიან, და ლპობას უშლის.

ყველა მასალებზედ ბინისათჳს კრამიტია, ე. ი. კარგათ დამწვარი, წვრილი აგური. ჩალა და ხე არ ვარგა, მხო-ლოდ მარტო იმისათჳსკი არა რომ გაუძლებელია, არა-მედ მალე ლპებიან და ჰაერს ახდენენ. მდიდრები, შიგნით ოთახებში აბოს აკვრენ. აბიონი კარგია თუ კაცმა მალ-მა-

დე გამოსცვალდა, თორემ იმის ქჳეშ ტყჳიანდება, გაუწ-მინდურდება და საძაგელი მწერები ჩნდებიან კედლის ტყესის გამონაბოლი ღუმები და ჰაერს ახდენს. ღარიბ კაცებმა აბოის მაგივრათ. უკეთესი იქნება ოთახი, რომ თეთრი მიწით ანუ გაჯით გალესონ. სითეთრეს, სიუფთაობის გარდა, გარდა, ის სარგებლობა მოაქჳს, რომ ჰაერს, ხლორი-ან კირისავით სწმენდს.

კიდევ უნდა ფეხის ალაგზედ იზრუნონ, რომელზედაც ჩუენში სულ არა ვინა ჰფიქრობს, და იმის ღაზი სიმ-რთელისათჳს ძალიან მავნებელია, იმაში სამთელიც კარ-გათ ვერ ენთება, რომელსაც ყველა შეამჩნევს სამთელე-ზედ ანუ ფისოზედ, რომელსაც ფეხის ალაგში ჰკიდებენ სინათლე უღონო და ბინდიანი აქჳს ეს ადგილები უნდა სადგომის მოშორებით იყვნენ, ზანდუკები რაც შეიძლონ მალმალე უნდა აცარიელონ, ნაგავი ყველა კუთხიდამ გა-მოყარონ, ნაცარ ტუთქით უნდა გასწმინდონ ან დაფშუ-ნილი ნახშირი მოაყარონ. უნდა ნარეცხის წყლის ჩასას-მელ ორმოებზედაც მოვახსენოთ რომელნიც თუ კაცმა არ ამოწმინდა, შეგუბდება წყალი, რომელიდგანაც ამოდის სუნთქვისათჳს საწამლავი ღაზი.

რაც ფეჩებს შეეხებათ. ყველაზე უკეთესი ჩვეულებრი-ვი აგურის ფეჩია კომლის გასავლელით, პატარა კარე-ბით და ზეიდგან დასახურავით. თუჯის და რკინის ფე-ჩები ჩქარა ხურდებიან და მალეც ცივდებიან, მაშასადამე სახლის პატრონისათჳს სასარგებლო არ არის, ამას გა-რდა იმაში უგარი მალე მოხდება, ბუხრები კარგია ოთა-ხში ჰაერის გასაწმენდლათ, მაგრამ თუ ერთი ოთახია

სჯობს, რომ ფეხი ჰქონდეს. ბუხრიდგან. როდესაც ცე-ცხლი ანთია. დიდი სითბო გამოდის, ვინც კაცი მაშინ ახლო ზის ბუხართან მალიანა თბება და როდესაც ოთა-ხიდგან გარში გამოვა მალე და ადვილათ შეიძლებს გაცი-ვდეს.

# ქართული ლიტერატურა.

რომელიმე ჩვენი მწერლები საზოგადოთ.—მოამბის მიმართულებასა და რომელსამე იმის მწერლებზედ რამდენიმე სიტყვა.

მკითხველი, რომელსაც წაუკითხავს მოამბეში, რომ ქერელი ბექა «ცისკრის» მიმართულებას ახდენდეს. იფიქრებს (თუ სჯერა ეს «მოამბის» აზრი, რომელზედაც ეჭვში ვარ), რომ ქერელმა ბექამ წამოავლო კალამს ხელი და ვაი ცისკრის ბრალიცა სულ მთლად წაახდენს და გააფუჭებსო. რა ვქნათ, ეს დალოცვილი რედაქტორი ისეთი გულმოხიერია, რომ ჩემს ყოვლად უაზროს («მოამბის» ჭკუაში) სტატიებს ბეჭდის.

ეგრეთვე ბევრი მკითხველთაგანი იფიქრებს: «არიქა წამოუტია თავისებურათ და ვაი ჩვენი საყვარელი მწერლების ბრალიცაო!» რა ვქნა, საყვარელო მკითხველო, მეც არ მინდა ჩავარდე არც თქვენს ყბაში და არც თქვენი საყვარელი მწერლების დევნილებასა და მოთხრაში, მაგრამ. . . მაგრა, რაღაო? მკითხავ—მაგრამ, ისა, რომ ვარგისა და ცუდში მინდა გარჩევა გქონდეს! არ გიამათ განა ეგ სიტყვა!

—«ჩვენ რა ეგრეთი რამა გვნახე, რომ ვარგსა და ცუდში გარჩევა არ გვქონდესო?!» იტყვ შენს გულში.

მართალია! მე ყაბულსა ვარ, რომ თქვენა გაქეთ გარ-ჩევა კარგისა და ცუდში. . . მაგრამ. . . . . .

—«აქაც კიდევ მაგრამ!» მეიტყევ შენ. დიაღ, მაგრამ! მაგრამ, მაგალითად შენ ხომ რჩეულთაგის რომანები ჩინებულები და კრიტიკა მიუდგომლები გეგონა, შენ ხომ ნეტარებით შეჰყურობდი თ. გიორგი ერისთავს; (ასე გაშინჯეთ თურგდალეულიცკი ერისთავის მემდეგის წაკითხვაზედ სიხარულით კინაღამ ზეცას გაფრენილიყო) შენ ხომ სიამოვნებით ისმენდი იესე ჭავჭავაძის სანტე-მენტალურს გალობაებსა; შენ ხომ სასოებით და თაყვა-ნებით კითხულობდი იმავე ჭავჭავაძის კრიტიკის პარო-დიის ჩხავილსა და ზღინკვასა; შენ ყველას სიამოვნებით და აღტაცებით კითხულობდი, რასაც გარედამ პრიალი და ლაპლაპი გაჰქონდა—ყველა ოქროსი გეგონა და შე-სტრფიალებდი. შენ ხომ ხელში არცკი აგიღია წლევან-დელი წლის «გუთნის დედა,» რომელიც ბევრსა და ზე-ვრს კარგს რასმე შენსავე სასარგებლოს გაგაცნობდა; შენ ხომ არცკი გადაგიფურცლავს საქართველოს ისტორიის ბარათაშვილისა; შენ ხომ არცკი ჩაგიხედნია «მეღვაში,» გ. თუ-ს მისაურს მიმოხილვაში და სხვა ამ გვარებში.—«რაც გვიამება ის უნდა წავიკითხოთ» მეტყვით თქვენა. მეც აბა მაგას ვამბობ, რომ ჩვენ თუ სულ ის გვაიმა-ხეთ რაც შენ გიამება საქმე წახდება და უნდა როგორც თქვენმა, ეგრეთვე მთელი ამოდენა საზოგადოება ერთს ალაგს გაჩერდეს და შეიქმნას ჩინეთი თავის უძრავო-ბითა და უგვანებითა.

ნუ გგონია ქართველო საზოგადოებავ, რომ ჩვენ ამ

სიტყვებთან ყოველს იმედს ვიწყვეტდით შესახებ შენის წარმატებისა! არა, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბევრით ჩვენზედ განათლებით მაღლა მდგომი ხალხი, მაგალითათ თუნდა ფრანცია: მომეტებულ, ნაწილს მკითხველებსა ფრანციაში დუმასა და ბალზაკზედ უკეთესი არა ვინა ჰგონიათ და უკეთესსაც ვერ წარმოიდგენენ, მაგრამ ერთი საზოგადოების მაგალითი არც იმათ აგდებს დაბლა და უკანა, და ისინიცა და იმათი მაგალითის მჩვენებელი საზოგადოებაცა როგორც არის მისჩანჩალებენ დროებასა. არ დაგავიწყდეთ, რომ «მისჩანჩალებენ და არა მისდევენ! რომ უკეთესათ ეყურებოდეთ საქმე, საჭიროება და საგანი, მაშინვი არ წასჩანჩალდებიან დავარდნილი ცხენივით, რომელსაც უნდა სახრით მიზდევდე და მიერეკებოდე, თუ არა და დავარდება, მაშინ თითონ წავა მტკიცე და ჩქარის ნაბიჯით; მაშინ არ მოუნდება ხელის მძღვანველი და. . . . . . , . . . . , . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . .

მაშინ თითონ ეცოდინება თავის საჭიროება, თავის მდგომარეობა, და თავის ვითარებას, როგორც საჭიროთ დაინახავს, ისრე მოიხმარებს!. ჩვენ შენზედ იმედი არა გვაქვს გადაწყვეტილი, ჩვენო საზოგადოებავ! ჩვენ გვესმის შენი ძალა, რომელიცა გაქვს,—გაქვს, მაგრამ შენ არ იცი გაქვს თუ არა და თუნდა იცოდე მოხმარება არ იცი. შენ მარტო უგვანი ლიტერატურებზედ კი არახარ ეგრე გულწრფელათ და უფიქრელათ მინდობილი, შენ ბევრ იმისთანაზედა ხარ მინდობილი, რომელიც. .

. . . . . . . . . . . . . . . . , . .

არ გაჭმევს ამ აზრით, რომ სუქანი ცხენი თავში გაიწყვსო და ზურგზედ აღარ შეგვისვამსო. . შენ ყოვლისფერს ამაზედ გულ მინდობილი ხარ და როგორიც უმანკო გულით შენ უყურებ, შენცა გგონია: ისინიცა ჰხედავდნენ შენს საჭიროებას და შენი საჭიროების დაგვარად სწარმოებდნენ და გიხელმძღვანელებდნენ . მე ამისი თავში ცემა მაქეს და უჯრალი. «არ გვეყურებათ მეთქი!» წეღანა ვსთქვ. განა მართლა ყველას არ გვეყურებათ: ბევრს ჩემზედ ერთი ათათ, ერთი ოცათ ვარგათ გვეყურებათ, მაგრამ. . სად არის საქმე? სად არის წარმართვა? სად არის ყოველი ფერის თაოსნობა? მე გიპასუხებთ ჯიბეში! ყველა თავის თავისთვის არის და სხვა მხედველობაში არა ჰყავთ. ჩვენში როგორც საზოგადოებაა ამ ყოფაში, როგორც საზოგადოების ბობოლები, ეგრეთვე ლიტეტორებიცა. ლიტერატორები და ლიტერატურა სრულებით არ მისდევს ხალხის საჭიროებას და ჰბღავიან, ვითამ და შეიტყეთ, რომ მეც კაცი ვარ და ქვეყანაში ურევივარო. უნდა იცოდეთ, ბელინსკისა არ იყვეს, რამდენ ნაირი თხზულებაები, თარგმანები და ვინ იცის კიდევ რაები არ მოდიან რედაქციაში: ახალციხიდამ გინდა, შორიდამ გინდა ზუგდიდიდამ გინდა ქუთაისიდამ გინდა ზაქათალადამ გინდა, პეტერბურღიდამ თუ სადაც-კი ქართველი კაცი მოხვდება, და ამ თავის თხზულებაზედ გაუბრტყელებიათ სხვილის ასოებით ჩინი, ტიტული თავისა და მამის სახელი და გვარი,— ასე გამონჯეთ. თ. დიმიტრი თუმანიშვილის სტატიებიცკი მოგვდის და არ გვაკლებსა თავის უნიჭო მოწყალებასა. ბევრი ამათგანი

ფულსაცა გზავნის ოღონდ დაგვიბეჭდოო; ერთს ამგვარ მწერალთაგანს ყველი და ერბო გამოეგზავნა ერთ ლექსის დასაბეჭდათ. ეს ამოდენა სტატიები მოდის და თითო ოროლიც არის, რომ ამათში რიგიანი რამ გამოერეოდეს კიდევ ალბათ ხეირი; თუ არა უნდა წაიკითხოთ იმოდენა დროება გაჰკარგებათ ამათ კითხვაში და ბოლოს გამოდის, რომ ამათი აზრი ყოფილა, რომ თავის სახელი და გვარი დაბეჭდილი, ნახონ. ეს ცოდვის კითხვა მარტო იმათის თავს არ არის, ეს ცოდვის კითხვა ბევრს ჩუჱნს ლიტერატორსა სჭირს, რომელნიც სხჳა საჭიროებასა არა ხედამენ, გარდა თავის სახელის გამოჩენისა. თუ სადამდინ მართალს ვამბობ და თუ, სადამდის მარტო თავის სახელისათჳს სწერენ ჩუჱნი რომელიმელიმე ლიტერატორები, თქუჱნც შენიშნული გექნებათ, თუ ყურს ადევნებდით. როდესაც ჩუჱნ ჩუჱნს სტატიებში რამდენსამე მწერალს შევნიშნეთ თავის ნაკლულევანებას, იმათ დიდის წყენებით დაიწყეს ჩემზედ ყვირილი და მოჰყვნა: ზოგი იძახდა, რომ შურით სწერსო, თორემ უნივერსიტეტში, რომ არა ყოფილა საიდამ რა ეცოდინებაო! კარგი! სწორეთ, რომ მე უნივერსიტეტში არ ვიყავ. ეს დავით ყიფიანი ხომ იყო, ოთხი შეხვედრის მთარგმნელი მ. ჩ. ხომ უნივერსიტეტიდამ არის და ბევრი კიდევ სხჳა ამ გვარი. . . . . . . . .

თუნდ ავიღოთ მაგალითისათჳს «მოამბიდამვე» ოთხი შეხვედრა უნივერსიტეტში ნამყოფისა და კონრად კიფერი გიმნაზიის მოწაფის ლევან ჯანდიერი შვილისა; თუ რამდენით კონრად კიფერის თარგმანი სჯობიან ოთხს

მეკვლევასა, ეს ჩუენ ყველას შეგვიძლიან თითონ გავსაჯოთ. მაგრამ თითქო მოამბის სენი და ენა შესაფერი იყვეს, ჯანდიერიშვილს ისე დაემართა. პირველი, რომელიც დაბეჭდა სანაქებო თარგმანი იყო და მერე ისიც «მოამბის» კვალზედ წავიდა; ეგრეთვე ავიღოთ კ. თ. და დავით ყიფიანი, თუნდა ჭავჭავაძეც და კიდევ ბევრი სხვები. მეორეც ესა შემშურდა და ეს ლექსები შემშურდა: «მძინარე ქალი», «პოეტი», უსულდგმულო ცხოვრება», «ციურნი ხმები» და ამის დაგვარი ყოვლად უგვანი ლექსები? ზოგი ამ ჩემგნით შენიშნული მწერალთაგანი ჯავრობდა, რომ იმის თხზულებები გენარლებს მოსწონთ და მე არ მომეწონა. ((რა კითხი უნდა, რომ ამ აზრის პატრონი კარგსა და სასარგებლოს რასმე დასწერდა) ერთი კიდევ ფრიად გონივრული და თანამედროული აზრი წარმოეთქუა ერთს მწერალს, რომელსაც იმისთვის ეკითხნათ, რომ ქერელს ბექას პასუხს—ხომ არ უწერთო?—ოხ! იმას პასუხი როგორ დაუწერო, ჩუენი ყმა ყოფილაო! აბა წარმოიდგინე მკითხველო, ამგვარი აზრების პატრონი რიგიანს რასმე დასწერს? მე კი არა მგონია და!.. გარდა ამისა თითქმის ყველა საქუეყნოთ გვაგინებდა და თავპირში ტალახს გვესროდნენ, რომ ქერელი ბექა ავათ იხსენებს მწერლებსაო. ახლა მე ვკითხავ იმასა ვინც ჩემს მაგივრათ შეშლილს გაარჩევდა, შეეძლო ამაზედ გულგრილათ ლაპარაკი? ჩუენ კიდევაც უალაგობისა და უდროვობის გამო ვერა ვსთქჳთ, რაც სათქმელი იყო, თორემ ღირდა კი იმათა, რომ ამის ავტორის უნიჭობა და ფრაზიორობა წმინდათ გამოეკვლეველია; მაგრამ

მაინც დრო არ წასულა, მოვიცდით ჩუენ ო გიორგი ერისთავის «მუნწისა» და სხუა ამისი ამის დაგვარი თხზულებაებისთჳს.

აი ეს გახლავნან ჩუენი ლიტერატურები, რომ ჩუენ რაცა ვსთქვათ დაუჯერებლობა არა ვინ გაბედოთ, მეტის მეტათა სწყინთ და თუ შეეძლებათ მგონი კბილითაც გაგლიჯონ თავის ნავლებელების შენიშჳნისათჳს. აქედამ შეგიძლიან იფიქრო, საზოგადოებავ. ჭყევხარ შენ მხედველობაში ჩუენს ლიტერატორებს (სუყველას არ ვამბობ) თუ არა?

მაშინ, როდესაც სხუა მოურეუნასა და ცილების მორის, ჩუენ ზოგიერთა მწერლები და იმათი თაყუანის მცემელი საზოგადოება მრისხანეობს ჩემზედა, რომ ძრიელ სარკაზმურათა ვსწერ, აი რასა მწერს ერთი ჩემი მახლობელთაგანი პეტერბურღიდამ, რომელიც ლიტერატორი არ არის, მაგრამ ზოგიერთა ჩუენის ლიტერატორებს ჯიბეში ჩაისვამს. «.....

**«. . Словомъ сказать, въ твоей критикѣ нѣтъ тѣхъ сарказмовъ, которые удерживаютъ на слѣдющій разъ безталанныхъ бумагомарателей. Нужно такъ саркастически выражатся, что бы этимъ выжитъ изъ литературнаго поприща этихъ чернильныхъ инфузоріи и тѣмъ избавитъ читающую публику отъ безтолковыхъ и вредныхъ сочиненій. . .**

მე ამ წიგნის მომწერთან სრულებით თანახმა ვარ ამ

აზრზედ და შენი კი არ ვიცი, მრისხანე მკითხველო (და-ვით უფიფიანთას ბოდიშს ვიხდი. რომ ამ სიტყუას: «მკითხველო» ხშირათ ვხმარობთ; მაგრამ იმედი გვაქუს მოგვიტევებს, რადგან სიტყუა: «რომა», «ანა», «ჯერა», რომელნიც იმას ზოგიერთს წინადადებაში ხეიგან ექქსგან აქუს ნახმარები ჩუენ ისე ხშირათ არა გვაქუს ნახმარები.) ამასაცკი ვიტყუ, რომ თუ არ სარკაზმები და მაღა იმათზედ რიგიანს სიტყუას მოქმედება არა აქუს..

---

ეს ლაპარაკი იყო რაზედაც იყო ბევრი. . . . .
. . . . . . . . . . . . . ნაცარქექია გა—თულივით კრიტიკოსი ვერ იპოვის შემდგომთან კავშირსა; მაგრამ მკითხველი, რომელიც მისდევს მართლცნობასა და მართლ სჯასა, მიხუდება და გაგვიმართლებს.

ჩუენ, თუ გახსოვს მკითხველო, აღვითქვით მარტის წიგნში, რომ «მოამბის» მიმართულებასა, იმის ძალასა და შეძლებაზედ ჯერობით არას ვიტყვითო და ისეც გავპირებდით ამ წლის გასულამდის: მაშინ გვინდოდა წარმოგვეთქუა ჩუენი აზრი შესახებ «მოამბისა» და ვფიქრობდით, ნაკლებულებას რომელსაც ჩუენა ვპოვებთ ამაში მანამდის იქნება გაიმართნენო. მაგრამ ჩუენდა სამწუხაროთ, «მოამბე» არამცთუ გაიმართა და სულ გადირია და ანება თავი მართლცნობასა.

მე ჯერ მინდა აქ ერთი კარგი ამბავი გიამბოთ და გთხოვთ უმორჩილესათ, მე, უავტორიტეტო კაცსა, ყური დამიგდოთ; ანდაზები და ანეკდოტები ხომ გიყვართ!

მერე რა ანეგდოტი გითხრათ: იგავიანი და მართალი!

აღარ მახსოვს, რომელს წელიწადს იყო ეს, და ეს კი მახსოვს, რომ ამ ცოტა ხანებში იყო, ერთი ფრანცუზი მოვიდა ქალაქში და მოიტანა ხის ყლორტები; ამ ხეების ხილი დაეხატვნა ქაღალდებზედ უზარმაზარი ტანისა, ასე რომ თითო მსხლის მეჭმა ბაყბაყდევს გაუჭირდებოდა. ამ ფრანცუზმა გამოაცხადა, რომ სწორეთ რამოდენაებიც არის გამოსახული იმოდენაებს ისხამენ ეს ხილებიო.

გაჰვარდა მთელს ქალაქში ხმა და ერთს კვირაზედ რვა-ასი თუმნის ყლორტები დაიყიდა ამ ფრანცუზისაგან. რომელსაც ამყნეს, ნახეს რომ არამ იხარა და რამაც კი იხარა, ზოგი მაყალო გამოდგა, ზოგი ტყის პანტა,, ზოგი კვრინჩხი და ზოგი შინდი.

თქჳენ თითონ მიხვდებით მკითხველო, თუ წარმოიდგენ «მოამბის» ტრაბახსა . . . , . თუ რაზედაც მოვიტანეთ ეს ამბავი ჩჳენა. მაგრამ რა ჩემი განმარტება გინდათ: ქართველ კაცსაც რომ იგავით ლაპარაკი არ ეყურებოდეს, მაშ ვიღას ეყურება!

ჩჳენ თუმცა ძალიან იჭჳნეულათ ვიყავით ამ ახალი ჟურნალის მმართველებსა და თანამშრომელებზედ, მაგრამ მაინც ცოტა იმედითა ვსუნთქამდით; ვამბობდით უმაწვილი ხალხია, ენერგია, ძალა, სწავლა და დროების საჭიროება ამათშია და ამათ იციან და იქნება როგორმე გასწორდნენ მეთქი. ამ მოლოდინში ჩჳენ გადავდევით ამ ჟურნალის, ანუ უკეთ ვსთქჳათ—სბორნიკის, რადგან ჟურნალის ელემენტები, და ჟურნალური ამას არა აქჳს რა,—გარჩევა თავის აღებული გზით, მიმართულებით და

ჟურნალურის სისრულით და ვფიქრობდით, რომელსაც ის ჰდგა სწორე გზაზედ და აღასრულებს თავის მოვალეობას, მაშინ ჩუჱნ შეგვეძლება მკითხველი მწუხარების მაგიერათ გავახაროთ, რომ ჩუჱნშია არის ლიტერატურაცა მწერლებიცა და ეს ლიტერატურა ცდილობს, რომელიმე კეთილი აზრის განღვიძებას კეთილსინდისიანათ და მტკიცეთ ხალხში ჩათესას. ეგრეთვე, როგორც თითონ «მოამბე» აღგჳთქვამდა, გვეგონა შეუდგებოდა ხალხის ნაკლებულებას გამოკვლევასა და იმის მიზეზების ჩუჱნებას; გვეგონა რომ ის გაბედჳთ გადეღობებოდა ყოველს უგვანებასა, როგორც შეჭმულის ყმაწჳლი თაობასა, მაგრამ, ჩემო მკითხველო, ახლა ჩუჱნდა სამწუხაროდ, ამას ველარ ვეტყჳთ! მოამბეს დაეკარგა გზა, როგორც ზემოთაცა ვსთქჳთ, საზოგადო სარგებლობის მაგივრათ, გაჰყვა მარტო თავის ეგოისტურს მიხედულობას (თუმცა სოვრემენნიკის ფერი კაბა კი ჩაიცვა) აქჳს მხედველობაში თავის თავის მოყვარება და თავის ინტერესი. თუ თითო ორმოლადგან წამოისვრის რასმე, ვითომც ქუჱყნის სასარგებლოთ. იმასაც უნიჭოთ, მოკრძალებით, . . . . უტრიროვკით და უკლად განუკვლეველათ. უნიჭობის და უაზრობის მაგალითისათჳს აიღეთ თქუჱნ აპრილის წიგნში უ. დავით ყიფიანის სხუა და სხუა ამბავი, ათჯერ, ოცჯერ გადაიკითხეთ და თუ თქუჱნ ამისი გაიგოთ რამე, რაც უარესი იყვეს ის მითხარით. არ ვიცი რა უნდა ეთქუა დავით ყიფიანს იმ ჩინებულის სტატიით? სწორეთ სთქუჱი უფ. დავით ყიფიანო, რაც სათქმელათ გინდათ, რათ ადიხართ ცაში ვარსკვლავებთან

ს ალაპარაკოთ, როდესაც თქჳენ თითონა ბძანებთ, რომ ქართველ საზოგადოებასთანა მაქჳს საქმე და იმას ველაპარაკებით. ან არა და თუ არ შეგიძლიანთ წერა, რა ძალა გადგიათ? ან მკითხველს რაზედ უჭირებთ საქმესა და ან თქჳენ რაზედ ინტყრევთ თავსა! აბა ერთი ნიმუშისათჳს გამოვხწერ ერთს ამის წინადადებასა: «ყოველთჳს ყოველი წინამავლობის ხარისხი, კაცობრიობისგან ყოველი წინ წადგომა საჭიროებისაგან მოვა . . » არა რა არის ეს! ტრედიაკოვსკის ტელემახიდა?!.. ბევრი კიდევ სხჳა ამგვარებია, რომლებიც თუ გამოვსწერეთ, მთელი სტატიის გამოწერა მოგვინდება და ჩჳენც ამაოოთ დავშვრებით და მკითხველსაც თავს შევაბეზრებთ, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ თუ თითონ არიგინალში წაუკითხავს, იმასაც ნაილაჩრობით წაიკითხავდა. გარწმუნებთ უფ. დავით ყიფიანო, რომ თუ ყოველთჳს ამისთანებზა ხწერთ.—თქჳენი ნიჭიკი უკეთესს არას მოასწავები,—ისე ჴელი აიღოთ!. . . . . . . .

ეს სხჳა და სხჳა ამბავი კიდევ არაფერი; შეგიძლიანთ დავით ყიფიანის უნიჭობისა და უეცრების შესამოწმებლათ ხელმეორეთ,—თუ ერთხელაც არის წაგიკითხავთ,—წაიკითხოთ იმისი გრამმატიკებზედ ლაპარაკი, სადაც მეტის მეტი ბევრი «რომას», «ანას», «ჯერას» და სხვა. მახილი თავბრუს ახვევს კაცსა ენის უგვანება თუნდ იქით ოყვეს. ვის არ ახსოვს ამ სტატიის უგვანება და უჯნჩილაობა. სწორე გითხრათ ამ სტატიაში რომელიც, როგორც შევიტყევ დავით ყიფიანს მეტი წელიწადი უმზადებია,—სრულებით ვერაფერი აზრი ვერა ვიპოვეთ რა და ვერც რა გამოვიტანეთ რა გარდა ამ რამდენისამე

გონივრული სიტყვებისა, რომლებსაც ამაყათ და სიამოვნებით ამობს დავით ყიფიანი «ოლოლო ბაქრაძე!» ვინ იცის, დავით ყიფიანს გულში უხაროდა, რომ ეს იმისთანა მახვილი და ოხუნჯი სიტყვა ვსთქვო, რომ მოლიერი და გოგოლიც ვერ მოახერხებდნენ და ისგი არ იცოდა რომ ეს სამასხარაო ფრაზა ამ შემთხვევაში და ამ ალაგას სრულებით არ იხმარება,

მეორეც ესა მე მგონია კაცმა ჯერ ენა უნდა ისწავლოს, შეისწავლოს იმის სათავე და მოდენილობა და მერე გრამმატიკების გამოკვლევას შეუდგეს უფ. დავით ყიფიანმა, როგორც ეტყობა არამთუ ენები არ იცის და როგორც ეტყობა. . . . . . . .

უმთავრესი ნაკლულევანება, აქამდის მწერალი გრამმატიკოსების ეს არის, რომ ისინი აწვევდნენ ხალხს თავისგნით მერდგენილს კანონებს და გრამმატიკას არა ჰხდიდნენ აღმსრულებელათ ხალხისაგან შემუშავებულის კანონების. ჩვენ როგორც გვახსოვს უფ. ბაქრაძე ამას ამბობდა თავის სტატიაში, შესახებ გრამმატიკისა; და დავით ყიფიანმა არ იცის ამის გაგება რადგან გულში ედო ეს გულის მოსათხარი სიტყვები: «ოლოლო ბაქრაძეო» და გამოსწერა, თავბოლო მოკვეტილი, ერთი ფრაზა, სადაც ვითომც ბაქრაძე არა ხედავდეს გრამმატიკაში საჭიროებასა. . . უფ. დავით ყიფიანმა ჭკვაჭკვამისავით მოინდომა ერთის საგნის დამტკიცება; უნდა დაემტკიცებინა, რომ ჸ, ჴ. ჲ. ჳ, ჵ, ჶ, არ არიან საჭირონი ჩვენს ენაში და იქამდის გონება ვერ მიუწვდა, რომ ეს სრულებით უბრალო საქმე სარწმუნოთ და ნათლად დაემტკიცებინა. რომ ეს ასოები საჭირონი არ

არიან, ამის დამტკიცებას არც ჰქვრის ბლაჯვნა უნდა და არც ბევრი ძიება. . . ამაზედ ჩუენ თუ გვექნება შემთხჳევა თავის დროზედ ვილაპარაკებთ.

სეირი ის იყო, რომ დავით ყიფიანმა პენდატიურის მედიდურობით წამოიყრანტალა, რომ თუ «ცისკარში» გაჩედა ვინმე ჩემზედ ლაპარაკი, საპუხსაც არ გაღირსებო! არა რა აგრეთი შესანიშნავი თქუენი სტატია იყო, რომ გარდა ლიტერატურის ისტორიის როგორათაც ქრონიკა მოეხსენებინა ვისმე?. . ემაგაზედ როგორა ლევდით, მჯდის წლის შრომასა, ემაგისთჳს როგორა.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

უფ. დავით ყიფიანმა, რაკი დაატყო, რომ ამის თხზულებავბი საზიზღარათ მიაჩნიათ მკითხველებსა, ადგა და გაფსევდონიმდა . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . და აგრეთვე ამის დაგვარი რუსულიდამ ნათარგმნი სიტყვები, რომელიც იმასა აქუს ნახმარი თავის გრამმატიკაში: «Красно-рѣчіе»—«წითელ სიტყუაობა», «Много-рѣчіе»—«მრავალ სიტყუაობა»—და სხუა ამ გვარი ებრძვე თავის ბედხეირი მახჳლ გონიერება ვერც იც დაუფარავს და სხუა.

«მოამბე», რომ უნიჭო ნაწერებით გამოიჭიკნა მაგალითი მარტო დავით ყიფიანის ნაწერები არ არის, დავით ყიფიანის ნაწერებში ერთი ეს ღირსება მაინც არის, რომ ის არ გადასდგომია ჯერ უმაწჳლი თაობის «წან წადექის» აზრსა, თუმცა ამ გვარ უნას აზრს ისიც წამოროტავს ხოლმე, რომ ქრისტიანის

და სხჳა სჯულის ხამორჩობაში გარჩევა იყვეს; — მაგრამ ნახეთ ახლა ჭავჭავაძის ეს ლექსები, სადაც ჭავჭავაძეს ესმის «ციურნი ხმები,» და როცა ამას გაიგონებს ხო-ლმე, შეიტყობს საიდამ რბიან, და სად სცხოვრებენ დაა და ქვეც ახლამ მირგალებული ბანს აძლევს . . . დაა სტალულიც ეს გახლავს.

«ციურნო ხმებო —
«ოჰ საყვარელებო!

რა ხმებია უფ. ჭავჭავაძე? არ შეიძლება ერთი ჩჳენც გაგვაგონო? ეგ რომელი ციდამ არის: მეშვიდე ციდამ, თუ მეცხრე ციდამ? ნეტავი თქჳენს ღირსებასა!, . .

. . . . . . . . . .

. . . . . . . . , . .

. . . . . . . . , . .

. . . . . . . . . .

. . . . . . . . . .

აი ბატონო წარმომადგენელი «საქართველოს მოამბის მიმართულებისა. აგრეთვე ეს წარჩინებული ლექსი «მძი-ნარე ქალი» რომელსაც ჭავჭავაძე «დაჰყურებს მშჳდ მძი-ნარეს და შესტრიალებს მის ბროლის მკერდსა, ესმის მის რხევა «შუქ შესხმულისა» (ფირდუსი რომ არ არის, რას აშავებს!) ეგრეთვე ჭავჭავაძე ჰხედავს, რომ ქალს «წრფელი აქჳს ძილი ვით ხილვა ცისა, ზედ ადგას ჩრ-დილი ანგელოზთ ფრთისა» «კარგი შედარება არ არის». .

ოხ მიმართულებავ, მიმართულებავ! ნეტა· თუ როგორ ეყურება მოამბის მიმართულება? თუ ისე ეყურება, რო-

გიორგ ტერტეტნიკოვს ისტორია, კარგი რამ იქნება! ერთიც კიდევ ეს ლექსი იმავე ჭავჭავაძის «პოეტი», რომელიც ჭავჭავაძეს გადუკეთებია აღარ მახსოვს, ლერმონტოვისა თუ პუშკინის «წინასწარმეტყველიდამ». სხვათა შორის იქ ჭავჭავაძე ღმერთს ელაპარაკება და ციდგან მიწაზე გამოგზავნილი ქვეყანაზედ წესიერების დასამყარებლათ. არა, ვკითხავთ ჩვენ ჭავჭავაძესა: ეს რა იგავია, ან რა უნდა ეთქვა ამით?.. ალბათ მეტის მეტი მაღლით თუ მოზდის ჭავჭავაძეს ეს თავის აზრობა!.. აიყვანუს ყმაწვილი თაობის ორგანო, მოამბე!.. ეს ზემოხსენებული ლექსები, რომ თ. გიორგი ერისთავს დაეწერა კიდევ მოეტევებოდა, რადგანაც მაგის გალობა გათავებულია, და მაგის თხზულებას არა რიგიანი ჟურნალი არ მეიწყნარებდა; იმ დროს კაციც არის, რომ ემაგ გვარი ლექსები სიჩინო რამ იყო და უნდა ცრუ ოცნებით თავის თავიცა და სხვებიც ეტყუებინა, ესეც ხომ კარგათ ვიცით, რომ, რაკი კაცი ქროთი და ქვთი ველარ მიჰყვება დროებასა, მასუკან სადაც ხედავს, რომ გამოაბა, მაინც ველარ მიჰყვება;—მაგრამ ჭავჭავაძეს, როგორ მიეტევება ესა, რომელიც ის თითონაც ახალს ხალხსა და საზოგადოებაში, გაზრდილი და ახალს ელემენტებში გამოსული ეს! რაკი კაცი ავტორიტეტებს თავს დაამოხნებს, რაკი კაცი ემოხება მოუსაზრებლათ ძველსა, ახალს იჩოთირებს და უნდა ახალი მხოლოდ «მოდის» გულისათვს და არა ჭეშმარიტებისათვსა აქეს შილებული, ის ავტორი აღარ არის სარწმუნო და უნდა სთქვა ბაზაროვის ეს სიტყვები: «Его пѣсня отпѣта!»

ჩვენა, უფ. ჭავჭავაძე და თ. ერისთაო ცრუ ოცნებას-

ები კი არ გვინდა პოეზიაში,—რით ვერ გაიგეთ, რომ მაგ გვარი ოცნებანისა, ახისა და უხის ამაოთ დაყაფისა და ქადაგებაებისა დროებაები წავიდნენ,—ჩვენ გვინდა პოეზიაებშიაც და ისეც ვხედავდეთ საქმეს ჭეშმარიტებას, ჩვენი გულის პასუხს, ჩვენი თავის ცნობას, ჩვენს გარშემოს, ჩვენს თჳსებას და კუთჳნილებას და არა თქვენი ოპიუმისგან მთვრალის ოცნებაების დაგვარსა რაღაცა რაღაებსა. ვაშა ვუშსა და ვაგლახებსა.

ჩვენ ჭავჭავაძის ნიჭნაკლულებაზედ ლექსებში დიდი ხანია ვიწუწუნებდით, თუცა «მოამბე» თავის სადღესასწავლოეში თითქმის გენიოსობასა სწამებს ჭავჭავაძის უმანკო და შეუფეთებელს ნიჭსა,—და ამის საბუთები რაც შესაძლებელი იყო იმ მოკლე სტატიაში, უჩვენეთ მკითხველს. ჭავჭავაძე ახალს ვერაფერს ვერას შეიქმს; თუ როდისმე ცდილობს, ჭავჭავაძე, რომ თავისით დაჰბადოს, ის არა ჰბადავს ნიჭით,—ის ჰკრეფავს ძალათი ხელოვნურათ სხუა და სხუა ფიგურებსა, სხუა და სხუა ავტორების გავლენილებაების ქვეშ და ისე არდგენს ერთის მთელსა; ამისგამო თქვენ ხედავთ ჭავჭავაძის თხზულებაებში, რაღაცა უსიცოცხლობას, უმოძრაობას თხზულებას მკვდარს, რომელსაც ცდილობს ავტორი ძალათი სული ჩაუდგას და აშკარათ ჰხედავთ, რომ აქ ნიჭი კი არა მუშაობს, ხელოვნება მუშაობს.—ჩვენ არა ვიტყვით, რომ ესეც ღირსება არ იყვეს, ესეც თავის მხრივ ღირსებაა ავტორისა,—მაგრამ პოეტურს ნიჭში და ამაში დიდი განრჩევაა. პოეტი რომ სწერს, თითონაც ვერა ჰხედავს და არ გაეგება, როგორ მოსდის თავში

ის სურათები, ის მხატრობაები და სულის ჩამდგმელი მშვენებაები, რომელსაც ავტორი სახავს; ის არის მაშინ გარინდული; გონება აქვს დაკვრებული თავის ასაწერს, ანუ გამოსახავს საგნებზედ; იმას მოზდის აზრი აზრზედ და ყოვლის უწვალებლივ გამოჭყავს ნასახი,— და ამ უწვალებლობას თითონ მკითხველიცა ჰხედავს კითხვის დროს: ის ისე გითხულობს, თითქო ეს არის თითონვე იყვეს ამის მომქმედი პირი, თითქო იმასაც ენახოს ეს საქმეები, ან თითონაც თითქო ეს გულში სდებოდეს და ნდომოდეს წარმოსათქმელათ;—ერთის სიტყვით ავტორს ნიჭიანს ყოვლის უწვალებლივ და უმებნელათ ყველა თავისით მოსდის კალმში, თითქო ესენი სულ თავში სწყობოდეს და ეხლა ალაგებდეს ქაღალდზედ გასაწყობათ. აი მაგალითისთვის აილეთ აკაკი წერეთლის ლექსები,—რომელსაც «მოამბის». . . . . რეცენზენტი ვერა ჭყურობს წყალობის თვალით, ნახეთ რამდენი უმაღლობა და მიმოხვრა აქვს, რამდენი მშვენიერება და ტაქტი აქვს; რა კოლორიტი და სიმაღლე, რამდენი ნიჭი სჩანს ავტორისა! აილეთ ამის სატირული «აპპელიაციის მცოდნე», ამისი «მესტვირე», რამდენს მაღალს და გონივრულს ირონიას იპოვით; რამდენი კაცის ცხოვრებას და ცოდნას ნახავთ ავტორისას; ან კიდევ აილეთ ზოგიერთა ალაგები პოემიდამ რუსთუმე (გარდა მამა და შვილისა, რომელშიაც ავტორი სტყუნობს თავის ნიჭსა და ვერც გვიჩვენებს სრულს იმ სურათს, რომელიც უნდა გამოსახულიყო ამ ორს პირში); აილეთ ამისი «მუშური», სადაც ამ გარმონიულს და მაღალს ლექსებში წარ-

მოთითქმის შიგ სიღრმიდამ საბატონო გლეხის გულის პასუხი და მწუხარება; ამისი დაფარული დრტვინვა და სატანჯველი და იმისი ნუგეში; რა რიგათ გაიტაცებს კაცს და ჩაახედებს უბედური გლეხის გულში; რა რიგათ აგრძნობინებს და მიაკვრძებს თვით უგრძნობელი კაცის გულსაცა. აქ ავტორი თითონ განზედა დგას და გიჩ-ვენებს: აი რა ამბავია, რომ შენ, მკითხველო, ვერა ხე-დავო; აქ ავტორს სრულებით ვერ იცნობთ: თქვენა ხედავთ თითონ საგანსა და საქმესა. რომელი კაცი უნდა იყვეს, რომ ამ გლეხების სიტყვამ, რომელსაც ათქმევი-ნებს წერეთელი «მუშურში»:

«ნუთუ გულგრილათ უყურებ ჩვენს ტანჯვას მოცხოვარო!»

რომ არ შეურყევის გრძნობას და არ აუდუღოს გული?! აქ არ არის არც ის სანტიმენტალური წრიპინი, რომელსაც ჰხედავთ თქვენ ჭავჭავაძის «მუშაში», არც არის ის ნაძალადეობა;—არის სუმბუქათ, თარხნათ და გრძნობით წარმოთქმული. «მოამბის» რეცენზენტი უწოდებს წერეთელს «რომანტიული» მიდრეკილების მწერალს! მელნის ზღვას დამშრობებო და საბრალო მხნა-ზნაზებო! როგორ გეყურებათ: რომანტიული მიდრეკი-ლება რა არის? ჯერ უნდა გესმოდესთ ეს სიტყვა და მერმე წამოეჩხიროთ ჭავაქანთ მატარმალივითა! «მშვე-ნიერო ალექსანდრა», რომელიც მოჰყავს მაგალითათ. . . . . . რეცენზენტს თავის საწინასწარმეტყველოში, რო-გორც რომანტიულის მიდრეკილებისა, სრულებით ცუ-ლია, ცილი იმისთანა, რომელსაც ინკვიზიციის აგენტე-ბიც არ იკადრებენ. «მშვენიერი ალექსანდრა» არის გა-მომხატველი იმ წმინდა გულწრფელი აზრისა და გრძ-

ნობისა, რომელიც ყველა გრძნობა გაუცოვებელის კაცი-სათჳს მიუცილებელია; აქ არ არის ის მომატებული და გაზჳადებული ოცნებაები და ცნობის სამთვრალე, რომე-ლიც ეთქმის რომანტიულს; აქ არის გრძნობა და გრძ-ნობა ჭეშმარიტი, შეუშლელი და პოეტური. ერთი უმ-თავრესი ღირსებათაგან პოეტისა არის ნიჭი კაცის გუ-ლისთქმისა და იმის შინაგანის ცხოვრებისა სურათულათ გამოხატვა, რომელიც წერეთელში ცხოველათ ჩანს. გარ-და ამისა, როგორც ეპიკოსი მოკლეს ლექსებში წერე-თელი კიდევ შეუდარებელია ჩვენს მელექსებში წერეთე-ლის ნიჭი იქნება ყოველთჳს მოძრაობაში, წარმატებაში და განვითარებაში, თუ პატრონი უბეჯითებს, შეიმუშა-ვებს და მისცემს შესაფერს საზრდოს. მაგრამ ამასაცკი ვიტყჳთ, რომ წერეთელი ვერ დასწერს ვრცელს პოემას და თუ დასწერს ჯიმშერიძეს შორს დარჩება . . . .

. . . . . . . . . .

. . . . . . . . . .

. . . რაც შეეხება ჭავჭავაძის ნიჭსა ლექსებში, ის როგორც უმეოფელია და არის მხოლოდ კელოვნება, როგორც ზემოთაცა ვსთქჳთ, არ არის იმედი, რომ მა-გაზედ წინდა წავიდეს და წინაამდეგ «მოამბისტების» აზრისა, ჩვენ დარწმუნებით და ბეჯითათ ვიტყვით, რომ ჭავჭავაძე მოკლე ლექსების წერაში ისე დაბლა სდ-გას წერეთელზედ, როგორც გვერნაკი იალბუზზედ. ესეც კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუმცა არც წერეთელია ამცდარი იმასა, რომ გავლენა არა ჰქონდეს ამაზედ სხჳა მწერლებსა; მაგრამ ეს იმ განვლენაზედ მაღლა დგება და

თითონ ეს იხდის მონათა თავიზედ განვლენილს თხზულებასა და აძლევს თავის ძლიერებას, თავის ხასიათს თავის ფორმებს, თავის გზასა და ჭავჭავაძე კი ხდება სრულებით ტყვე თავიზედ განმკლდენელისა და მინიცობაა მოანდომა ამათ დამონებს ამანა, თავის საკუთარიცა და ამის ხელმოკიდებული აზ-რიც შეიქნებიან სრულებით თოვლის გუნდანი ანუ ყუ-ათუყის ყუმბარანი. მაგალითს ჯერ ამის «პოეტში» ვხე-დავთ, რომელიც, როგორც ზემოთაც ვსთქვთ არის სხუა ავტორის თხზულებიდამ გადმოკეთებული. პირველ უნიჭობას ჭავჭავაძისას ეს ამტკიცებს. ჩუენ ამის მთქმელნი მაინც არა ვართ, რომ ჭავჭავაძის ლექსები არა სჯობდეს, ბევრი სხვებისასა; მაგრამ, თუ ამისი თხზუ-ლებაები სჯობიან ბევრის სხვებისასა, ამის მადლობელი თავის ნიჭისა კი არ უნდა იყვეს, უნდა მადლობელი იყვეს უნივერსიტეტისა, იმ ტოტალდენი სწავლისა, რო-მელიც შემთხვევას იმისთვს მიეცა და იმ საზოგადოე-ბისა, რომელშიაც ის შემთხვევით ჩავარდნილა.

ჩუენ რაკი «მოამბეს/ზედ» ლაპარაკი გვქონდა, არ შე-გვეძლო, რომ რამდენიმე სიტყუა შესახებ იმის რომე-ლიმე მწერლებისაც არ გვეთქუა. «მოამბე», რომელიც ას-რე მოიქადის თავსა, რასაკვირველია უნდა მოექადნა თავის მწერლებითა. ჩუენ ის უნდა გვეთქვა, რომ სადაც ზემო-ხსენებული დაგვარი თხზულებაები და გიორგი ერისთა-ვივით მწერლები შევლენ ჟურნალში ის ჟურნალი არ იქ-ნება რიგიანი, თუნდა რიგიანი იყვეს ამ გვარი მწერალი წაახდენს. მაგალითისათვს, ვის არ ახსოვს შეშლილში ის დედაკაცების დანიშნულებას რას ეძახის; ან დედაკა-

ტებს რას უწოდებს აი თუნდა გამოვსწეროთ ის ადგილი:

«დაუდგრომელო დედაკაცო! ვით შემოდგომა
შენ სად ისწავლე ეშმაკივით კაცთ შემოდგომა?
ვინ მოგცა სახე ანგელოზისა და სული ქაჯის?
იქნებ გევონოს ამა სოფელს აჩავინ დაგჯის!
კაცის ფერცხადო, მაცთურადო, ბურცელო ოცნების,
გველებრივ ჭრელო, კაცთ გულ მსვრელო, მახინჯ გონებას.

ან კიდევ ეს ჩინებული აზრი ავტორისა, რომელიც ადრევაც შეგვინიშნავს ჩვენა:

დამიგდე ყური მე რას გასწავლი,
ამისთვის რომ ხარ ემაწვილი ქალი
ცრუფაბა არს ქალთა ბედი და წერა!
ეს წმინდა გრძნობა ღმერთმა შთაავბერა

(თუ ბედი და წერაა, ღმერთმა როგორღა შთაჰბერა და თუ ღმერთმა შთაბერა და როგორღა ბედი და წერაა? მოამბეს ორივე სჯერა!)

შეგვქნა ცრუფანი, გული გვცა ლიბილი
და მამაკაცთან გვყო გადაბმულნი.
მათ ჯაჭვი ხელთა ჩვენის ცხოვრების

(ეს რომ საწყალი ასკოჩენსკის თავის ჟურნალში ეთა-ქშა, «ისკრა» ცოლმოკლიანათ აჰყრიდა.)

მისცა და ვართ სულ მათის გონების.
კაცთა აქვს სრულად სოფლის უფლება

(და დედაკაცებიკი ცარიელები უნდა დარბოდნენ, ისინი ერისთავისა და მოამბის ჯიბეში კაცები არ არიან!)

ცახცხი, ნაცვივი და განდიდება.
ცრუფობა არს ქალთა დანიშნულება (ბის! ბრავო!)
სხვა ამა სოფელს რა გვეგულება?(არაფერი! აბა რაღა გვეულებათ!)

ნეტარ მას ვინც ჯაჭვსა ტრფობის
ჰპოვებს და სულით გულით მიჰყვების!

(ამისთანა გემრიელ სანატრელს ვერც მართლმორწმუნე მოსულმანი ინატრებდა ჰარემში მჯდომი, ყალიონით პირში და ოპიუმ ნაჭამი)

გარდა ამისა ხილვა «თანამოგზაური» ამავე ერისთავისა, გარდა ამისა, რომ ეს ლექსი არის მართლაც და «ოცნების ბურტყლი», ეს ავტორი არც ლექსში ეშვება საწყალ დედაკაცებსა და ყოველს უგვანებაში წამოსაძახებლათ დედაკაცი ჰყავს. აი რას ამბობს ის ერთს ადგილს:

. . . შენ არ იყავი მწირდებოდი გამხდარი კაცი
და უსირცხვილოთ მილალაცე ვით დედაკაცი!. .

საწყალი დედაკაცები ამისთანა ჟურნალისა და ამისთანა ავტორების ხელში! გარდა ამისა უფ. ერისთავი სიყვარულის და ტრფობის მეტში ბედნიერებას არაფერში არაში ჰხედავს, სადაც არა მგონი წამოსჩხირავს ტრფობასა და სიყვარულსა და ამას ჰხადის მთელი კაცობრიობის დანიშნულებათ. ამისთანავე ის ამასაც ჰქადაგებს, რომ კაცს არა მართებს ცხოვრების ბრძოლა, უნდა მიუგდოს ყური და დასტკბეს უმოძრაობასა და უნაყოფობაში... თავის-თჳნას კაცი იყოს მოსვენებული, რა ჰსჯოდა «მოამბესა», რაზედ წამოახედა თქჳენი ჭირიმეთ! გამოაღჳძეს, და ემაგიტომ გამოაღვიძეს, რომ ეგ უგვანებები ეწერა!? ეჰ, მიმართულებავ მიმართულებავ! აი «მოამბის» დაქადებული მიმართულება! «მოამბის» დაქადებული მწერლები!

ჩუენ ზემოთ ერთი ანდაზა უამბეთ მკითხველს. სწორე «მოამბემაც» ისე ჰქნა: რამდენი გვექადა, რამდენი

იყურა, რამდენი . . . . რომ მეტის მეტი ჩხავილით ხმა წაუგდა, რომ აი ამას გიზამთ, აი იმას გიზამთ; ეს ნაწილები შემოვა, ეს იქნება და ის იქნება. სად არის, ახლა ჩუჩნა ვკითხავთ, ეს დაქადებული საგნები? . მოა-მბეს ტრაბახობა . . . შერჩა და დაქადებული ჯერაც გა-რბის; ხელის მომწერი და მკითხველიკი იმედით შეჰს-ცქერის აცა ეხლა იქნება, აცა ეხლაო! «მოამბემ», ნაცვ-ლათ ამისა, რომ დაქადებული შეესრულებინა, სტატიე-ბის შერჩევაც რიგიანი ვერ გამოიჩინა, რომ ცოტაც არის მკითხჳელები რიგიანი რასოიმე გაეცნა; «მოამბე მოჰყჳა რაღაებისაც ჩხაბნასა, სხჳა და სხჳა ანბავი მი-ანდო ვინ იცის ვისა და საკრიტიკო ნაწილი ერთი ვი-ღაცა სემენარისტს , . . . . . . მე სანაძლეოს დავდებ თუ ამ დაკჳანი რეცეზენტის დაწერილი კრიტი-კა კარგა რედაკტორისა, ასოების აოწყობისა და კორე-კტორის მეტს წააკითხოს ვისმე ერთი ასიოდე სტრი-ქონზედ მეტი. ან კი ვინ წაიკითხავდა! სადღესასწაულო-ები ეკალესიებშიაც მობეზრებული აქვთ. თუ გინახავს სადმე რაჭველი მთხოვარი, რომ კარს მოდგომიათ და მთელი დღე უღიჯინია ერთი ლუკმა პურისათჳს და ამ-დენს ღიჯინში კი ვერა უთქჳამსრა; . . . .

. . . . . . . . რომ ჯერ პატარა დაცადოს ამ დიაკვანსა, რომ ან კითხვაში გაი-მართოს, ან წერაში, ან გაიგოს რამე ქჳეყნიერების და მერმე ისე აწეროს, ეჰ, და ვიზედ ვლაპარაკობ! ღირს იმათა, ვილაცა თავზარ დაცემული სემენარისტია, რომ იმაზედ მელანი დავხარჯო და კალმი გავანძრიო! ჯერ

ტიტინი უნდა იცოდეს და მერე ისე გველაპარაკოს!.. ემა-გიტომ უნივერსიტეტებში როგორ მიდიხართ, რომ სხჳს ნაღეჭი მესამოცეთ თქჷენცა ღეჭოთ. ეჰ, მიმართუ-ლებავ!, «მოამბის» მიმართულებავ! ეს ჟურნალიკი არ არის . . . . სადაც უნიჭო კაცი, რომ შეეხვდეთ შიგ უნდა ჩაავდოთ. ორი კაცი, რომლებზედაც უფრო იმედი იყო, რომლებსაც შევქებოთ ეს . . . . .

. . . ჟურნალი, ჟურნალისათჳს მიემსგავსებინათ და რომლებიც «მოამბეში» გამოაცხადა თავის ორი სხუა და სხუა ნაწილის რედაკტორებათ, სულ არ გამომდგარან «მოამბის» სამწუხაროთ ასპარეზზედ და ის ორი, რომელიცა მუშაობს, ჩუენ ვიცოდით და კიდევაც ვიცნობით რაც . . . . არიან. კრიტიკოსებიც ხომ ვიცით რაც შჳ-ლები მოიპოვა «მოამბემა». ნეტა თუ ან კრიტიკა რო-გორ ეყურება «მოამბესა»? ესეც როგორც ეტყობა ის-რე ეყურება, როგორც ტენტენიკოვს ისტორი; თორემ თურგდალეულებისთანა და გ—თელისთანა კრიტიკოსე-ბის სტატის შეიტანს რიგიანი ჟურნალი თავის ფურცლებში?! მაგრამ უოველივე აზრი ხასიათი და მაი-ლა «მოამბისა» წარმოითქვა ამ გ—თელის სტატიაში...

მოამბეს თურმე ეპრიანებოდა «ცისკრის» დაცემა და მოსპობა. (აი «მოამბის» მიმართულებაც ( ჩუენ ეს სა-ზიზღარი და სამარცხვინო საქმე არა გვეგონოდა, რომე-ლსაც გვესმოდა სხუა და სხუა ადგებში «მოამბისტების» სავანე, რომლისაც არ გაუგლებოდა კლუბსა. . .

. . . . . . . . . .

. . , . . «ცისკარი» უნდა მოისპოს, «ცისკარის» კვალიც უნდა გავანადგუროთო. ჩვენ ეს არა გვჯეროდა, ჩვენ გვეგონა ამას მხოლოთ უმსგავსნი და უგუნურნი პირნი ამბობენო, რომელთაც არა დაეჯერებათ რაო: მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ «მოამბემ» ეს თავის უგუნური და საზიზღარი აზრი ბეჭვდითაც გამოაცხადა. რასაკვირველია ახლა უფრო შეგიძლიან სარწმუნოთ სცნო, მკითხველო, თუ ამ ჟურნალს რა მიმართულებაცა აქვს და რა ხასიათების და აზრების პატრონია. ამის საგანი იქნება მხოლოდ თჳთ მარტოობა და როგორც უნდა ისე იპარპაშოს თავის უნიჭო და უაზრო მწერლებითა.

მოამბე სხვათა შორის ბძანებს თავის სადღესასწაულოებში, რომ «ცისკარს» არა ჰქონდეს აქამდინ მიმართულება და არც ახლა ჰქონდეს. აქამდინ რომ არა ჰქონდა ერთი მიმართულება ამაზედ ჩვენც თანახმანი ვართ, მაგრამ მიზეზი ამისი გამოიკვლია მოამბემა? არა, და არცა მაგის ხასიათში. ამისთანა . . . . და მართალიცა; «მოამბემ» უნდა მხოლოდ უბრალოთ ქუჩის ბიჭურათ ილანძღოს და რაზედ ილანძღება ფაკტი არ წარმოიდგინოს. მაგრამ ანკი სად შეუძლიანთ ვილაცა . . . . მაგდენის გამოძიება!.. რაც შეეხება წლევანდელი წლის «ცისკარს», რომ მიმართულება ვითომც არა ჰქონდეს, ამისას «მოამბეს» მოვახსენებთ, რომ ის ისრე ტყუის, როგორც . . . არ ვიცი . . .

. . . დავით უფლიანივით, რომ ბალაგნურს სიტყვებს ვხმარობდეთ და ვიკადრებდეთ მხოლოდ ის იქმნება ამისი შედარების შესაფერი «ცისკარი» რაც ამი-

სგნით შესაძლებელია, ადგის ერთს აზრს, ერთს მიმარ-თულებას და არა ჰქადაგებს «მოამბესავით» სხვა და სხვა გონების დასაბნეველს საფიქრებსა და აზრებსა. «მოამბე» იქამდის გონება დაბნეული ყოფილა თავის სადღესასწა-ულოების წერაში, რომ გარიბალდის ცხოვრებასთან წლე-განდელს წელს ჰქონებია დაბეჭდილი «მამისაგან შვილის დარიგება»: ცისკარს, რომ ის ღონისძიებას ჰქონოდა-რაც «მოამბეს» წლეულს ჰქონდა, უნდა ყველა დარწმუ-ნებული ყოფილიყო რომ მოამბესავით უნაყოს და ბედკრულ ჟურნალს არ გამოსცემდა; თუცა მოამბე ბძანებს რომ მწერლობა ღონისძიებაზედ არ არისო მაშ, აბა ერთი სცადოს «მოამბემა» და ერთი ორიოდე წლიწადს ხელს ნურავის მოაწერინებს და ნურც რა საიდამვე შემწეობა, ექმნება —ვნახავთ როგორღასაც ჟურნალსაც გამოსცემს. ფრიად კარგი მწერალიც არის, ვიცით, სურვილიცა აქვს, რომ თავის ქვეყანას დაეხმაროს და ემსახუროს, მაგრამ მ თუკი შიმშილით გული უხმება და მას ცოლშვილი მშიო-ერშიშველი შესცქერის, რას დასწერს! ის ჯერ იმას ეცდება, რომ თავის საჭიროება დაკმაყოფილოს და მე-რე თავის გარშემოსი და, რაკი ლუკმა პური თუ არ და-დის ჯაფით და შრომით არავის არ ეძლევა, ამისგამო იმას არც დრო აქვს, რომ ლიტერატურისათვისაც ც იმუშაოს. მეორეც ეს, რაც უნდა კაცი იყვეს იმას ჯერ თავის თავი ახსოვს და მერე სხვა; ესეა ბუნების კანო-ნი. ესეა თითონ კაცის მდგომარეობაცა და ამის აგებუ-ლებაცა. «მოამბეს» კი ვერ მოუწვდა აქამდის გონება და ა ეს ველარ გამოიკვლია და იმასაც რომ ფულით ვერავის ს

ვერ დააწერინებენო რასაკვირველია, თუ ნიჭი არა აქვს ფულით ნიჭსაც ვერ მოუმატებ; მაგრამ ნიჭიანს დროებას მოაშორვინებ, დასამტკიცებლად ამისა, რომ «მოამბე» ჩინებული კრიტიკული გამოკვლევისა, გარწმუნებს ამაზედ ეს აზრი, სადაც ის თავის სადღესასწაულოებში ჰფიქრობს. რომ რაკი მწერალს ხანჯლით მოკლეული კაცი არ უნახავს, არც შეეძლოს ამ საგანზედ საფუძვლიანათ რისამეს წერა. ამ გვარი რეგვენული აზრები მოამბისათვს ახალი არ არის

ერთ ადგას «მოამბე» უხარდება მოლაყბეს, რომ მწერალი მამაკი არ არის მკლიათ ხალხისა. ბრავო, «მოამბევ» გამოიცან! გამოცანაც გირგებს. მაგრამ მეტისკი ვერ ჰფიქრობდა მოამბე თავის მწერლებითა რადგან თითონ «მოამბე მართლათაც და შვლია ხალხისა და ისიც ჭვერ . . . რომელიც უმანკოთ გაუგებრივ და მოუზასრებლათ რასაც სხვაგან გაიგონებს იმას . . . და თუ თავისით იტყვს რასმე უგზოუკვლოთ და უსალეკოთ. ვსთქვათ მოლაყბე შესცდა. . მაგრამ «მოამბე» ვიღარ არის წყალობის თვალით მოლაყბეზედა რადგანც თანამშრომელია «ცისკრისა» რომელსაც სდევნის ყოველის მეცადინეობით (*) ერის დროს თითონ ილია ჭავჭავა-

(*) ცისკრის რედაქცია საჭიროთ რაცხს დაბეჭდოს ამ სხოლიოში თ. ილია ჭავჭავაძისაგან მოწერილი წიგნი მოლაყბის შესახებ, დასამტკიცებლად ამის, რომ უფ. მოამბის რედაქტორი არა სდგას არასოდეს ერთს აზრზედ და რასა სწერს:

ა. ამას წინეთ მგონია შენი სტატიები იყო ცისკარში და

მე სხჳა ფრივ გაიმასხრდა ამ ლიტერატურაზედ. ნაკლუ-ლევანებსა, რომელიც მოლაყბესა სჭირდა თითონ ცისკა-რშავე არ დაფარა ქერული ბექას სტატიაში და წარმო-თქუა . . გარდა ამისა «მოამბე» მოგვაქადის კიდეც თერგდალეულს, რომლისაც ჩუენებით კითომც ჩუენ გაგვერჩიოს «სურამის ციხე» ჯერ ერთი ეს უნდა იცო-დეს «მოამბემა», რომ ჩუენა ვკითხულობდით კი მაგ თერგდალეულის სტატიას ისე, როგორც რაგიანს რას-მე! ჩუენ ამ სტატიას ისე უყურებდით როგორც . . . და უნიჭოების მაგალითსა. კიდეც მოხსნანე თერგდალე-ულის იმის ჩუენებით კი დავსწერდით ჩუენ სტატიასა? ჩუენ პირველი წინააღმდეგი ვიყავით «ცისკრის რედაქ-ტორისა, რომელსაც ისა ჭბეჭდავდა ამ უგვანოებსა; მა-

მოლაყბედ აცხადებდა შენ თავს, შენ იყავ თუ სხჳა. პირფერობით არ ვიტყვი, კარგი რამ იყო. რაცა შეე-ხება ჟანას სწორეთ ფენომენი იყო ჩუენს გორიზონტ-ზედ;; ჭაზრითაც არ იყო დასაწუნი. დასაწუნი მეთქი? დასაწუნიკი არა, ძრიელ მოსაწონიც იყო რა მახვილათ დაეცა მოლაყბე ქართველობას, რა კარგა დაიწყო ქართვე-ლის უბედურებაზე დაცინება და რა ლამაზ ქართულ ჯა-რაზედ დართულ სიტყვებით ტიტინებდა! რა სიხარბით ვკითხულობდით მარტივ სიტყვასა კარგის გულიდამ გა-მოსულს! უნდა გენახა, რა სიჩქარით გადადიოდა ხელი-დამ ხელში ის ბედნიერი ცისკრის ნომრები, სადაც მო-ლაყბეს ფურცლები ბრწყინავდნენ სხჳათა შორის?. . . »

რედ.

გრამ სხუა და სხუა მიზეზებით დაიბეჭდა.

ერთს ალაგს «მოამბე» დიდის ჭიფხვით ბძანებს, რომ გარიბალდის ცხოვრებით ვერ მოგვატყუებ «ცისკრის მიმართულებასაო, რომელსაც ამ სტატიასთან ქერელი ბეჭდიო. აკი მოგახსენებთ, «მოამბეს» ისე ეყურება მიმართულებს, როგორც ტენტეტნიკოვის ისტორია. რა იცის მოამბემა, რომ გარიბალდის ცხოვრება არის ცისკრის მიმართულება და არა ქერელი ბექას სტატიები, თუკი ამათს მიმართულებაში გარჩევა არის სადმე? ჯერ უნდა გეყურებოდეს მოამბევ «მიმართულების» ამ სიტყვის მნიშვნელობა და მერე ისრე ილაპარაკო!.. მაგრამ თავის უსიამოვნება სხუა ვერაფრით ვერ წარმოათხია «მოამბემ ქერელი ბექაზედ და ვითომ ეს კარგი მიზეზი მოუპოვა. სხუათა შორის «მოამბე» კიდევა ბძანებს, რომ ცისკარი ვერ იგებინებსო. თითონ «მოამბე» ძალიან მკბენარი გამოდგა. მოგვილოცნია მოამბევ! მაგრამ ღმერთმა ჩუენკი მაგ ღირსებამდის ნუ მიგვახწევინოს. «მოამბე» იმავე თავში ამ უშვერის სიტყვებით იწყობს. «რა აგაგანებდა ცისკარსა?» ეს დიდი ოხუნჯობა ეგონა «მოამბეს!» ეხლა ჩუენ რომ ამ სიტყვებთანა ვკითხოთ «რა . . . . . , . ?» ან «რა ატრეხუნებს» იმის ორიოდე რედაკტორსა და თანამშრომელსა? რა იქნება, ცხჳრ პირსა და ყურებზედ ხელს მოასმევინებს და სხვა არაფერი!...ვგონებ რიგი არ იყვეს.

ჩუენ გვინდა ვსთქვათ რამე კიდევ ერთ რიგს მოამბის მიმართულებაზედ. აქ პატარა სათავიდამ უნდა ვიწყოთ. «მოამბე» დაგვეთანხმება თუ არა და თავისი ნებაა,

და ჩვენ კი ვჩვენებით ფაქტის, თუ სადამდინ შემცდრები არიან ესენი თავის ქადაგებაებითა. ჩვენ აქ ვჩვენებთ «მოამბეს» იმ მხარეზედამა თავის სომტუენესა, თუ ისინი ამ ჰიპოტეზას მისდევენ, ვითომც იმავე დასაწყის-იდამ იყვეს კაცის ბუნებაში ის წარმოდგენილობა უმაღ-ლესობისა, რომელსაც შემდგომ კაცი ემონება.

კაცი თავის დასაწყისიდამ, ანუ უკეთა ვსთქვათ, იმ დროებიდამ, როდესაც ცოტაც არის კაცის სახე დაედო და ცოტა გონება გამოჰკვეული შექნა პირუტყული ინ-ტიკტიდამ, ნახა საჭიროება, რომ ამ არეულობასა, ერ-თმანეთის ხოცვასა და ტაცებას თავის დასამშვიდებლათ, უნდა ბოლო როგორმე მოეჭრებოდა და ეძიებდა ამის ღონისძიებასა; ღონის ძიებაც ესა ჰპოვეს, რომ ერთი-ერთი საზოგადო უმფროსი უნდა დაეყენებინათ ვინმე გარდა ოჯახობის უმფროსობისა, რომელიც, რასაკვირვე-ელია უამისოთაც უმფროსი იქნებოდა ოჯახში. აქ რაკი უმფროსობა დაწესდა,—უმფროსს, რომ უფრო ძალა ხელში ჰქონოდა, გაიჩინა თავის შემწეები, შემწეებს მი-სცა სხვა შემწეები და ასე ამგვარათ ერთი მეორეს ემო-ნებოდა და ერთი მეორეს მხარეს იჭერდა, რომ ერთი-ის დაცემით თითონაც არ დაცემულიყო. ამგვარათ ამ უმფროსებმა ჩაიგდეს ძალაცა და სამართალიც ხელში. ეს მეუმფროსეები რასაკვირველია თავის უშკერეიათ და მხეცურის გონების ჩაგონებით ისე ეპყრობოდნენ თავის ხელქვეითებს, როგორც იმათ შეუპოვებელი ავი ზნე ეტ-ყოდათ და აწვევდათ. კაცი შეიქნა სრულიად მონა ამათი მძლავრობისა და თავის ნებაობისა და შემშინებელი მო-

წოდა ამათ წინა. შეშინებული რამდენისამე საუკუნის უ-ფროსების მძლავრობითა, ის ვერ წარმოიდგენდა, რომ იმის უფროსი იმისავით კაცი იყო, ის ამ შეში-ნებულის გონებით ჰხედავდა, რომ ერთს დაბალს და მა-ხლობელს სახალხო მოხელეს. ჰყვანდა სხვა უმფროსი, რომელსაც კაცი ისე ხშირათ ვერა ჰხედავდა და რომელიც დანიშნულისათვის დასჯიდა ამ დაბალს მოხე-ლეს, ამ დაბალზედ მაღალს ჰყვანდა კიდევ სხუა უმფრო-სი რომელსაც უფრო გვიან ჰხედავდენ; ამას კიდევ სხუა უფროსი ეყოლებოდა და კაცის გონება რავი დაუ-ზგის იმასა, რომ კაცი უუმფროსოთ არ იქნებოდა, და რამდენიც უმფროსი იყო, იმდენი უფრო მეტი სანახავი იყო. ჰფიქრობდა, რომ ამ ყველაზედ მაღალს კაცზედაც იყო ვინმე მაღალი, რომელსაც ქვეყანა და სხვანიც უნდა დამორჩილებოდნენ, როგორც ამას ერთი მოხელედამ მოკი-დებული ყველა მოხელე და კაცი ემორჩილებოდა. კაცი, რავა უფრო და უფრო გონებას მოვიდა, მოინდომა, რომ — ის რაღაცა, რომელიც ყველა უმფროსისზედ უმფროსი იყო, თითონაც შექნილიყო ამისი ღირსი. რავა ვერაფერი ვე-რა ნახარა ამისთანა, ამან დასხა მის სახით ის ნივთე-ული, ანუ პირუტყვ, თუ მხეცი რომელიც ამის გონებას უფრო აკვირვებდა და აოცებდა, ანუ აშინებდა და არგე-ბდა. შემდგომ და შემდგომ ამგვარის რწმუნებაებიდამ დაიბადა კერპთაყვანის ცემაცა და კერპებიც. მერე რამდენიც კაცის გონება განათლდა, იმდენი იჭვი შევიდა თავის თაყვანის საცემებზედ და ცდილობდა, ჯერედ განთავი-სუფლებულიყო ამის დაგვარის რწმუნებიდამ, ამის გამკო-

ბინებას. ჩვენ ეს სხვას გარდა საბერძნეთის ისტორიიდამ ვიცით, რომ კაცი თავისავით კაცს, ხოლოდ თავისზედ გონიერს და ღონიერს, ღმერთებათა სახავდნენ და კიდევ, რომელმა განათლებულმა კაცმა არ იცის, რომ მაჭმადი და ამის დაგვარი სხვა მქადაგებლები მთელს ქვეყანას ღმერთათა ჰყავთ დასახული (მაჭმადი წინასწარ მეტყველების ხარისხს ვერ წაუვიდა, თუმცა რომ გაუნათლებელი არიან მაჭმადიანები) ჩვენ ამას დაწვრილებით განუმარტებდით «მოამბეს» და უფრო დაწვრილებითაც მოვილაპარაკებდით; მაგრამ რაც ჩვენ გვინდოდა სათქმელად, იმის საჩვენებლად ესეც საკმაოთ ვნახეთ და არც თითონ სტატია გვაძლევს მეტის ნებასა.

აი ის სურათი. ზირქვლათსაიდამაც წარმოდგა ქერმოობა და მის შემდეგი სარწმუნოებაები.

ყოველი კეთილ სინიდისიანი ჟურნალი უნდა ცდილობდეს, რომ ხალხს აუხსნას გონება, გამოიყვანოს თავის უმეცრის მდგომარეობიდამ და უჩვენოს ჭეშმარიტება და გზა ჭეშმარიტებისა. თუ ამის წინააღმდეგის ქადაგობა არ შეიძლება, რომელსაც ჰქადაგებს «მოამბე» თებერვლის წიგნში, (ასტრონომიის მოტრფიალისა გვერდი 2 და 3), ამას მაინც უნდა ერიდებოდეს რომ ხალხი უფრო და უფრო არ დამონოს ამ გვარს აზრსა და რწმუნებასა... ნუ დაივიწყებთ, რომ ამას ჰბეჭდავს ახალი თაობის ორგანი... ეგეც მოამბის მიმართულება!..

საწყალი ამ აზრის წინააღმდეგები მებრალებიან «მოამბის» ხელში. . საწყლებს თავის ცნობა და აზრები სულ არ მოზდით!.. არა, უნდა თქვენც დაზოგოთ, «მოამბევ»

ეს საწყლები.. ზოგი თქვენს ღმერთს მიამაღლეთ და სულ ნუ გააწყობთ., მართალია, უგუნურები არიან, უმეცრები არიან, მაგრამ რა არის! «მიუტევეთ, რათა თქვენცა მოგეტევოთ» ეს საღმრთო წერილის სიტყვები ხომ გახსოვთ!... ნეტავი ბიუხნერი დაიმალებოდეს სადმე მაინცა!,... საწყალი ფეიერბახი, სპინოზა და სხვები!... ბოკლი. მგონი. ეხლა საფლავში ძრწის «მოამბის» შიშ-ითა, თავათ, ვინიცის იქნება (მოამბის ჭკუჲაში) ეშმაკებ-იც მოსვენებას არ აძლევენ... რამდენი კაცია ეხლა ევრ-ოპაში მოამბისაგან შეშინებული!...

თავათ მიტჩელი ვინა გგონიათ «მოამბელებო? მე მგონი, რომ ეს გამოჩენილი მეცნიერი სრულებით თქ-ვენი წარმოთქმულების წინააღმდეგი გონების კაცი იყვეს.. როგორა გგონიათ მართალია ამ გვარი ხალხი უგუნურე-ბი არიან? თუ ამათგან არის მეცნიერება შემუშავებუ-ლი!.. ეგ აზრა თუ გქონდათ შეგეძლოთ თქჳენთჳს შეგენახათ სხჳას რაზედ ახვევთ!... მაგრამ ამის მოფა-ქრება რა «მოამბის» ხელობაა! მოამბემ უნდა მხოლოდ უხეირო საბეჭვერლივით უბერის და ანთების მაგივრად გააქროს..საცალს«მოამბეს»სახიჩო მატერიალური შეხედვა არ მოსწონს,ამისას რას ვიტყვით!უნდა გავჩუმდეთ, თო-რემ ამ ხასიათებთან, რომელიც «მოამბე» გამოიჩინა, ვათუ სხჳა უფრო . . . . საქმე იკადროს?..

ჩჳენ ასკოჩენსკობა და იურკევიჩობა მაშინვე შევნი-შნეთ მოამბესა, მაგრამ არა გვეჯეროდა, რომ ეს ხალხი ასრე . . . . გადუდგებოდა ახალს თაობას. ახალს სწავლას, ახალს მეცნიერებას. ის გაება რომანიზმში და

ცრუ აზრების გავრცელებაში. . . იმას მიმართულება ხოლოდ გინება ჰგონია და ჰქადაგებს, რომ ყველა ყურნალი ჩვენებურათ უნდა ქადაგებდესო და ჩვენებურათაც (მოამბურათ) ილანძღებოდეს. იმას ძალიან უკვირს, რომ «ცისკარი» იმისავით უხეიროთ და უწყალოთ არ იგინება აქ ჩვენ აგვიხსნის ამას იქით მოვალეობა. . . ჩვენ რასაკვირველია მოამბესავით უსაფუძვლოთ არ დავიწყებთ ლანძღვასა; მაგრამ ურჩევთ კი «მოამბესა» რომ საქმე რიგიანათ წაიყვანოს და დაავრცელოს და არისტოკრატობაზედ ხელი აიღოს. ამასაცა ვეტყვით. . . . . . . რომ მოამბე თავის უკვანსკნელს არა მოიშლის ჩვევითა და ამას არც თითონა ჰფარავს თავის სადღესასწაულებში.

ყოველი მეცადინეობა, რომელიცა მოიხმარა «მოამბემ» თავის სადღესასწაულოში, იყო, საქმისათვის ჩაუგონებინა, რომ ცისკარზედ ქალი არავინ მოაწეროსო და სხვათა შორისა ბძანებს: ცისკარზედ ხელი იმიტომ არავინ მოაწერა, რომ მიმართულება არა ჰქონდაო. არა, ჩემო მოამბევ, იმიტომკი არავინ მოაწერა, იმიტომ არავინ მოაწერა, რომ შენ გაზეთის კურდღლებს ჰპირდებოდი ქვეყანასა; ანუ უკეთა ვსთქვათ ოქროს ატაყიან სახლებსა ჰპირდებოდი, რომლიდაც გამოდგა ზუმოქარი. და გაზეთის სამოცი კურდღლის მაგიერათ — ბუჩქის ჩაჩუნი.

გარდა ამ ჟურნალის გზა დაკარგვისა, ენაც ხომ ყველა მკითხველმა ვიცით რაც ენაა. ეს გაწმენდილი სალიტერატურო ენაკი არ არის, ეს სწორეთ დღეობაში საჭაჭუაო ენაა. მეტადრე ღმერთმა ნუ მოგვაკლოს ჭკვა-

ჭავაძის კუდ მოკვნეტილი ენა და დავით ყიფიანის . . . . . . . . ტელემახიდური სლოგი უფ. დავით ყიფიანი, როგორც შიშკოვი არ ემტერებოდა უცხო სიტყვებსა და ყველა სიტყვას რუსულად აკეთებდა ისე ქართულად აკეთებს და ქართველოფილობს. ენაში. ამასთან უნდა ნახოთ პროზაში ამისი დოსტალუღები და ეგრეთვე დოსტალუღები სკოჩკაში აი ამის დოსტალუღი ყოველი პერიოდის გათავებაზედ: «ეჰ! შენ ხომ რა გენაღვლება მკითხველო!»—სკოჩკის დასტალუღი: (ქ. ი ნაღვლიანობის დაკმაყოფილებამდინ). აქ ერთის ად'გ'ს კიდევ გამოვწერ დავით ყიფიანის ენის გასაცნობათ: «ბევრჯერ ჭეშმარიტებით რისამე წარმოდგენა,, რისამე მბობა საზოგადოებაში შეუძლებელია! ესეც თუნდ იმავე თქჳენის ცნობა მოყვარეობის უქონობის მიზეზითა რომელი მკითხველი იქნება, რომ ამ სიმძიმე ტყვია შესჭამოს და შეიწყნაროს. აბა მკითხველო ეცადე, ზოლომდინ წაიკითხე ეს სხჳა და სხჳა ამბავი თუ გულს არ შემოგაწვეს და ქმინვა არ შეგიკრას. ეს ჩჳენგნით გამოწერილი ადგილი კიდევ ბატონის სხჳა ადგილებთან, რომელიც დავით ყიფიანისა და მოამბესა» აქჳს. რომელიც ჯურის ენა გინდოდესთ «მოამბეში» იპოვით ერთის სიტყვით მოამბის ენა მარტო ქართულიკი არ არის, ის არის რუსულ—ქართულ—გოტენტოტური ენა. .

დასასრულს კიდევ ამას ვიტყვით, რომ «მოამბე» გარდა ამ ნაკლულებისა, რომელიც ჩჳენ უჩვენეთ, იმას სრულებით არ ეთქმის ჟურნალობა და ის უფრო საბორნიკია ვიდრე ჟურნალი. ჟურნალის საგნები და ელე-

მენტები სულ სხვები არიან, როგორც ზემოთაცა ვსთქჳთ, და ჟურნალს სხჳა სისრულე და ვითარება უნდა. «მოამბე» აქამდინ ნაკლებათ არის ამაში, რომ რიგიანი სბორნიკობაც არ ეთქმის. სხჳა ნაკლებულებათა შორის, «მოამბე», რომელიც ასრე მეცნიერებას მოიკვეხნიდა, სამეცნიერო ნაწილი სულ დაჰკარგა მხედველობიდამ და რაც ერთი საცოდავი საკითხავი მიტჩელის ასტრონომიისა არ შემოიტანა ისიც თავის ტენდენციით, სხჳა ფიქრათაც არარ მოსვლია, როდესაც მკითხველი საზოგადოებს უფრო ამას გამოელოდა დაკვეხებული «მოამბიდამ»; პოლიტიკურს ეკონომიას, რომელსაც გაცნობას ასრე ძრიელ გჳქადიდა მოამბე, ხომ ჯერაც ისევა სძინავს. ამ უბედურებისა და მტყუვნების გარდა, «მოამბე» თანდათან გაზდის მაგივრათ ლამის ქონდრის კაცათ იქცევს. ერთი ბედი მაგათი, რომ ჟურნალისათჳს სქელს ქაღალდსა ჰყიდულობენ, რომელიც ჟურნალს სისქეს აძლევს, თორემ მაისის ქქჳს თაბახ ნახევარი ნომერი ჩუენ ვიცით რაც იქნებოდა. . . . . .

. . . . . . . . . . .

როგორც წეღანაცა ვსთქჳთ, სირცხჳილი მოამბისათჳს, რომ იმოდენა კელის მომწერით,—კელის მომწერზედ თუმანი,—გამოდის «მოამბე» და არა ჟურნალი. ჩუენ კიდევ უნდა, ეს ჩუენი წინანდელი სიტყვა გავიმეოროთ რომ დაწვრილებით. როგორც შეჰფერობდა ვერ მოვილაპარაკეთ, რადგან სხჳა და სხჳა მიზეზის და შემთხვევის გამო, რომელიც საცოდნელათ მკითხველისათჳს საჭირო არ არის, ვერ გავარჩიეთ; მაგრამ უბოლოვო

არა არისრა. ერთხელ ჩვენც გამოვალთ ამ მდომარედამ და მოკიმოვოთ უფრო მარჯვე დროს მოამბეზედ მოსალაპარაკებლად, და დასასრულს იმას ვეტყვით «მოამბესა», რომ როცა ამბობდეს და სწერდეს რასმე ჯერ ჭკუასა და მართლცნობას დაეკითხოს და მერე ისე იწყოს.

---

ჩვენ დიდის სიამოვნებით წავიკითხეთ ჩიტორელიძის (მიხეილ ყიფიანის) «თადეოსისა და სოფირილონის ბაასი» უნდა მოვახსენოთ, რომ ამისთანა ჩინებული ქართული ენა ჯერ ჩვენს ლიტერატურაში არ შემხვედრია და ეხლა კიდეც უფრო დავრწმუნდი, რომ ქართული ენა მართლაიაცა და მდიდარი ყოფილა. ესეც უნდა მოვახსენოთ, რომ არც თითონ სტატიაა სხვა «მოამბის» სტატიებივით ხეპრეული დაწერილი. ამ სტატიაში სჩანს ცოდნა საქმისა და საჭიროებისა და არა ის ცარიელი ყვინჩილაობა, რომლითაც «მოამბე» თავ გამოდებული და გამოჩენილია. მაგრამ ერთი კი არ შეგვიძლიან, რომ უფ. ჩიტორელიძეს არ შევნიშნოთ. ის მაგალითისათჳს უჩვენებს ჩვენს მწერლებსა თ. გიორგი ერისთავისა და ზ. ანტონოვის კომედიების ენასა გასაგონრობის მაგალითისათჳს. კომედიებში, სადაც ალაპარაკებს გაცი ცოცხალს პირსა, ჯიმშერიძისავით გამოუცდელი უნდა იყოს, რომ ისრე არ ალაპარაკოს, როგორც მართლაცა და უნდა ის ცოცხალი პირი ლაპარაკობდეს; და ამის გამო, უძველა, ვინცა დასწერს, რომელსამე დრამულს პიესას, ის უეჭველად მოქმედს პირსაც ისე ალაპარაკებს როგორც უნდა და არც ძნელია, მეტადრე ამ ნაჩვენები

ავტორების კომედიებში, სადაც ყოველი მომქმედი პირა-ლაპარაკობს თავის ნაცნობს საგანსა და საჭიროებაებზედ და არ შედიან ისინი იმისთანა სჯაში, სადაც მართლაცა და კაცს უჭირს ენის მოხმარება. ამისთანა მდაბიურსა და მაღალს საგანზედ ლაპარაკი კიდევ კომედიაში უფრო ადვილია; მაგრამ ავტორის საქმე და გამჩინება მაშინ არის, რომ თითონ შედიოდეს რომელიმე მძიმე საგნის სჯაში და იქ ისრე სუმბუქათ ილაპარაკოს, როგორც მაგალითათ უფ. ჩიტორიძე ლაპარაკობს თავის «თადეოზისა და სვირიდონის ლაპარაკში». არამთუ მძიმე რისამე სჯა, აილეთ თქვენ თარგმანი თ. გ. ერისთავისა «ამალათ ბეგი»; თქვენი რისხვა მქონდეს თუ თქვენ იქ რამ რიგიანათ გაიგოთ, მაშასადამე ეს ავტორები ენის მოხმარების მაგალითათ და საჩვენებლათ არ გამოდგებიან

აქ აგრეთვე ვნახეთ (№6 მოამბე) ჭავჭავაძის ლექსები, რომელთაც ჩვენს აზრზედ, ჭავჭავაძის შესახებ უფრო დაგვარწმუნეს. აქ ავტორი «გუთნის—დედაში» გუთნის—დედას ისეთი მაღალი ენათ ალაპარაკებს და მძიმე საგნებსა, რომ, დარწმუნებული ვარ, თითონ ჭავჭავაძემაც შემდგომ დიდის ფიქრისა ძლივს მოიგონა და მოიფიქრა, აგრეთვე აქავე არის ამისი ლოცვა; ამ ლოცვასთან ღმერთმა შეარცხვინოს გლეხეთის დიაკვანის ლოცვა! დავიჯერო, უფ. ჭავჭავაძე გიამებათ ამგვარი ლექსების ბეჭდვა! ნუთუ არ გეყურებათ ამათი არა მგზავსობა?! თუ არ გეყურებათ ამხანაგებს მაინც წააკითხეთ ხოლმე დაბეჭდვის წინათ

ქართლელი ბექა.

---

# უფალო ცისკრის რედაკტორო!

ამ წლის მარტის თვეში გაუგზავნე ჩემ მიერ შედგენილი ეპიტაფია: თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავზედ ნათქვამი, უფალს რედაქტორს საქართველოს მოამბისას, რომ დაებეჭდათ თავიანთ ჟურნალში, მაგრამ არვიცი რა მიზეზით არ აღასრულეს ჩემი თხოვნა და არც დაბეჭდეს; ამის შემდეგ რაღა თხოვნა სურდათ ჩემგნით რომ დაებრუნებინათ ეპიტაფია უკან და ამის ღირსიც არა მყო, რომელსაც რომ ვალი აქვთ რედაქტორებს თუ რომ სტატია არ მოეწონებათ განიონა უნდა უკან დაუბრუნონ. ამის გამო ხსენებულს ზემოთ ეპიტაფიას თქვენ გიგზავნით და გთხოვთ ცისკარში დაბეჭდოთ. და თუ რომ ჩემი ეპიტაფიის აზრისა თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ დაწერილი აღმოჩნდეს რომელსამე ჟურნალშია, გთხოვთ უფალნო მკითხველნო შეათანასწოროთ.

## ეპიტაფია.

(თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავზედ ნათქვამი.)

მირზის ღროება და მწუხარება,
შენი ლექსები არ გვავიწყდება.

შორით მამულმა ნაზი ბულბულის ხმა მშვენიერი,
გზაზედ დავდექი, უნდა მკითხა: შენ ვის დამღერი?
მაგრამ დამასწრო და გაგრძელდა ტკბილი გალობა;
ოხ! შემაწუხა ხმამ სევდიანმა მიმტაცა გრძნობა,
თითქმის ნაცნობი იყო სიმღერა და მომაგონდა,
ხმა და ჭიკჭიკი, «სულო ბოროტის» ემგზავსებოდა,
ვერ გასძლო გულმან და მივახლოვდი მე იმ ადგილსა,

უნდა შემეტყო ვის დამღეროდა რომელსა გვარსა,
საფლავს მივედი, უბრალო ქვაზედ ვნახე წერილი:
«აქა მარხია საწყალი ნიკო ბარათაშვილი,»
რომ წავიკითხე გული დამეწო და დაჩოქილი;
ქვას ვეხვეოდი ბევრსა ვტიროდი, როგორც ყმაწვილი.
—რადროს მილიას ჩემო პოეტო, მითხარი დარდი?
რა მიზეზია უდროოთ, რომ გახმა კოკობი ვარდი!
აჰლე პოეტო! აგვიხსენ შენი «ბედი ქართლისა,»
თორემ არიან მრავალნი კაცნი, ვერ მიხვდნენ აზრსა,
შენს ლექსებიდგან სჩანს რომ გიყვარდა თავისუფლება,
და იმიტომ გაქვს შენ კაცისგან დიდი ღირსება —
რამ დაგაჭკნეთა შენ ეგრე მალე, ყმაწვილი კაცი?
ოჰ! საქართველოს უბედურებამ, განა არ ვიცი.—
შენ ხარ საწყალი, სული ობოლი, ამოწყვეტილი
ღმერთმა მოგხედა გამოაჩინა შენი სახელი.
მშვიდობით ძმაო! და მოგშორდები მე მწვავს გული,
ჩემ მაგიერათ გასიამოვნებს ნაზი ბულბული.

თ. ვანო ბარათოვი.

---

რედაქცია ჰფიქრობს, რომ თუ ავტორს ჰქონდა სახეში. რომელიმე ლექსი ალებული და გამოკრებილი ამის ლექსიდამ, უნდა ის ლექსიც ეჩვენებინა მკითხველი საზოგადოებისათვის. რედ

---

მაისის წიგნში ანტონ ფურცელაძის ლექსში «როგორათაც გემი» დაგვიბეჭდია ორს ალაგს მრუდის მაგივრათ მარუვლი. ეგრეთვე ამავე წიგნის შინაარს მიმოხილვაში (გვერდი **121** სტრიქონი **13**) დაგვიბეჭდია ფსიხოლოგის მაგივრათ—ფიზიოლოგი. რედ